გაზეთი ბევრია, „ვერსია" ერთი

# ვერსია

№68 (824) 19 – 20 ივნისი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

# მხოლოდ 40 თეთრი

# ვანო ჩხარტიშვილს დაიჭერენ?!

ჩხარტიშვილი-პატარკაციშვილის ბიზნესდავის დეტალები




გარბოდა თუ არა საქართველოდან და რატომ ედავება თურქი ბიზნესმენი ომერ სარი 3 000 000 აშშ დოლარს ვანო ჩხარტიშვილს

## რა კავშირი აქვს დათა ახალაიას იარაღის სამალავების გაცემასთან



**კახა მიქაია:** „გიდასტურებთ, ჩემი განცხადებები შსს-ს მიერ ახლა ნაპოვნ იარაღთან პირდაპირ კავშირშია — ეს არის მევის ქარდავასა და თენგიზ გუნავას შექმნილი ბანდფორმირებებისთვის განკუთვნილი იარაღი!"

## პროკურორის მკვლელ ექიმს ციხიდან ათავისუფლებენ!

„პაატა ცყეშელაშვილის მშობლები მივმართავთ თეა წულუკიანსა და არჩილ კბილაშვილს, ობიექტურად გამოიძიონ საქმე!"



გვ. 8–9

## „ვისოლმა" ქუთაისის „ტორპედოს" ახალი შემადგენლობა წარადგინა



გვ. 7

## შსს-მ და პროკურატურამ უნდა აღკვეთონ პირად და საქმიან ცხოვრებაში ჩარევისა და შანტაჟის მორიგი უპრეცედენტო მცდელობა



გვ. 5

## 2007 წელს „ვერსიაში" ექსკლუზიურად გამოქვეყნებული „ციცინათელები" ისევ დაბლოკეს!

კინორეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ კულტურის სამინისტროს წინ უვადო შიმშილობა დაიწყო

გვ. 5

## თურქეთი რევოლუციის მოლოდინში



გვ. 6

დარჩებიან თუ არა ისლამისტები ქვეყნის სათავეში

მაია მიშელაძე
593-51-90-12

# ვანო ჩხარტიშვილს დაიჭერენ?!

**თურქი ბიზნესმენი ომერ სარი შპს „პრომეტკო ჯორჯიას“, შპს „ჯიესკოსა“ და შპს „მეტალიკსის“ კაპიტალის 5%-ის მფლობელია. „პრომეტკო ჯორჯიასა“ და „ჯიესკოს“ კუთვნილი თანხა, დაახლოებით, 3 000 000 აშშ დოლარი, ამ კომპანიების დირექტორმა, ლევან ჯღარკავამ მიითვისა. მან ეს დავალება ვანო ჩხარტიშვილთან დაკავშირებული კომპანია „სონატა ალიანს ჯორჯიასგან“ მიიღო. თურქმა ბიზნესმენმა და მისმა წარმომადგენელმა, მამუკა კაკოშაძემ სამშაბათს, 18 ივნისს, პრესკონფერენცია „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართეს.**

მამუკა კაკოშაძის განმარტებით, 2003 წელს, „პრომეტკო ჯორჯიამ“ და „ჯიესკომ“ საერთაშორისო ტენდერში გაიმარჯვეს, რომელიც ფოთის პორტში, მე-3, მე-4 და მე-6 ტერმინალების მართვაზე გაიმართა. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, კომპანიის მენეჯმენტსა და პარტნიორებს, სახელისუფლებო წრეებთან დაკავშირებული პირები დაუკავშირდნენ და 50%-იანი წილის დათმობა მოსთხოვეს. მამუკა კაკოშაძის განმარტებით, მაღალი თანამდებობის პირები, წილის დათმობის სანაცვლოდ, მენეჯმენტს ტვირთბრუნვისა და იჯარის ვადის გაგრძელებას დაპირდნენ:

**„კომპანიის წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ მართვას პარიტეტული პრინციპით გააგრძელებდნენ, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, ეს პრინციპი დაირღვა და მათი წილი 50%-დან, 66%-მდე გაიზარდა. კომპანიების დირექტორად კი საკუთარი წარმომადგენელი, ლევან ჯღარკავა დანიშნეს. ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ერთი თვეც არ იყო გასული, რომ ეს კომპანია ახალ კომპანიაზე, „სონატა ალიანს ჯორჯიაზე“ გადაფორმდა, რომელიც ივანე ჩხარტიშვილთან იყო დაკავშირებული. სათანადო დოკუმენტები გვაქვს, რომლითაც დასტურდება, რომ ეს ჩხარტიშვილის ოჯახის კომპანიაა. ლევან ჯღარკავას საშუალებით, მილიონობით დოლარი გაიტანეს კომპანიის საბანკო ანგარიშებიდან და სალაროდან, ხოლო ფიქტიურ კონტრაქტებზე მილიონობით აშშ დოლარი გადარიცხეს. ცხადია, კომპანიის დირექტორისგან რამდენჯერმე მოვითხოვეთ ახსნა-განმარტება, მაგრამ ისინი 5%-ის მფლობელ პარტნიორს, საკუთარ პარტნიორად არ თვლიდნენ. ამის შემდეგ, იძულებულნი გავხდით, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურისთვის მიგვემართა, სადაც გამოძიება დაწყებულია და ახლაც გრძელდება. ლევან ჯღარკავა, რომელიც ჩხარტიშვილის ნდობით აღჭურვილი პირი იყო, ამ ნდობით სარგებლობდა, რომელიც კორპორაციულ ეთიკასაც არღვევდა და საქართველოს კანონმდებლობასაც, რადგან მან გაიტანა თანხა, რომელიც დღემდე არ დაუბრუნებია“,** — აღნიშნა მამუკა კაკოშაძემ.

მისივე თქმით, მას შემდეგ, რაც საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, ომერ სარმა შესაბამის ორგანოებს განცხადებით მიმართა. თურქი ბიზნესმენი იმედოვნებს, რომ გამოძიება დასრულების შემდეგ, ამ საქმეზე ობიექტურ გადაწყვეტილებას მიიღებენ. „ვერსიის“ კითხვაზე, უშუალოდ, ვანო ჩხარტიშვილთან ჰქონდა ურთიერთობა თუ მხოლოდ მისი ნდობით აღჭურვილ პირთან, ლევან ჯღარკავასთან, **ომერ სარმა** გვიპასუხა:

— რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ მთავარი ბიზნესპარტნიორი ვანო ჩხარტიშვილი იყო, ლევან ჯღარკავა კი მისი ნდობით აღჭურვილი პირია, რომელიც ვანო ჩხარტიშვილის მითითებებს ასრულებდა. მხოლოდ ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელს, კონკრეტულად, რატი გამბერიას შევხვდი მათსავე ოფისში, რომელიც გერგეთის ქუჩაზე მდებარეობს. შეხვედრის დროს, იმ თანხის დაბრუნება მოვითხოვე, რომელიც ლევან ჯღარკავამ გაიტანა კომპანიიდან, სამაგიეროდ, შევთავაზე, რომ ჩემი წილი გამოესყიდა. გამბერიამ მითხრა, რომ ჯღარკავამ გაიტანა თანხა და თანხის დაბრუნებას დამპირდა, მაგრამ სამწუხაროდ, პირობა არ შეასრულა, ამიტომ მივმართავ საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს, რათა ობიექტური გამოძიება ჩაატარონ ამ საქმეზე და ჭეშმარიტება დაადგინონ.

**— თქვენ მხოლოდ შუამავალს შეხვდით და არა, უშუალოდ, ვანო ჩხარტიშვილს, ხომ?**

— მხოლოდ ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენელს, რატი გამბერიას შევხვდი.

**— ჰო, მაგრამ, როგორც წესი, შუამავლები ბიზნესმენების ნდობით აღჭურვილი პირები არიან, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, ამ ნდობით ცუდად სარგებლობენ და როდესაც პრობლემა წარმოიშვა, ვანო ჩხარტიშვილს არ შეხვდით?**

— არა, მხოლოდ წარმომადგენლებთან მქონდა ურთიერთობა. მინდა დაგიზუსტოთ, რომ რატი გამბერია შუამავალი არ არის, ის ვანო ჩხარტიშვილის სრულუფლებიანი წარმომადგენელი და მისი ნდობით აღჭურვილი პირია, რომელიც „სონატა ალიანს ჯორჯიას“ მართავდა.

პრესკონფერენციის დასასრულს, მამუკა კაკოშაძემ მედიის წარმომადგენლებს დაუზუსტა, რომ ფოთის ტერმინალებს ამჟამად „ფეის ინტერნეიშენალი“ მართავს, რომელსაც მიხეილ სააკაშვილის ბიძის, თემურ ალასანიას ბიზნესპარტნიორი, იოსებ დოლიძე ფლობს.

იმავე დღეს, „ქორთიარდ მარიოტში“, ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატებმა — **დიმიტრი გაბუნიამ**, პაატა სალიამ და ლონდონელმა იურისტმა, ჯოელ ადლერმა საპასუხო პრესკონფერენცია გამართეს. დიმიტრი გაბუნიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ 2012 წლის დეკემბერში, პროკურატურამ საქმის წარმოება დაასრულა და ვანო ჩხარტიშვილის მიმართ, სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვიტა. მეტიც, პროკურატურის დასკვნაში ჩაიწერა, რომ ეს კონკრეტული საქმე სამოქალაქო დავის საგანია:



ჩხარტიშვილი-პატარკაციშვილის ბიზნესდავის ეტაპები

**„ამის შემდეგ, რამდენიმე თვეში, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახმა დავა დაიწყო ლონდონის სასამართლოში, მაგრამ ჩვენთვის მოულოდნელად, 2013 წლის 7 ივნისს, საჯაროდ დააანონსეს, რომ პატარკაციშვილის ოჯახს თავიდან შეაქვს საქმე პროკურატურაში და სისხლის სამართლებრივი ძიება იწყება. მინდა საზოგადოებას ავუხსნა, რომ თუ პროკურატურამ ერთხელ უკვე შეწყვიტა ძიება, უფლება აღარ აქვს, საქმე განაახლოს. ამიტომ მიგვაჩნია, რომ ეს ყველაფერი შანტაჟის ფორმას ატარებს, რადგან ვეჭვობთ, პატარკაციშვილის ოჯახის გვერდით დგანან კონკრეტული ადამიანები, რომლებსაც შანტაჟის გზით სურთ, ვანო ჩხარტიშვილს თანხა გამოსძალონ. დღევანდელი პრესკონფერენციის ძირითადი მესიჯი ის სიბინძურეა, რაც ბოლო დღეებში, პრესის საშუალებით გავრცელდა. თითქოს, ვანო ჩხარტიშვილს იჭერენ, რომელიც საზღვარგარეთ აპირებს გაქცევას, რაც სრული აბსურდია. მზად ვართ, ვითანამშრომლოთ საგამოძიებო ორგანოებთან, შესაბამისი მტკიცებულებებიც გვაქვს და მეტიც, ამ დღეებში გვინდა, პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროში შევიტანოთ განცხადებები. შეგახსენებთ, რომ ჯერ „პრაიმტაიმში“, შემდეგ „ლიბერალში“ და ბოლოს, სოციალური ქსელის საშუალებით, გავრცელდა ინფორმაცია, სადაც მითითებულია, რომ ინკოგნიტო პირს ხელთ აქვს კონტრაქტები, რომლითაც დასტურდება, რომ ვანო ჩხარტიშვილი ხელფასს უხდიდა დათო მაღრაძეს, ირაკლი კორძაიასა და დაჩი ცაგურიას. სხვათა შორის, მეც ვარ დასახელებული და თითქოს, თვეში 1 000 აშშ დოლარს ვიღებდი ჩხარტიშვილისგან, რათა ქართული ოცნების პიარი გამეკეთებინა, რაც აბსურდია“.**




დიმიტრი გაბუნიამ აღნიშნა, რომ პროკურატურას განცხადებით დღესვე, 19 ივნისს მიმართავს. მეტიც, ადვოკატები ამბობენ, რომ წინა ხელისუფლების პირობებში, ბიზნესმენის პირადი კომპიუტერი გატეხეს, საიდანაც მთელი ინფორმაცია გაიტანეს. ადვოკატების თქმით, ნაციონალური მოძრაობის მაღალჩინოსნებმა ეს ინფორმაცია გაყიდეს და ახლა, მედიის საშუალებით, იმ სიბინძურის ტირაჟირება ხდება, რაც ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ აგორდა. მეტიც, დიმიტრი გაბუნია ამბობს, რომ ლევან გაჩეჩილაძე და გოგა ხაინდრავა, რომლებიც პატარკაციშვილი-ჩხარტიშვილის ბიზნესდავაში იყვნენ ჩართულები, უნებლიედ მონაწილეობენ იმ ბინძურ პიარში, რაც ჩხარტიშვილის წინააღმდეგ დაიგეგმა. რაც შეეხება დავის მთავარ თემას, თითქოს ვანო ჩხარტიშვილს ბადრი პატარკაციშვილის მიმართ დავალიანება დაუგროვდა, დიმიტრი გაბუნიამ განმარტა:

**„სწორედ ამ მიზნით, შევარჩიეთ 5 საერთაშორისო აუდიტორული კომპანია, რომ თუ რამე ტიპის ვალდებულება არსებობს მხარეებს შორის, ამ აუდიტორულმა კომპანიებმა გამოავლინონ. იქნებ, პატარკაციშვილის ოჯახს, აქეთ აქვს ვალი ვანო ჩხარტიშვილის მიმართ? თუ კარგად დავაკვირდებით, ვანო ჩხარტიშვილი თვითონ ახორციელებდა ამ ტრანზაქციებს და ხელთ გვაქვს დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ეს ტრანზაქციები ბადრი პატარკაციშვილის სიცოცხლეშივე შესრულდა. ახლა სპეკულირებენ ამ თემით, თითქოს პატარკაციშვილის გარდაცვალებიდან ერთი თვის თავზე, ჩხარტიშვილმა დაიტაცა ყველა აქტივი. თუ რამე პრეტენზია არსებობდა ამ ტრანზაქციებზე, ცხადია, პატარკაციშვილი, მის სიცოცხლეშივე განაცხადებდა ამის შესახებ, რადგან გიმეორებთ, ყველა ტრანზაქცია პატარკაციშვილის სიცოცხლეში განხორციელდა. რაც შეეხება შპს „პრომეტკოსა“ და „ჯიესკოს“ დაბალ ფასად გაყიდვას, ეს საკითხიც საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიებმა უნდა შეისწავლონ. ერთხელ და საბოლოოდ, უნდა დადგინდეს, გაიყიდა თუ არა ეს კომპანიები საერთოდ, მაგრამ ეს კომპანიები სასწრაფო წესით იმიტომ გადაფორმდა სხვა პირებზე, რომ მთელი ქონება წინა ხელისუფლების ხელში არ გადასულიყო“.**

ვანო ჩხარტიშვილის ადვოკატების პრესკონფერენციას, ბადრი პატარკაციშვილის ოჯახის ადვოკატები, განცხადებით გამოეხმაურნენ. „ვერსია“ ამ განცხადებას მცირე შემოკლებით გთავაზობთ:

**„ჩხარტიშვილის ადვოკატების განმარტებით, მთავარ პროკურატურას უფლება არ ჰქონდა, შეწყვეტილი საქმის წარმოება განეახლებინა ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ. ამის საპასუხოდ გვინდა განვმარტოთ, რომ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, ზემდგომი პროკურორი უფლებამოსილი იყო განეახლებინა საქმის წარმოება. ჩხარტიშვილის ადვოკატებმა პრესკონფერენციაზე დაადასტურეს, რომ კომპანია „სონატა ალიანს ჯორჯია“ ვანო ჩხარტიშვილთან ასოცირებული კომპანიაა. მეორე მხრივ, ჩვენს ხელთ არსებული მტკიცებულებებით, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, სწორედ ამ კომპანიაზე გადაფორმდა პატარკაციშვილის კუთვნილი აქტივები მინიმალურ ფასად. ეს ეხება ფოთის პორტის ორ ნავმისადგომს, ფოთის წისქვილკომბინატს, თბილისში მდებარე თამბაქოს ქარხანას და მიწის ნაკვეთებს. მნიშვნელოვანია ჩხარტიშვილის წარმომადგენელთა განცხადება, რომ აქტივების გადატანა განპირობებული იყო სურვილით, რათა პატარკაციშვილის ქონება გადაერჩინათ. ჩვენი შეფასებით, ეს არის პირდაპირი აღიარება, რომ ქონება ბადრი პატარკაციშვილის საკუთრება იყო და, შესაბამისად, ის უპირობოდ უნდა დაუბრუნდეს მის ოჯახსა და მემკვიდრეებს. რაც შეეხება განცხადებას, რომ აქტივების გადატანა ბადრი პატარკაციშვილის თანხმობით ხდებოდა, სწორედ იმიტომ, რომ არ გავცდეთ სამართლებრივ ჩარჩოებს, ბატონ ჩხარტიშვილს ვთხოვთ, კონკრეტული მტკიცებულებები წარმოადგინოს, რომ ეს აქტივები, მისი შვილების სახელზე, მართლაც ბადრი პატარკაციშვილის თანხმობით გადაიტანა.**

**რაც შეეხება ჩხარტიშვილის მიერ გამოთქმულ ბრალდებას მის წინააღმდეგ პიარკამპანიის წარმოების შესახებ, კიდევ ერთხელ გვინდა განვმარტოთ, რომ ჩვენ მკაცრად მივყვებით სამართლებრივ პროცედურებს და, შესაბამისად, ჩვენი პოზიციის დამადასტურებელ მტკიცებულებებსაც წარმოვადგენთ. ნაცვლად იმისა, რომ ამ მტკიცებულებებს სამართლებრივ სივრცეში გაეცეს პასუხი, სწორედ ჩხარტიშვილის მხარე ცდილობს, პიარაქტივობებით გადაფაროს ეს საკითხი“.**

მოვლენები კი ასე განვითარდა, სამშაბათის პრესკონფერენციებს წინ უძღვოდა ორშაბათს, 17 ივნისს, გაზეთში „პრაიმტაიმი“ დაბეჭდილი სტატია, თითქოს სამართალდამცავები ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილის დაჭერას აპირებენ, რადგან ამ უკანასკნელმა ბადრი პატარკაციშვილის კუთვნილი ქონება მიითვისა. მოგვიანებით, საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, რომ ბიზნესმენი დიდი ბრიტანეთის მოქალაქის პასპორტით, საქართველოს დატოვებას აპირებს. სხვათა შორის, ვანო ჩხარტიშვილის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ ეს პასპორტი მართლაც ბიზნესმენს ეკუთვნის, ოღონდ ჩხარტიშვილი ახლა არსად აპირებს წასვლას და იქვე დააზუსტეს, რომ ამ პასპორტით, ბიზნესმენმა ქვეყანა 2011 წელს დატოვა. ამის შემდეგ, სააგენტოებმა ფინანსთა მინისტრის, ნოდარ ხადურისა და ამავე სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველოს უფროსის, ნათია სუხიაშვილის კომენტარები გაავრცელეს, რომლებმაც დაადასტურეს, რომ ვანო ჩხარტიშვილის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობს. მოგვიანებით, სააგენტოებმა ლევან გაჩეჩილაძისა და გოგა ხაინდრავას კომენტარებიც გაავრცელეს, რომლებიც პატარკაციშვილის ოჯახის თხოვნით, ჩხარტიშვილი-პატარკაციშვილის ბიზნესდავაში ჩაერთნენ და მოლაპარაკებებშიც მონაწილეობდნენ. მეტიც, გოგა ხაინდრავა ახლაც მზადაა, ოჯახებს შორის შუამავლის როლი კიდევ ერთხელ იკისროს.

# კახა მიქაია: „გიდასტურებთ, ჩემი განცხადებები შსს-ს მიერ ახლა ნაპოვნ იარაღთან პირდაპირ კავშირშია — ეს არის მეგის ქარდავასა და თენგიზ გუნავას შექმნილი ბანდფორმირებებისთვის განკუთვნილი იარაღი!“

## რა კავშირი აქვს დათა ახალაიას იარაღის სამალავების გაცემასთან და რა ინფორმაციას ფლობენ კახა მიქაია და ირაკლი ალასანია

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**17 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამეგრელოდან დიდი ოდენობით იარაღი და ფეთქებადი ნივთიერებები ამოიღო. ამის შესახებ განცხადება სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა გააკეთა და ინფორმაცია უწყების ოფიციალურ საიტზეც დაიდო. შსს-ს ინფორმაციით, სამალავი ძველი ხელისუფლების მაღალჩინოსნების უშუალო ორგანიზებით, მიწისქვეშ შენიღბულად იყო მოწყობილი: „აღმოჩენილია სპეციალური კამუფლაჟით დაფარული სამალავები, რომლებშიც ნაპოვნია ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების, მათ შორის, დივერსიული საქმიანობის წარმოებისათვის გათვალისწინებული დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები და მოწყობილობები, ხელყუმბარები, ავტომატური და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი, კავშირგაბმულობის საშუალებები, სამხედრო ამუნიცია, დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერებები — „ჰეროინი“, „კოკაინი“, „ოპიუმი“, „სუბუტექსი“ და ა.შ. ჩხრეკისას ამოღებულია წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი იმ პირების ფოტოსურათებისა და პირადი მონაცემების შემცველი არქივი, რომელთა დაპატიმრებაც იგეგმებოდა, სხვადასხვა ფალსიფიცირებული ბრალდებებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამარჯვების შემთხვევაში. სამალავებიდან ასევე ამოღებულია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი არაერთი ვიდეოფირი, რომელთა შესწავლისთვის, ამჟამად ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები მიმდინარეობს“.**

სამინისტროში არც ის დაუკონკრეტებიათ, საიდან ამოიღეს სიები და აღჭურვილობა და, ჯერჯერობით, არც ორგანიზატორი ნაციონალი მაღალჩინოსნები დაუსახელებიათ. არაოფიციალური ინფორმაციით, შსს-მ იარაღით სავსე ქვევრებს წალენჯიხაში მიაგნო. ვინც ოქტომბრის წინასაარჩევნო ბატალიებს თვალყურს ადევნებდა, ემახსოვრება, რომ მაშინდელი გამოკვეთილი ოპოზიციონერი სამეგრელოში, კახა მიქაია სხვადასხვა კადრებს ავრცელებდა წალენჯიხის რაიონში, სქურის ტყეში ფორმიანი პოლიციელებისა და შეიარაღებული დაჯგუფებების გადაადგილების შესახებ. სკანდალური განცხადებები გააკეთა სამეგრელოში შექმნილი უკანონო ფორმირებების შესახებ ზუგდიდის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატმა ირაკლი ალასანიამ, რომელსაც უშიშროების საბჭოც კი დაუპირისპირდა. მაშინ მიქაიაცა და ალასანიაც ლამის ჩაქოლეს, მტერს რა ინფორმაციას აძლევო და რუსეთის აგენტები ეძახეს, თუმცა გამოჩნდა, რომ თავდაცვის ახლანდელ მინისტრსაც და კახა მიქაიასაც რეალური ინფორმაციები ჰქონიათ სამეგრელოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

### სამეგრელოს სკანდალი გრძელდება — დაიჭერს თუ არა შსს ალასანიას მიერ დასახელებულ ნაციონალ მაღალჩინოსნებს?!

სამეგრელოს სკანდალი დღეს და „ოცნების“ მთავრობის მიერ არ დაწყებულა. ჯერ კიდევ 2012 წლის ზაფხულში ყურადღების ცენტრში „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ირაკლი ალასანია მოექცა, რომელიც კენჭს როლანდ ახალაიას წინააღმდეგ ზუგდიდში იყრიდა. ალასანიამ თამამი და სკანდალური განცხადებები გააკეთა და მოქმედი ხელისუფლების რამდენიმე ცნობილ ლიდერს სამეგრელოში უკანონო ბანდების შექმნაში დასდო ბრალი. აი, რას ამბობდა ალასანია არჩევნების წინ: **„მაქვს შემაშფოთებელი ინფორმაცია, რომ გასაიდუმლოებულ სამხედრო ჯგუფებს, რომლებიც სამეგრელოს რაიონებში არიან განთავსებულნი, არჩევნებით უკმაყოფილო სააკაშვილი ხალხის წინააღმდეგ გამოიყენებს. ეს გახლავთ სამეგრელოს მოსახლეობის, ჩვენი ამომრჩევლების მიერ მოწოდებული დადასტურებული ინფორმაცია — რეგიონში დაახლოებით 55-დან 60 კაცამდე შემადგენლობის შეიარაღებული ჯგუფები შეიქმნა და ისინი რეზერვისტებად დარეგისტრირებულნი არ არიან. საერთო ჯამში, მათი რაოდენობა 500 კაცს შეადგენს. სააკაშვილს ეს დაჯგუფებები ქვეყანაში დესტაბილიზაციისთვის სჭირდება! მათ უკანონო, ნაღდი ფულით აფინანსებენ. ამ დაჯგუფებების შემადგენლობაში ის ადამიანები არიან, ვინც წარსულში საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას იცავდნენ, ნაწილი კრიმინალური სამყაროს წარმომადგენელია, ზოგიერთს კი მატერიალური დაინტერესება ამოძრავებს“.**

**ალასანიამ შეიარაღებული კლანის მოთავეებად როლანდ ახალაია და მისი ორი ვაჟი დაასახელა. მისი ინფორმაციით, სხვადასხვა ფორმით, ამ ბანდფორმირებებთან თორნიკე მალაზონია, ნუგზარ ფანგანი, რომან შამათავა, ფრიდონ შენგელია, ზვიად გაგუა, დავით დარსმელიძე, კობა ახვლედიანი, კობა თოდუა, ბეჟან გვაზავა, ვახტანგ ზარანდია, სერგო უბილავა, დავით ქორქია, კობა ფაჩულია, კახა აბშილავა, გოჩა გამსახურდია, ირაკლი გაწერელია, კობა მიქაია, თენგიზ გუნავა, ზური გოროზია, თენგიზ პაპავა, გოჩა ჯომიდავა და სტრუქტურის სხვა ყოფილი თუ მოქმედი თანამშრომლები იყვნენ დაკავშირებულნი.**

*დასასრული მე-4 გვერდზე*



### ირაკლი ღარიბაშვილი სამალავებში აღმოჩენილ ვიდეოფირებს დიპკორპუსის წარმომადგენლებს გააცნობს

19 ივნისს, შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამეგრელოში სპეციალური კამუფლაჟით დაფარულ სამალავებში აღმოჩენილ ვიდეოფირებს ხვალ დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს გააცნობს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, შეხვედრა მედიისთვის დახურულ ფორმატში გაიმართება.

**„უახლოეს დღეებში, მსგავსი ტიპის შეხვედრას მინისტრი სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებთან და მედიის ხელმძღვანელ პირებთან გეგმავს“,** — აღნიშნა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამეგრელოში სამალავებში ფეთქებად ნივთიერებებთან ერთად, წამებისა და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი ვიდეოფირები, ნარკოტიკები და წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების მონაცემების შემცველი არქივი აღმოაჩინა.

შსს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, აღმოჩენილია ყოფილი ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით, მიწისქვეშ შენიღბულად მოწყობილი, სპეციალური კამუფლაჟით დაფარული სამალავები, რომლებშიც ნაპოვნია ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების, მათ შორის, დივერსიული საქმიანობის წარმოებისთვის გათვალისწინებული დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილობები, ხელყუმბარები, ავტომატური და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი, კავშირგაბმულობის საშუალებები, სამხედრო ამუნიცია, აგრეთვე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერებები, კერძოდ, „ჰეროინი“, „კოკაინი“, „ოპიუმი“, „სუბუტექსი“ და ა.შ.

გარდა ამისა, სამალავებში ნანახი იქნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელების, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი არაერთი ვიდეოფირი.

*„ინტერპრესნიუსი“*

# შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება



შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო უსაფრთხოების სააგენტოს მიერ ჩატარებული კომპლექსური ღონისძიებების შედეგად, სამეგრელოში აღმოჩენილია ყოფილი ხელისუფლების შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირების უშუალო ორგანიზებითა და ხელმძღვანელობით, მიწისქვეშ შენიღბულად მოწყობილი, სპეციალური კამუფლაჟით დაფარული სამალავები, რომლებშიც ნაპოვნია ფართომასშტაბიანი საბრძოლო ოპერაციების, მათ შორის, დივერსიული საქმიანობის წარმოებისთვის გათვალისწინებული დიდი ოდენობით ფეთქებადი ნივთიერებები და ასაფეთქებელი მოწყობილობები, ხელყუმბარები, ავტომატური და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი, კავშირგაბმულობის საშუალებები, სამხედრო ამუნიცია, აგრეთვე, დიდი ოდენობით ნარკოტიკული და ძლიერმოქმედი ფსიქოტროპული ნივთიერებები, კერძოდ, „ჰეროინი“, „კოკაინი“, „ოპიუმი“, „სუბუტექსი“ და სხვა.

ჩხრეკისას ამოღებულია წინა ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი იმ პირების ფოტოსურათებისა და პირადი მონაცემების შემცველი არქივი, რომელთა დაპატიმრებაც იგეგმებოდა სხვადასხვა გაყალბებული და ფალსიფიცირებული ბრალდებებით, 2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გამარჯვების შემთხვევაში. ნიშანდობლივია, რომ ცალკეული დოკუმენტები შედგენილია ხელით, რაც ქმნის მნიშვნელოვან მტკიცებულებით ბაზას დამნაშავე პირების სწრაფად იდენტიფიკაციისა და დაკავებისთვის.

გარდა ამისა, სამალავებში ნანახი იქნა სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების მიერ ადამიანების სასტიკი წამების, მათზე სექსუალური ძალადობის განხორციელების, ცემის, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი მოპყრობის ამსახველი არაერთი ვიდეოფირი, რომელთა შესწავლისთვის ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები.

ამ ეტაპზე, დადასტურებულად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ზემოაღნიშნული სამალავების მიკვლევისა და დროული განეიტრალების შედეგად, თავიდან იქნა აცილებული სახელმწიფო და საზოგადოებრივი უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართული, განსაკუთრებით მძიმე და საშიში დანაშაულები, რომელთა შესახებაც დამატებით ინფორმაციას საზოგადოებას გამოძიების მიმდინარეობის პარალელურად მივაწვდით.

*„ვერსიანიუსი“*



### აშშ-ს კონგრესმა ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტს უყარა კენჭი

აშშ-ს კონგრესმა ეროვნული თავდაცვის ავტორიზაციის აქტს უყარა კენჭი. დოკუმენტი კონგრესმა 315 ხმით მიიღო, წინააღმდეგი იყო – 108, თავი შეიკავა 11-მა.

ეროვნული თავდაცვის აქტში, რომელიც აშშ-ს 2014 წლის თავდაცვის ბიუჯეტის დაგეგმვისთვისაა საჭირო, ერთ-ერთი მუხლი საქართველოს ეთმობა.

როგორც აქტის 1244-ე მუხლში, სახელწოდებით „კონგრესის აზრი საქართველოსთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“, ნათქვამია, რომ აშშ-მ საქართველოსთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა უნდა გააღრმავოს.

**„კონგრესის აზრია, რომ აშშ-მ საქართველოსთან თავდაცვის სფეროში გააღრმავოს თანამშრომლობა და მხარი დაუჭიროს საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევას — უზრუნველყოს საკუთარი სახელმწიფოს, ხალხისა და ტერიტორიული მთლიანობა“,** — ნათქვამია აშშ-ს ეროვნული თავდაცვის აქტში.

*„ინტერპრესნიუსი“*

# კახა მიქაია: „გიდასტურებთ, ჩემი განცხადებები შსს-ს მიერ ახლა ნაპოვნ იარაღთან პირდაპირ კავშირშია — ეს არის მეგის ქარდავასა და თენგიზ გუნავას შექმნილი ბანდფორმირებებისთვის განკუთვნილი იარაღი!“




*მე-3 გვერდიდან*

მეტიც, „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი ბრიფინგებზე საუბარს მოერიდა და მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია უშიშროების საბჭოს მდივანს, გიგა ბოკერიას გადაუგზავნა. მაშინ ბოკერიამ ალასანიას, პირდაპირი მნიშვნელობით, დასცინა, ალასანიას განცხადებებს „ნაბოდვარი“ უწოდა, მის მიერ გაგზავნილი საიდუმლო დოკუმენტი თავიდან ბოლომდე გაასაჯაროა და უწყების საიტზე შემდეგი კომენტარით გამოკიდა: **„დოკუმენტი ქვეყნდება სრული სახით, რათა საზოგადოებას თავად ჰქონდეს საშუალება იმსჯელოს, რამდენად ღირებულია წარმოდგენილი მონაცემები. ირაკლი ალასანიას მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი არათუ არ შეიცავს რაიმე ღირებულ ინფორმაციას, არამედ მასში, უბრალოდ, ჩამოთვლილია მოქმედი სამხედრო მოსამსახურეებისა და პოლიციელების სახელები და გვარები. მათ შორის არიან საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები, პოლიციის რაიონული დანაყოფების უფროსები, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მაღალი რანგის ოფიცრები. ირაკლი ალასანიას „საიდუმლო დოკუმენტში“ აღწერილია თორმეტი ე.წ. დაჯგუფება. ამ წერილის მიხედვით, პირველი დაჯგუფება ყველაზე მრავალრიცხოვანი, 350-კაციანი გამოდის, რომლის დისლოკაციის ადგილად მითითებულია: „ზუგდიდი, კერძო სახლები“ და ა.შ.“**

თავდაცვის დღევანდელი მინისტრი მაშინ მთელი ნაციონალური მოძრაობის დაცინვის ობიექტად იქცა, მაგრამ ამ ამბავში, რეალურად, სასაცილო სხვა რამ მოხდა:

**მხოლოდ მას მერე, რაც ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა ალასანიამ ბანდფორმირებების შესახებ განცხადება გააკეთა, დაახლოებით სამ დღეში, „ნაციონალების“ პარლამენტმა მიიღო კანონი ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვის შესახებ და დიდი ამბით გამოგვიცხადა, სამეგრელოში დაბანაკებული პირები უკანონო ფორმირების წევრები კი არა, რეზერვისტები არიანო! დღეს, რატომღაც „რეზერვისტი“ მეგის ქარდავა გაქცეულია, „რეზერვისტი“ ახალაია-უმცროსი ციხეში ზის, ახალაია-უფროსი იძებნება, მამა ახალაია კი კომენტარს არ აკეთებს!**

## „ვიცი, ვისი გვარები წერია შსს-ს მიერ ამოღებულ ე.წ. დასაჭერთა სიაში“

მეგის ქარდავას ბავშვობის დღიურის, „დასაჭერების“ სიისა და ლამის ოკუპირებული ტერიტორიების დასაბრუნებლად სამყოფი სერიოზული შეიარაღების ამოღებას ნაციონალური მოძრაობის ლიდერების გააქტიურება მოჰყვა — სპეცოპერაციის დღეს, ციხეშიმჯდომმა ექსპრემიერმა ვანო მერაბიშვილმა ტელევიზორის უქონლობის გამო შიმშილობა დაიწყო, გიორგი ვაშაძემ საგანგებო ბრიფინგზე გააპროტესტა, ეს სიები ქვევრის ნაცვლად, ბოთლში რატომ არ იპოვნესო, დავით ბაქრაძემ კი მეორე სპეციალურ ბრიფინგზე დააანონსა, საპრეზიდენტო კანდიდატს პრაიმერით სულ მალე ავირჩევთო. არსად ჩანდა უკანონო ბანდფორმირებების სკანდალის ერთ-ერთ მთავარ გმირად და წინამძღოლად მონათლული თენგიზ გუნავა, რომელიც „ოცნების“ პროკურატურამ არაერთხელ დააკავა და გაათავისუფლა, სააკაშვილმა კი სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორად დანიშნა. რატომღაც არავინ საუბრობს სკანდალის კიდევ ერთ მთავარ გმირზე, დათა ახალაიაზე.

**დათა ახალაიას გვარ-სახელმა მედიაში უკანასკნელად მაშინ გაიჟღერა, როცა გაჩნდა ინფორმაცია — დათა ახალაიამ, თურქეთის ტერიტორიაზე, პროკურატურას ვანო მერაბიშვილის წინააღმდეგ კომპრომატები გადასცა და „ოცნებას“ ძველი მტერი დააჭერინაო. თუ ეს ინფორმაცია მართალია და თუ დათა ახალაია უკანონო ბანდფორმირებების ერთ-ერთი მეთაურიც იყო, რატომ არ შეიძლება, გამოძიებასთან ამჯერადაც მას ეთანამშრომლა და იარაღის სამალავების მდებარეობა გაეცა?**

„ვერსია“ ამ და არამხოლოდ ამ კითხვებით ნაციონალ გუბერნატორს, **თენგიზ გუნავას** დაუკავშირდა, რომელსაც სამეგრელოს სკანდალის გარშემო სულ სხვა ვერსიები აქვს: **„ეს იყო სპექტაკლი, რომელიც შს სამინისტრომ დადგა! ძალიან ცუდია, რომ მათ ხალხის მოტყუება დაიწყეს და, ვფიქრობ, საქართველოში ერთი ადამიანიც არ მოიძებნება, ვინც მსგავს რაღაცებს დაიჯერებს. თურმე რაღაც სიები და დღიურები იპოვეს — შემთხვევით, ქარდავას დაბადების მოწმობა და ატესტატიც ხომ არ იყო იმ ქვევრში?! ეს ხალხი უკვე მარაზმში გადადის. ეს ყველაფერი იმისკენაა მიმართული, რომ კითხვები, რაზეც შს სამინისტროს პასუხები არ აქვს, რაღაცნაირად გადაფაროს! ჯერ ვითომ, ვიღაც ტერორისტები დააკავეს და, საბოლოო ჯამში, აღმოჩნდა, რომ ეს ორი ადამიანი ტერორისტი არ ყოფილა. მერე „თალიბანის“ რაღაც კლიპი გამოჩნდა, რომელიც საქართველოში ყოფილა დამზადებული და ამაზეც ვერაფერი დააკონკრეტეს. თუ სამინისტრო ხარ, მთელი ამ ხნის განმავლობაში, მსგავს კითხვებს პასუხიც უნდა გასცე. ეს პასუხები არ ჩანს, ამიტომაც ახლა მორიგი შოუ მოიფიქრეს, რაც ისეთი ზღაპარია, მისი მოყოლით ბავშვსაც ვერ დააძინებ. ძალიან ცუდია, მსგავსი მოქმედებებით ხელს უწყობენ რუსულ პოლიტიკას — მხოლოდ რუსებს სურთ, საქართველოში ხალხს თავს ეს ტერორისტული იდეები მოახვიონ და საერთაშორისო დონეზე დესტრუქციულ ქვეყნად წარმოგვაჩინონ. ჯერჯერობით, გამოძიებას ჩემთვის არაფერი უკითხავს, არც დაკითხვაზე დავუბარებივარ, თუმცა თუ რაიმე შეკითხვები აქვთ, ყველაფერზე პასუხს გავცემ! რაც შეეხება იმას, თითქოს ამ რაღაც „სამალავების“ მდებარეობა დათა ახალაიამ გასცა, ეს დიდი აბსურდია და საერთოდ, ისიც აბსურდია, რასაც შს სამინისტრო ამ თემაზე ავრცელებს. სხვა ახსნა და პასუხი, უბრალოდ, არ მაქვს“.**

სამაგიეროდ, საინტერესო ახსნა და მეტიც, როგორც თავად ამბობს, „დასაჭერების სიის“ შესახებ საინტერესო ინფორმაცია აქვს ლევან გაჩეჩილაძის თანამებრძოლს, მისი ორგანიზაცია „დაიცავი საქართველოს“ აქტიურ წევრს, **კახა მიქაიას: „ამ ბანდფორმირებებზე განცხადებები იმაზე გაცილებით ადრე გავაკეთე, ვიდრე ირაკლი ალასანიამ. პირდაპირ გიდასტურებთ, ჩემი ეს განცხადებები შსს-ს მიერ ახლა ნაპოვნ იარაღთან პირდაპირ კავშირშია! ეს არის მეგის ქარდავასა და თენგიზ გუნავას მიერ შექმნილი ბანდფორმირებებისთვის ანუ ე.წ. ნებაყოფლობითი რეზერვისთვის განკუთვნილი იარაღი! სრული პასუხისმგებლობით ვამბობ, ამ სამალავის აღმოჩენა კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ხელისუფლებაში იყო მიხეილ სააკაშვილის მიერ შექმნილი ტერორისტული დაჯგუფება, რომელსაც ქართულ „ალქაიდას“ ვუწოდებ. მას სურდა, არჩევნებში არასასურველი შედეგის მიღების შემთხვევაში, საკუთარ ხალხს ისევ იარაღით დაპირისპირებოდა და მასზე ისევ ეძალადა!**

**სამეგრელოში ახლაც ბევრი ადამიანია, ვისაც შესაძლოა, ამ იარაღის მდებარეობის შესახებ სცოდნოდა და არ გამოვრიცხავ, ეს სამალავები რომელიმე მათგანს გაეცა. აქვე, არც იმას გამოვრიცხავ, გამოძიებასთან დათა ახალაიამ ითანამშრომლა, უფრო სწორად, იძულებული გახდა, ყველაფერი ეღიარებინა და სამალავის შესახებაც მიეწოდებინა ინფორმაცია. მეტსაც გეტყვით, მე ვიცი, ვისი გვარები წერია შსს-ს მიერ ამოღებულ ე.წ. დასაჭერთა სიაში — ესენი ვართ მე, პირველ ნომრად, ნანა ფაჟავა, ირაკლი ჩაჩიბაია და კიდევ რამდენიმე ადამიანი! დღესაც ვადასტურებ, მთავარი მოქმედი პირები როლანდ ახალაია და მისი შვილები — დათა და ბაჩო, ასევე, თენგიზ გუნავა და მეგის ქარდავა, თავიანთი პოლიციისა და კუდ-ის უფროსებიანად!“**

სამალავების აღმოჩენის საღამოს კი საინტერესო კომენტარი თავდაცვის ექსმინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** გააკეთა: **„რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ჰქონდა შემუშავებული თავდაცვის გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საცეცხლე წერტილებისა და ბუნკერების აშენებას, იარაღების საიდუმლო საცავების გაკეთებას და ასე შემდეგ. ამ გეგმას ადევს გრიფი საიდუმლო. ასეთი გეგმა არსებობს ყველა ქვეყანაში და მხოლოდ პირველი დონის დაშვების მქონე თანამშრომლებს აქვთ გეგმის დეტალებზე ინფორმაცია. ამის გასაჯაროება ყოვლად დაუშვებელია, რადგან აკნინებს ჩვენს თავდაცვისუნარიანობას. იყო თუ არა დღეს ნაჩვენები სამალავი ამ გეგმის ნაწილი, ვერ გეტყვით, რადგან არ არის ცნობილი, თუ სად იყო აღმოჩენილი“** — განაცხადა დიმიტრი შაშკინმა, რომელთანაც, როგორც თავდაცვის სამინისტროს ბოლო „ნაციონალ“ მინისტრთან, შესაძლოა, გამოძიებას კითხვები გაუჩნდეს. თუმცა კიდევ უფრო საინტერესო ის ვერსიაა, რომ შაშკინმა ამ წინასწარი განცხადებით თავი დაიზღვია და ყველას შეგვახსენა, წინა მინისტრის, ბაჩო ახალაიას არსებობის შესახებ. თუ ეს ასეა და, იარაღის სამალავები მართლაც ბაჩო ახალაიას მინისტრობის დროსაა შექმნილი, მაშინ ყველაფერი თავის ადგილზე დგება და ალასანია-მიქაიას ინფორმაცია კიდევ ერთხელ დასტურდება.



# ვინ დაისვენებს „პატრიოტთა ბანაკებში“ და რა შეღავათებს შესთავაზებს ბიზნესმენებს სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი

**17 ივნისს, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისთვის ფარგლებში, მედიის წარმომადგენლებს შეხვდა და შვიდი თვის საქმიანობის ანგარიში წარმოადგინა.**

მინისტრის განცხადებით, გაუქმებული სპორტის აკადემიის ბაზაზე საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფუძნდა, ასევე საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ცენტრში 500 სპორტსმენისთვის ამოქმედდა ხუთი უფასო სპორტული სექცია (ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, კრივი, ძალოსნობა). სპორტის 45 სახეობაში დაფინანსდა 57 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, 40 ადგილობრივი და 83 საერთაშორისო სპორტული შეჯიბრი, სადაც ქართველმა სპორტსმენებმა, საერთო ჯამში, 216 მედალი, აქედან 72 ოქრო, 58 ვერცხლი და 86 ბრინჯაო მოიპოვეს. პარალელურად, სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, „საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების“ უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო შეიქმნა და ა.შ.

ჟურნალისტებისთვის ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მინისტრი ანაკლიის „პატრიოტთა ბანაკში“ აზრის ჩამოხსნისა და მაისურების დაწვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ხელისუფლების ოპონენტები დეზინფორმაციას ავრცელებენ. მან ფოტომასალაც წარმოადგინა იმის დასამტკიცებლად, რომ ანაკლიის ბანაკის საკუთრებაში არსებული მაისურები და ქუდები სპეციალურ საწყობებში ინახება: **„პატრიოტთა ბანაკების ადრინდელი ფორმა და შინაარსი შევცვალეთ. თუ ადრე ბანაკებში სტუდენტები მიდიოდნენ, ჩვენ ასაკი დავწიეთ ანუ ანაკლიის ახალგაზრდულ ბანაკში, სამინისტროს ორგანიზებით, დაახლოებით ორი ათასი, 15-დან 18 წლამდე წარჩინებული მოსწავლე დაისვენებს. წინა ხელისუფლების პირობებში, ახალგაზრდების მოწამვლის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა, ამიტომაც მსგავსი ფაქტების პრევენციისთვის, ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად, სპეციალური მენიუ შევადგინეთ. რაც შეეხება მაისურების დაწვას, ყველა ნივთი საწყობში ინახება, რაც წარმოდგენილი ფოტომასალითაც დასტურდება. აქვე გიდასტურებთ, რომ სახელწოდება „პატრიოტებიც“ შეიცვალა და მას „მომავლის ბანაკი“ დაერქმევა, თუმცა აღნიშნული დასახელებაცა და ბანაკების ბიუჯეტიც წინა ხელისუფლების მიერ გაწერილი დაგვხვდა, ჩვენ მასში მხოლოდ მცირე კორექტირება შევიტანეთ. ასე რომ, ბავშვები ბანაკში დროს ბედნიერად გაატარებენ“.**

ლევან ყიფიანი ფეხბურთის ფედერაციაში შექმნილ ვითარებასაც გამოეხმაურა. მოგეხსენებათ, რვა საფეხბურთო კლუბი — „დინამო თბილისი“, „ზესტაფონი“, „ვიტ ჯორჯია“, „მეტალურგი“, „სიონი“, „ზუგდიდი“, „მერანი“ და „ტორპედო“ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარს აცხადებდა და, გორის „დილის“ მსგავსად, სახელმწიფოსგან ორი მილიონი ლარით დაფინანსებას ითხოვდა. თუმცა გაირკვა, რომ, ამ ეტაპზე, ჩემპიონატში მონაწილეობაზე, „ზესტაფონის“ გარდა, ყველა დანარჩენი გუნდი თანახმაა: **„სიცრუეა, თითქოს სახელმწიფო მხოლოდ ერთ გუნდს, გორის „დილას“ აფინანსებს, რადგან ყველა საბიუჯეტო კლუბი მუნიციპალიტეტებისგან ფინანსდება. აუცილებელია თანასწორობის დაცვა, თუ ერთ საფეხბურთო გუნდს დავეხმარეთ, არც სხვები უნდა დარჩნენ დაფინანსების გარეშე, მაგრამ სპორტში კერძო ინვესტიციებიც უნდა შემოვიდეს. სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს, რათა ბიზნესმენებისთვის სპორტული კლუბების დაფინანსება მიმზიდველი გახდეს. შესაბამისი ბაზებიც უკვე მზადების პროცესშია. ამ მიმართულებით, ბიზნესმენებისთვის გარკვეული შეღავათებიც უნდა არსებობდეს, მაგრამ ყველაფერი თანმიმდევრულად უნდა განხორციელდეს, პროცესი ქვეყნის ბიუჯეტზე მტკივნეულად რომ არ აისახოს. ვთანამშრომლობთ ფინანსთა სამინისტროსთან, რათა სპორტული კლუბებით დაინტერესებულ ბიზნესმენებს ელექტროენერგიისა და წყლის გადასახადზე შეღავათები შევთავაზოთ. მთავარია, პროცესის დასაწყებად სახელმწიფოს მხრიდან კეთილი ნება არსებობს“.**

*რუსუდან შელია*

# შსს-მ და პროკურატურამ უნდა აღკვეთონ პირად და საქმიან ცხოვრებაში ჩარევისა და შანტაჟის მორიგი უპრეცედენტო მცდელობა



ვანო ჩხარტიშვილსა და ინა გუდავაძეს შორის არსებული დავა, ამ დღეებში გარკვეული დაინტერესებული ძალებისა და მედიის არაჯანსაღი აჟიოტაჟის საფუძველი გახდა. ამ დავის მიმდინარეობის თითოეულ დეტალზე ჩვენ მუდმივად ვაყენებდით საქმის კურსში ქართულ საზოგადოებას და ამჯერადაც ასე გვინდა მოვიქცეთ. პრეტენზია ვანო ჩხარტიშვილის მიმართ ინა გუდავაძის მხრიდან ოფიციალურად, პირველად გასული წლის თებერვალში დაფიქსირდა. ბატონმა ვანომ მაშინვე შესთავაზა ქალბატონ ინას მსოფლიოში აღიარებული 5 საუკეთესო აუდიტორული კომპანიიდან აერჩია ერთ-ერთი, რომელიც მისი და ბადრი პატარკაციშვილის საქმიანი ურთიერთობის ყველა ნიუანსს შეისწავლიდა. ბატონი ვანო მზად იყო, დაეთმო ნებისმიერი აქტივი, რომელზეც დასაბუთებული პრეტენზია გაჩნდებოდა. საკუთარ თავზე იღებდა იგი ფირმის მომსახურების ხარჯებს. წინა ხელისუფლების ზეწოლის გამო, შეთანხმება არ შედგა და დავამ, ინა გუდავაძის ინიციატივით, საერთაშორისო სასამართლოში გადაინაცვლა. ბრიტანეთის სასამართლომ 2012 წლის ივნისში, უსაფუძვლოდ სცნო ინა გუდავაძის მოთხოვნები და მას ვანო ჩხარტიშვილის სასარგებლოდ, სოლიდური თანხა დააკისრა.

ამის შემდეგ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ინა გუდავაძემ რატომღაც იმ რეჟიმის პროკურატურას სთხოვა სიმართლის დადგენა, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილის სიცოცხლე შეიწირა და უსამართლობისა და ძალადობის სიმბოლო იყო. 2012 წლის ივნისში მან საჩივარი შეიტანა სააკაშვილის პროკურატურაში. ვიმეორებთ — 2012 წლის ივნისში და არა 2013 წლის დეკემბერში, როგორც ამას არცთუ შეუგნებლად აღნიშნავენ ჩვენი ოპონენტები. 2013 წლის იანვარში ახალმა პროკურატურამ ინა გუდავაძეს 9-ვე ეპიზოდთან დაკავშირებით საკითხის განხილვაზე უარი უთხრა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო. იმავე საქმეზე ხელახლა გამოძიების დაწყება აშკარა ნონსენსია და შეუსაბამოა ცივილიზებულ სამართლებრივ სივრცესთან. შეგვიძლია საფუძვლიანი ეჭვი გამოვთქვათ, რომ ამის უკან, ისევე როგორც 2012 წლის ივნისში, პირები დგანან. სხვაგვარად გაუგებარია რატომ უნდა ეძებო დამატებით სამართალი ჯერ კიდევ დაულაგებელ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, როცა აღნიშნული საკითხისა და ეპიზოდების განხილვა მსოფლიოში აღიარებულ ბრიტანეთის ავტორიტეტულ სასამართლოში, თავად ინა გუდავაძის სარჩელის საფუძველზე, დღესაც მიმდინარეობს.

თქვენი ყურადღება ასევე გვინდა, შევაჩეროთ ჩვენი ოპონენტების მხრიდან გამიზნული სიცრუის ტირაჟირების შემდეგ ფაქტებზე. კერძოდ, მათი მთავარი არგუმენტი, რომ ვანო ჩხარტიშვილმა აქტივები გაყიდა 2008 წელს, ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, წმინდა წყლის სიცრუეა. აქტივების ნაწილი პატარკაციშვილისგან შეძენილ იქნა 2006 წლის 16 აგვისტოს და ამის დამადასტურებელი დოკუმენტები წარედგინა ქართულ მედიას. 2008 წელს ბადრი პატარკაციშვილის აქტივები ვერანაირად ვერ გაიყიდებოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მისი ყველა აქტივი ხელისუფლების მიერ იყო დაყადაღებული. 2008 წელს, ვანო ჩხარტიშვილზე დაწყებული ზეწოლის გასანეიტრალებლად, მოხდა მისივე და არა ბადრი პატარკაციშვილის აქტივების შიდა გადაყიდვა და არა მეპატრონის შეცვლა. აღნიშნული აქტივებიდან გადასახადებს ბიუჯეტში იხდიდა მისი მეპატრონე ანუ ვანო ჩხარტიშვილი. აქტივების მეორე ნაწილი, რომელზეც არის პრეტენზიები, წაიღო სააკაშვილის ხელისუფლებამ და, აღნიშნულიდან გამომდინარე, მათზე როგორ უნდა იყოს ვალდებული ჩხარტიშვილი, სრულიად გაუგებარია.

მიუხედავად ამისა, არის თემები, რომლებიც გასარკვევია და ჩვენ არასოდეს გვითქვამს უარი მოლაპარაკების მაგიდასთან მათ მოგვარებაზე.

და ბოლოს, ყველაფრის მიუხედავად, ეს საქმე ერთ ჩვეულებრივ, კერძო დავად დარჩებოდა, რომ არა ამ დავის თანმხლები ადამიანის პირად და საქმიან ცხოვრებაში უხეში ჩარევის საშიში რეციდივები. კერძოდ, ამ აჟიოტაჟის ატეხვამდე, „ანონიმი" ავტორის მიერ სოციალურ მედიაში გავრცელებული იქნა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ვანო ჩხარტიშვილის პირადი და საქმიანი ცხოვრების ამსახველი მასალები. ამ მასალების კავშირი ახლა მიმდინარე საინფორმაციო კამპანიასთან უდავოა, რადგან სწორედ ანონიმი ავტორის მიერ გავრცელებული ინგლისის პასპორტი გამოყენებულ იქნა ვანო ჩხარტიშვილის დისკრედიტაციისა და მასზე ყალბი ინფორმაციების გასავრცელებლად.

საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ გავრცელებული დოკუმენტები ვანო ჩხარტიშვილის პირადი კომპიუტერიდან წინა ხელისუფლების სპეცსამსახურების მიერ უკანონოდ მოპოვებული მასალების ნაწილია. ამა და ამ მასალებზე დაყრდნობით, ფალსიფიცირებული დოკუმენტების გამოყენებით, სააკაშვილის რეჟიმმა ერთხელ უკვე სცადა ვანო ჩხარტიშვილის დაშანტაჟება და დემოკრატიული ძალების მხარდაჭერისგან მისი ჩამოცილება.

ამჯერად, როგორ და საიდან აღმოჩნდა ეს მასალა მავანი „ანონიმის" ხელში, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა შსს-ს არ გაუჭირდება, რადგანაც ძალიან ვიწროა წრე იმ ადამიანებისა, რომელთაც ხელი მიუწვდებოდათ ამ მასალებზე, ასევე სირთულეს არ წარმოადგენს „ანონიმი" ავტორის პიროვნების დადგენა.

ყველა შემთხვევაში, საქმე გვაქვს პიროვნების პირადი და საქმიანი ცხოვრების ამსახველი მასალების დანაშაულებრივად მოპოვებასთან და მათი ასევე დანაშაულებრივად გამოყენების მორიგ უპრეცედენტო შემთხვევასთან. მივმართავთ შს მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს და საქართველოს მთავარ პროკურორს არჩილ კბილაშვილს, აღკვეთონ ადამიანის პირადი და საქმიანი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიის კონსტიტუციით განსაზღვრული ნორმის უხეში დარღვევის მორიგი მცდელობა.

მივმართავთ ასევე, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს, უფლებადამცველ ორგანიზაციებს — ახალგაზრდა იურისტთა და ახალგაზრდა ადვოკატთა ასოციაციებს, ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, სხვა უფლებადამცველ ორგანიზაციებს, დააწესონ მკაცრი კონტროლი აღნიშნულ საქმეზე, რადგანაც ეს არის ქართული საზოგადოების მორიგი გამოწვევა და თუ ეს მცდელობა უპასუხოდ დარჩა, ხვალ და ზეგ, სპეცსამსახურების არქივებიდან გამოჟონილი მასალებით გარკვეული ძალები შეეცდებიან, ქართულ საზოგადოებას, თამაშის თავისი წესები მოახვიონ თავს.

ჩვენ ყოველთვის მზად ვართ, ამომწურავი პასუხი გავცეთ სამართალდამცავთა მხრიდან თუ საზოგადოებაში ჩვენს მიმართ გაჩენილ კითხვებს. ქალბატონ ინას კი მოვუწოდებთ, დარჩეს დავის ცივილიზებული სამართლებრივი მოგვარების ჩარჩოებში და გაემიჯნოს აგორებული შავი პიარის კამპანიის დირიჟორებს, რადგანაც, ერთი, რომ ასეთი დავები ვერანაირად გადაწყდება მედიაში დაშანტაჟებით და მეორეც, სწორედ ისინი უშლიან ხელს საკითხის მოლაპარაკების მაგიდასთან მოგვარებას. მათი მერკანტილური ინტერესებისა და უკანონო ქმედებების შესახებ საზოგადოება მალე შეიტყობს.

მანამდე კი, შანტაჟის ენაზე საუბარი გრძელდება. გამოჩნდა თურქი ბიზნესმენი, რომელიც ვანო ჩხარტიშვილს უჩივის თითქოსდა მიუღებელი შემოსავლების გამო; ფანტაზიებში უფრო შორს წავიდა „დროულად გამოფხიზლებული" უფლებადამცველი მელორ ვაჩნაძის ე.წ. საინიციატივო ჯგუფი, რომელიც ბიზნესმენის ოფისთან საბჭოთა ანაბრების დაბრუნების მოთხოვნით, აქციის გამართვას გეგმავს; ხვალ, შესაძლოა, კიდევ ახალი „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქზ–ღლიღვი, დიდო, ქისტი" გამოგვეცხადოს და მათაც „წაჰკრან თითო ყისტი" „დაჩაგრული" ქალბატონის მეგობრების მიერ აგორებულ ამბავს და ა.შ. და ა.შ.

ეს ყველაფერი ღიმილს იწვევს და ამ ყველაფერზე პასუხი ერთია – ბიზნესმენი ვანო ჩხარტიშვილი არასოდეს დაქვემდებარებია ზეწოლას, შანტაჟს, მსგავს ზემოქმედებას არც მომავალში დაექვემდებარება.

*ვანო ჩხარტიშვილის პრესსამსახური*
*18.06.2013.*



## 2007 წელს „ვერსიაში" ექსკლუზიურად გამოქვეყნებული „ციცინათელები" ისევ დაბლოკეს!

### კინორეჟისორმა ლევან ანჯაფარიძემ კულტურის სამინისტროს წინ უვადო შიმშილობა დაიწყო

ნათია ვასაძე
555-98-61-65

კინორეჟისორი ლევან ანჯაფარიძე ეროვნული კინოცენტრის მიერ ჩატარებულ სრულმეტრაჟიანი ფილმების კონკურსს უნდობლობას უცხადებს და, პროტესტის ნიშნად, კულტურის სამინისტროსთან უვადო შიმშილობას იწყებს. ეროვნული კინოცენტრი, აღნიშნულ კონკურსზე, ყოველწლიურად 5 გამარჯვებულ სცენარს გამოავლენს და ნაწილობრივ, ფილმის გადაღებასაც აფინანსებს. ლევან ანჯაფარიძე წელს უკვე მეოთხედ ვერ მოხვდა გამარჯვებულთა შორის.

**„ეროვნულ კინოცენტრში არაპროფესიონალები წყვეტენ შემოქმედი ადამიანების ბედს, ამიტომაც ვერ მოხვდა ჩემი სცენარი გამარჯვებულთა შორის. პირველ ადგილზე ლევან თუთბერიძის, ხოლო მეორე ადგილზე რუსუდან პირველის სცენარი გავიდა. მათთან დაკავშირებით, არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია, მაგრამ დანარჩენებს, ვერ ვხვდები, რა დამსახურებით მიენიჭათ ადგილები",** — განაცხადა ლევან ანჯაფარიძემ და აქვე აღნიშნა, რომ ეროვნულმა კინოცენტრმა მას მეორე ტურში გადასული 5 სცენარის გასაჯაროებაზეც კი უარი განუცხადა, რისი მოთხოვნის კანონიერი უფლება, როგორც კონკურსის მონაწილეს, ჰქონდა.

რეჟისორი უნდობლობას უცხადებს ჟიურის, მისი შემადგენლობის გადახედვასაც ითხოვს და ამბობს, რომ „ჟიურის სულ სამი წევრი აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც კინოექსპერტს უნდა გააჩნდეს — ლანა ღოღობერიძე, არჩილ შუბაშვილი და კოტე ჯანდიერი. დანარჩენები მიკერძოებული არაპროფესიონალები არიან. ამას ექსპერტიზაც კი არ სჭირდება, უბრალოდ, ეროვნული კინოცენტრის მიერ გამოშვებულ ბროშურებს გადაავლეთ თვალი და ნათლად დაინახავთ, რომ ვინც შარშანწინ იყო კომისიაში, იმათ გადააღებინეს შარშან ფილმები. წელს ეს ადამიანები ისევ კომისიაში არიან, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაისად თვითონ გადაიღებენ ფილმებს. არადა, თუ ვინმე ტრაბახობს, რომ ერთ ფილმში ერთი პრიზი აქვს აღებული, მე ერთ ფილმში ეგეთი 15 პრიზი ავიღე".

არადა, ლევან ანჯაფარიძის მიერ კონკურსზე წარმოდგენილი სცენარი „ციცინათელები" აფხაზეთის თემაზეა და, რეჟისორის აზრით, იგი კიდევ ერთხელ წინ წამოწევდა ქვეყნისთვის პრიორიტეტულ თემას. მას იმედი ჰქონდა, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, პრიორიტეტები შეიცვლებოდა, რაც ასე არ მოხდა.

**„ამ 9 წლის განმავლობაში, ის რეჟისორები, რომლებიც ძალიან კომფორტულად გრძნობდნენ თავს და ერთხელაც არ გაუპროტესტებიათ წინა ხელისუფლების ბარბაროსობა, დღესაც აგრძელებენ ფილმების გადაღებას, ისინი კი ვინც ხმას ვიღებდით და უსამართლობას არ ვეგუებოდით, ისევ დაჩაგრულები ვართ!"** — აცხადებს ლევან ანჯაფარიძე, რომელიც არც იმას მალავს, რომ დაუკავშირდნენ კულტურის სამინისტროდან და აცნობეს, რომ 20 ივნისს დანიშნულია კომისია და ქალბატონი მანანა ბერიკაშვილი უცხოეთიდან დაბრუნებისთანავე, ამ საკითხით დაინტერესდება, თუმცა რეჟისორი საპროტესტო აქციის შეწყვეტას, გადაწყვეტილების მიღებამდე არ აპირებს.

**რას გადაწყვეტს 20 ივნისს კომისია, ამას მოგვიანებით შევიტყობთ, თუმცა აქვე შეგახსენებთ, რომ „ციცინათელები" 2007 წლის ივლისში ექსკლუზიურად დაიბეჭდა გაზეთ „ვერსიაში" და კარგად გვახსოვს, საზოგადოების მხრიდან როგორი აჟიოტაჟი მოჰყვა მას. მიუხედავად ამისა, აფხაზეთის ტრაგედიაზე დაწერილი სცენარით ფილმის გადაღების დაფინანსება ვერც ერთმა ბიზნესმენმა ვერ გაბედა. იმედია, საქართველოს კულტურის მინისტრი, რომლისთვისაც აფხაზეთის ტრაგედია პირადი ტკივილია, ამ საკითხს პირად კონტროლზე აიყვანს და ლევან ანჯაფარიძის „ციცინათელებს" მალე იხილავს ქართველი მაყურებელი.**

მირიან ლეჟავა-ნიძე
5-77-41-38-41

# თურქეთი რევოლუციის მოლოდინში



ღარჩებიან თუ არა ისლამისტები ქვეყნის სათავეში

**თურქეთში საპროტესტო გამოსვლები არ წყდება. გრძელდება სასტიკი შეტაკებები პოლიციასა და დემონსტრანტებს შორის. გასულ უქმეებზე ოდნავ ჩამცხრალმა ძალადობამ ახალი ძალით იფეთქა, თუმცა, უკვე ცხადია, რომ საპროტესტო გამოსვლებმა ფორმატი შეიცვალა და უმართავი ქაოსიდან მართვადი ქაოსის სახე მიიღო. ერთი მხრივ, სამკვირიანი ხელჩართული ბრძოლების შემდეგ პოლიციამ მაინც იმძლავრა და კონფლიქტის ეპიცენტრი - ტექსიმის მოედანზე გეზი პარკი მომიტინგეთაგან გაწმინდა. ამავე დროს, ახლა დემონსტრაციების ტალღას გაურკვეველი წარმოშობის ორგანიზაცია „თაკსიმ პლატფორმ“ კი არა — ქვეყნის ორი უდიდესი პროფკავშირული გაერთიანება მართავს. თურქეთის ამბოხებული საზოგადოება ხელისუფლებისგან ძირეულ ცვლილებებს მოითხოვს. დღეისათვის მანიფესტაციების შედეგია 5 დაღუპული და ათასობით დაშავებული. ცხადია, „თურქული ზაფხულის“ სეზონი ჯერაც არ დახურულა და კვანძის გახსნას, შესაძლოა, კიდევ დიდხანს ველოდოთ.**

**თურქული და უცხოური მედია, საზოგადოება, პოლიტიკური წრეები და ანალიტიკოსები თავს იმტვრევენ, როდემდე გაგრძელდება პროტესტი და რა გადაწყვეტილებას მიიღებს მთავრობა? და ბოლოს და ბოლოს: რომელი პოლიტიკური ძალების ან ქვეყნების ინტერესებშია ერდოღანის ხელისუფლების დასუსტება თუ შეცვლა და რა გავლენას იქონიებს იგი ახლო აღმოსავლეთის გეოპოლიტიკაზე?**

## პროტესტის საბაბი — გეზი პარკის რეკონსტრუქცია

ყოველივე საკმაოდ უმნიშვნელო მოვლენიდან დაიწყო. ხელისუფლებამ სტამბოლში, ტექსიმის მოედანზე, ერთ-ერთი ჩვეულებრივი სკვერის, გეზი პარკის განაშენიანების გადაწყვეტილება მიიღო. გეგმის თანახმად, მწვანე ზოლი უნდა გაეჩეხათ და სავაჭრო ცენტრი აეშენებინათ. იდეა პრემიერ ერდოღანს ეკუთვნის და სტამბოლის მერი არ იზიარებდა. მწვანეთა ორგანიზაციამ ხელისუფლების ინიციატივა გააპროტესტა, რადგან სტამბოლში მიმდინარე მშენებლობებს არაერთი სკვერი ემსხვერპლა და, მათი განცხადებით, ქალაქის ცენტრში პარკის რეკონსტრუქცია ჰაერის გადაკეტვას ნიშნავს. 28 მაისს, ხელისუფლებამ გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა — პოლიციამ სკვერში მწვანეთა 40-50-კაციანი მიტინგი სასტიკად დაარბია, რაც მასობრივი გამოსვლების კატალიზატორი გახდა. სამართალდამცავთა დაუნდობელმა მოქმედებამ თურქების დიდი ნაწილის მოთმინების ფიალა აავსო. 29-30 მაისს მწვანეთა აქტივისტებს უბრალო მოქალაქეებიც შეუერთდნენ და დაიწყო...

## „არა ისლამიზაციას - არა ერდოღანს“

ერდოღანმა ვერ გათვალა, რომ გეზი პარკს თურქებისთვის ისტორიული და სიმბოლური დატვირთვა აქვს, მისი განადგურება კი სიწმინდის ხელყოფას ნიშნავს. პარკს საძირკველი თანამედროვე თურქეთის ფუძემდებელმა ქემალ ათათურქმა, გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩაუყარა. მანამდე იქ ჯერ არტილერისტთა ყაზარმები იყო, შემდეგ სტადიონი, სადაც 1923 წელს, თურქეთის ნაკრებმა ისტორიაში პირველი საფეხბურთო მატჩი ჩაატარა. ამდენად, გეზი პარკი თურქებისთვის ათათურქისა და რელიგიური ფუნდამენტალიზმისგან თავისუფალი, ევროპული ყაიდის სახელმწიფოს სიმბოლოა, ამიტომაც ხალხმა სკვერის რეკონსტრუქციის იდეა ათათურქის ნაანდერძევის ხელყოფად აღიქვა. ერდოღანს დაუპირისპირდა საზოგადოების ყველა ფენა, მათ შორის ხელისუფლებისადმი ყველაზე ლოიალურად განწყობილი სახელმწიფო მოხელენი და პენსიონერებიც კი. პარკი მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ფეხბურთის ფანატებისთვისაც და ისინიც მომიტინგეთა შორის აღმოჩნდნენ... მოთხოვნას გეზი პარკის შენარჩუნების შესახებ მომენტალურად დაემატა ახალი პუნქტები: „არ გვინდა ამდენი ისლამური სკოლა, არ გვინდა ანტიალკოჰოლური კანონი, აბორტების აკრძალვა, მოვითხოვთ, დემოკრატიასა და სიტყვის თავისუფლებას, ხელისუფლება არ უნდა ერეოდეს ჩვენს პირად ცხოვრებაში“...

პოლიტოლოგი, პროფესორი **ილჰან უზტელი** ამბობს: **„ქუჩაში გამოვიდა ყველაზე აქტიური საშუალო ფენა. აქ არ არიან ლიდერები, არ არის გარკვეული იდეოლოგია, შეინიშნება სპონტანურობის ელემენტი. ამ პროტესტის განსაკუთრებულობა ისაა, რომ არ არის ერთიანი მიზეზი, რითაც ხალხი უკმაყოფილოა. ყველას თავისი არგუმენტი და უკმაყოფილების მიზეზი აქვს, თუმცა ყველას ერთი რამ - ერდოღანის პიროვნებისადმი სიძულვილი აერთიანებს. ის უხეშია, კადრულობს უკმეხ გამოთქმებს, რომელიც ხალხს სწყინს და შეურაცხყოფს. ხალხს არ მოსწონს, რომ მან ხელისუფლების მონოპოლიზება მოახდინა და თავად იღებს ყველა გადაწყვეტილებას, ერევა საქმეებში, რომლებზეც პასუხისმგებელნი სხვა უწყებები არიან... ერდოღანი არავის უსმენს და გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად იღებს“.**

## დაპირისპირების ქრონოლოგია

სტამბოლში ერთი მუჭა დემონსტრანტების დარბევის შემდეგ მოვლენები ელვის უსწრაფესად განვითარდა და აშკარად არა იმ მიმართულებით, როგორც ამას ხელისუფლება ელოდა.

31 მაისს, სტამბოლში, ფართომასშტაბიანი მიტინგი გაიმართა, რომელსაც პოლიციამ ძალადობით, ცრემლსადენი გაზით, წყლის ჭავლითა და ცემა-ტყეპით უპასუხა. იმავე დღეს, ფართომასშტაბიანი გამოსვლები დაიწყო ანკარაში, იზმირში, მუგლეში, ბურსასა და მრავალ სხვა ქალაქში. სამართალდამცავებმა ყველგან ძალა იხმარეს და ასეულობით მომიტინგე დააკავეს. 1 ივნისს დემონსტრაციებმა თურქეთის 81 პროვინციიდან 48 მოიცვა. დაკავებულთა რიცხვმა 5000-ს მიაღწია, ხოლო დაშავებულთა — 90-ს. მსოფლიო ბრენდებმა უარი განაცხადეს იმ სავაჭრო ცენტრში შესვლაზე, რომლის მშენებლობაც გეზი პარკში იგეგმებოდა. შეშფოთებულმა პრემიერმა ხალხს დაშლისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტების ფაქტებს გამოიძიებს. ამის მიუხედავად, 2 ივნისს, პოლიციამ მრავალათასიანი მიტინგების დარბევა განაგრძო. დემონსტრაციების ალი 67 ქალაქს მოედო. ანკარის გუბერნატორის განკარგულებით, პრემიერის რეზიდენციის დასაცავად, დედაქალაქში, სამხედრო ქვედანაყოფები შეიყვანეს. ევროკავშირმა თურქეთის ხელისუფლებას სისასტიკის გამო შენიშვნა მისცა. 3 ივნისი, პრეზიდენტმა აბდულა გიულიმ დემონსტრაციებს „დემოკრატიის გამოვლინება“ უწოდა და შეეცადა შეერბილებინა დაძაბულობა, თუმცა პრეზიდენტის სიტყვებს იმავე დღეს პოლიციელების სისასტიკემ გადაუსვა ხაზი: დაიღუპა ერთი ადამიანი, 3000-ზე მეტი დაშავდა, 2300-მდე დააკავეს. ერდოღანის ხელისუფლებას ძალის გადამეტებისთვის შენიშვნა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმაც მისცა. 4 ივნისი, პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, ვიცე-პრემიერმა არინჩმა დემონსტრანტებს ძალადობისთვის ბოდიში მოუხადა, მაგრამ იმავე დღეს პოლიციამ კიდევ ერთი ადამიანი მოკლა. 5 ივლისს კი მესამე მსხვერპლი მოჰყვა. ამჯერად, პოლიციელი დაიღუპა, რომელიც ანკარაში ხიდიდან ჩავარდა. დემონსტრაციებს პროფკავშირები შეუერთდნენ და, სტამბოლში, დემონსტრაციების ეპიცენტრში, დემონსტრანტებმა ბარიკადების აღმართვა დაიწყეს, ცრემლსადენი გაზისგან თავდასაცავად აირწინაღები იშოვეს და პოლიციას ქვებით, შურდულებით, ჯოხებითა და ალმოდებული „მოლოტოვის კოქტეილებით“ დაუპირისპირდნენ. პოლიციამ პარკთან სპეცტექნიკას მოუყარა თავი. ხალხის დასაშლელად წყლის ჭავლში წიწაკის სპრეის ურევდნენ, რაც კანს წვავს და პოლიციასთან დაპირისპირებას შეუძლებელს ხდის. სამართალდამცავებმა სოციალურ ქსელებში „გავრცელებული ჭორებისთვის“ 25 აქტივისტი დააკავეს. ჰაკერულმა დაჯგუფება Anonymous-მა კი ერდოღანის ოფიციალური საიტი გატეხა. 6 ივნისს ორგანიზაცია Taksim platform მოთხოვნები ოფიციალურად გააჟღერა: გეზი პარკის შენარჩუნება, დემონსტრაციებზე ცრემლსადენი გაზის გამოყენების აკრძალვა, სიტყვის თავისუფლება, დემოკრატიული ფასეულობების დაცვა და ძალადობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეების სამსახურებიდან დათხოვნა. დემონსტრაციებს შეუერთდნენ ქურთებიც, რაც თურქებთან მათი მრავალწლიანი დაპირისპირების ფონზე, უპრეცედენტო შემთხვევაა. ხალხისადმი სოლიდარობის ნიშნად, ცნობილმა თურქმა მომღერალმა ტარკანმა უცხოეთში ტურნე შეწყვიტა. დაძაბულობის მიუხედავად, აფრიკაში ვიზიტით მყოფმა ერდოღანმა განაცხადა, რომ ხელისუფლება სკვერში სავაჭრო ცენტრის მშენებლობაზე უარს არ იტყვის და 7 ივნისს, სამშობლოში დაბრუნდა, მაგრამ სიტუაციის განმუხტვას ესკალაცია ამჯობინა და თავის მომხრეებს ქუჩაში გამოსვლისკენ მოუწოდა. 8 ივნისს, დემონსტრაციების მუხტმა კიდევ უფრო დაიკლო, მაგრამ მმართველმა — სამართლიანობისა და განვითარების პარტიამ მაინც განაცხადა, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდება. ნობელის პრემიის ლაურეატმა, გერმანიაში მცხოვრებმა თურქმა მწერალმა ორჰან ფამუქმა დემონსტრანტებს მხარდაჭერა გამოუცხადა. 9 ივნისს კვლავ ძალადობამ იფეთქა და ანკარაში პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. 10 ივნისს სტამბოლსა და ანკარაში ერდოღანმა თავის მომხრეებთან შეხვედრებზე ხელისუფლების მხარდამჭერი მიტინგების გამართვისკენ კვლავ მოუწოდა და განაცხადა, რომ მომიტინგეთა ის ნაწილი, რომელიც პოლიციას წინააღმდეგობას უწევს, უცხოეთიდან მართვადი მარგინალები არიან. გარდატეხა სახეზეა — ხელისუფლებამ მოვლენებზე კონტროლის დამყარება შეძლო. არეულობის მოწყობის მოწოდების ბრალდებით 13 ადამიანი დააკავეს. 11 ივნისს, სტამბოლში, პოლიციამ ტექსიმის მოედანს შეუტია. სამართალდამცავებმა ბარიკადები ჯავშანტექნიკით გაარღვიეს და მცირერიცხოვან მომიტინგეებს რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი დაუშინეს. პოლიციამ დემონსტრანტები პარკიდან განდევნა და ტერიტორია პლაკატებისგან გაწმინდა. ხელისუფლების აგიტაციამ გაჭრა: ქვებითა და აალებადი ბოთლებით შეიარაღებულ ხალხს ოპოზიციის მეორე ნაწილმა ძალის გამოყენებაში ხელი შეუშალა. ამისთვის სტამბოლის გუბერნატორმა მათ მადლობა გადაუხადა და შეჰპირდა, რომ გეზი პარკში მშვიდობიან მომიტინგეთა კარვებს ხელს არ ახლებენ. პროვოკატორები და მარგინალები კი უმკაცრესად დაისჯებიან. 12 ივნისს, ტელეკომუნიკაციების სააგენტომ, 4 თურქული ტელევიზია დემონსტრაციების პირდაპირ ეთერში გადაცემისთვის დააჯარიმა. გერმანიისა და იტალიის მთავრობებმა თურქეთში მიმდინარე ძალადობის გამო, შეშფოთება გამოთქვეს. 13 ივნისს მსხვერპლმა 5-ს მიაღწია: 1 მაისს დაშავებული ეთხემ სარისულუკი საავადმყოფოში გარდაიცვალა. თურქეთის ხელისუფლებამ გეზი პარკის ბედის რეფერენდუმით გარკვევა გადაწყვეტა, მაგრამ მომიტინგეებმა დაშლაზე მაინც უარი თქვეს, რის გამოც ერდოღანმა მათ მოსაფიქრებლად ერთი დღე მისცა. 15 ივნისს, ადგილობრივი დროით, 22 საათზე, გეზი პარკის შტურმი დაიწყო. პოლიციამ კვლავ გამოიყენა ჯავშანტექნიკა, რეზინის ტყვიები, ცრემლსადენი გაზი, წიწაკისსპრეიანი წყლის ჭავლი და ხელკეტები. მომიტინგენი მოედნიდან განდევნეს, თუმცა 16 ივნისს, სტამბოლს მრავალათასიანი პროტესტის ტალღამ ახალი ძალით გადაუარა. ქალაქის სხვადასხვა უბნებიდან ცენტრისკენ ხალხის მრავალრიცხოვანი რაზმები დაიძრა. მართალია, მათ ტექსიმის მოედანზე შეღწევა ვეღარ შეძლეს, მაგრამ ქალაქის ცენტრი მთიანად მოიცვეს. პოლიცია ისევ სასტიკად გაუსწორდა ხალხს. იგივე განმეორდა თურქეთის სხვა ქალაქებშიც. ანკარაში ძალოვანებმა ეთხემ სარისულუკის სამგლოვიარო პროცესიას გზა გადაუკეტეს. საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ ათეულობით დაშავებულის შესახებ. ქვეყნის ერთ-ერთმა უდიდესმა „სახელმწიფო მოხელეთა პროფკავშირებმა“ გაფიცვა დააანონსა. მათ მედიკოსების, ინჟინრების, არქიტექტორებისა და სტომატოლოგების პროფკავშირების კონფედერაცია შეუერთდა. 17 ივნისს პროფკავშირებმა ქუჩაში 250 000 ადამიანი გამოიყვანეს, თუმცა ორჯერ მეტს ელოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ ანკარაში მიტინგები აკრძალა, პროტესტი დედაქალაქშიც გაგრძელდა. ხელისუფლება დაიმუქრა, რომ უწესრიგობის მომწყობთ ტერორიზმის მუხლით გაასამართლებენ. პოლიციასა და მომიტინგეთა შეტაკებებისას იტალიელი ფოტოგრაფი დაიჭრა. 18 ივნისს წინა დღით დაწყებული საპროტესტო გამოსვლები მთელი ღამის განმავლობაში არ შეწყვეტილა. სტამბოლსა და ანკარაში მანქანები მოძრაობდნენ ათათურქის სურათებითა და სახელმწიფო დროშებით. მომიტინგეებს სიგნალებით ესალმებოდნენ სახელმწიფო ავტომობილის მძღოლებიც კი. ტექსიმის მოედანი და გეზი პარკი დემონსტრანტებისგან თავისუფალი, დასუფთავებული და მოწესრიგებულია. იქ აღდგენილია ქვეითთა მიმოსვლაც, მაგრამ სტამბოლში, ანკარასა და დიდ ქალაქებში გამოსვლები მაინც გრძელდება.

*დასასრული მე-7 გვერდზე*

## პრეზენტაცია

# „ვისოლმა“ „ქუთაისის ტორპედოს“ ახალი შემადგენლობა საზეიმოდ წარადგინა




„ჩვენ ერთად შევქმნით ქართული ფეხბურთის უკეთეს მომავალს!“

„ვისოლის“ ახალი სტრატეგიის მიხედვით, „ტორპედო ქუთაისმა“ მაგნიტივით მიიზიდა ახალგაზრდა, უკვე წარმატებული ფეხბურთელები — ისინი, ვისაც აშკარაა, მომავალში, გუნდისთვის დიდი გამარჯვებების მოტანა შეუძლია. „განახლებული“ გუნდის საზეიმო პრეზენტაცია „ვისოლმა“ ქუთაისის ცენტრალური სტადიონის სადღესასწაულო დარბაზში მოაწყო. ღონისძიებაზე, კლუბის პრეზიდენტმა ლევან ფხაკაძემ სტუმრებს ისიც სიხარულით აუწყა, რომ ამიერიდან, ლეგენდარულ გუნდს საერთაშორისო გამოცდილების მქონე ესპანელი მწვრთნელები — ჟერარდ სარაგოსა მულე და ალბერტო ბეროკალ კორეა უხელმძღვანელებენ. **ლევან ფხაკაძე: „გასული 2 წლის განმავლობაში, კლუბი ზედიზედ დაეუფლა ბრინჯაოს მედლებს, მაგრამ ამაზე არ გავჩერდებით. გეზი წარმატებისკენ უცვლელია — ახლა გვინდა, ოქროს მედლები მოვიპოვოთ. „ტორპედო ქუთაისი“ არის წარმატების დიდი ისტორია, რომელშიც „ვისოლ ჯგუფი“ ახალ ფურცელს წერს. გუნდის წინსვლაზე ამიერიდან მრავალწლიანი, საერთაშორისო გამოცდილების მქონე ესპანელი მწვრთნელები იზრუნებენ. გუნდის ახალგაზრდა, ნიჭიერი ფეხბურთელებით გადახალისება, განვითარების ახალ პერსპექტივებს გვისახავს. ჩვენ ერთად შევქმნით ქართული ფეხბურთის უკეთეს მომავალს“.**

ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ჟერარდ სარაგოსამ, რომელთანაც 3-წლიანი შრომითი ხელშეკრულება გაფორმდა, ნდობისთვის მადლობა გადაუხადა „ვისოლის“ ხელმძღვანელებს. გულშემატკივრებს კი დაჰპირდა, რომ ბევრი საინტერესო და წარმატებული თამაშით დაატკბობენ. **ჟერარდ სარაგოსა: „ჩემთვის, „ქუთაისის ტორპედოს“ ახალი წევრები, არ არიან უცხო მოთამაშეები. ესენი არიან ადამიანები, ვისთანაც ერთი წელია ვთამაშობ და ვისი იმედიც მაქვს. მინიმუმ, იმას გავაკეთებთ, რომ წინა სეზონთან შედარებით წინ წავიწევთ, მაგრამ მაქსიმუმის მაქსიმუმიც გაკეთდება. სწორედ ამისთვის ვარ აქ. მადლობა ლევან ფხაკაძეს და „ვისოლს“, რადგან გვერდით მიდგანან და მენდობიან. მადლობა ჩემს გუნდს, იმისთვის, რასაც აკეთებენ სტადიონზე ჩემთან ერთად, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან პატარები არიან. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამათ არ აქვთ გამოცდილება. მათ უთამაშიათ მაღალი კლასის თამაშები და ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! ძალიან მიხარია, რომ მომიწია ისეთ ქალაქში ყოფნა, სადაც ადამიანები ფეხბურთით ცხოვრობენ. სტადიონზე მოსულებს გავახარებთ ჩვენი თამაშით“.**

მთავარი მწვრთნელის პათოსს იზიარებდნენ „ქუთაისის ტორპედოს“ ახალი წევრებიც, ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელები, რომლებმაც პირველად საქართველოს ისტორიაში, 2012 წელს, სლოვაკეთში გამართულ ევროპის ჩემპიონატში (17 წლამდე ნაკრებებს შორის) ნახევარფინალამდე მიიყვანეს საქართველოს გუნდი და 17-წლამდელთა ნაკრების სხვა მოთამაშეებთან ერთად, ელიტრაუნდის ჯგუფში ესპანეთი და ინგლისი ჩატოვეს: **მათე ცინცაძე, დავით ჯიქია, ალეკო მზევაშვილი, ნიკა ჭანტურია, გიორგი გოროზია.**

**ბაჩო მიქავა, დავით მთივლიშვილი, დავით უბილავა** კი, აქამდე საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრები იყვნენ და ამიერიდან „ტორპედო ქუთაისში“ ითამაშებენ. გუნდს წყალტუბოს გუნდიდან შეემატა **თორნიკე კაპანაძე,** რომელმაც პირველ ლიგაში 30-მდე გოლი გაიტანა. „ტორპედო ქუთაისის“ ახალი წევრები არიან, თბილისის „ლოკომოტივის“ ახალგაზრდა ფეხბურთელები **ბექა ტყემალაძე, რევაზ ჩიტეიშვილი, გიორგი გაბაძე, გიორგი გურეშიძე, რევაზ ბარაბაძე, ჯემალ ყანჩაშვილი, გიორგი დუმბაძე, გურამ ლიკავა, დავით გუჯაბიძე, ნიკა წივწივაძე და ლუკა კიკაბიძე.** მათ ყოფილ მწვრთნელთან, ჟერარდ სარაგოსასთან ერთად, 15-მატჩიანი წაუგებელი სერია მოაწყვეს და პირველ ლიგაში გუნდი მეორე ადგილზე გაიყვანეს.

„ტორპედო ქუთასისი“ ახალი შემადგენლობის საზეიმო პრეზენტაციას ქუთაისის მერი დიმიტრი კოპალიანიც შემოუერთდა. მისი თქმით, „აუცილებელია, „ტორპედო“ და ქუთაისი უფრო და უფრო წარმატებული გახდეს“.

გუნდიც და ქალაქიც უფრო წარმატებული რომ გახდება, ამაში ეჭვი არც „ვისოლის“ წარმომადგენლებს ეპარებათ, არც გუნდის ძველ თუ ახალ წევრებს, არც მწვრთნელებს და არც იმ ადამიანებს, ვისი საქმიანობაც ამიერიდან ამ გუნდთანაა დაკავშირებული — მათ ვგულისხმობთ, ვინც სხვადასხვა თანამდებობაზე უკვე დანიშნეს... მაგალითად, მთავარი მწვრთნელის ასისტენტად დაინიშნა დიმიტრი თოფურიძე, ფიზიკურ მომზადებას ალბერტო ბეროკალ კორეა უხელმძღვანელებს. მეკარეების მწვრთნელი კონსტანტინე გუგუნავა იქნება, ექიმი დიმიტრი ზაალიშვილია, ხოლო ფიზიოთერაპევტად რობერტ ხვადაგიანი იმუშავებს.

„ტორპედო ქუთაისზე“ მზრუნველობა „ვისოლმა“ 2010 წლიდან დაიწყო და გუნდის განვითარებისთვის ყოველწლიურად ოთხი მილიონი ლარის ინვესტიციას ახორციელებს. ამას გარდა, „ვისოლ ჯგუფმა“ ჯამურად, უკვე 30 მილიონ ლარზე მეტი გაიღო თბილისსა და რეგიონებში ევროპული სტანდარტების სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნისა და, ზოგადად, ქართული სპორტის განვითარებისთვის.

***ნინო ლურსმანაშვილი***

## გეოპოლიტიკა

# თურქეთი რევოლუციის მოლოდინში

*მე-6 გვერდიდან*

### ერდოღანი — მტრებით გარემოცული

თითქოს მიზანი მიღწეულია: გეზი პარკს ხელისუფლება არ შეეხება, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. პარკი თუ სავაჭრო ცენტრი — ამას რეფერენდუმი გადაწყვეტს. მეტიც, სტამბოლში ახალი აეროპორტი ეკოლოგიური ნორმების დაცვით აშენდება. აბა, რატომ არ იშლება ხალხი? მათ არ სჯერათ ერდოღანის და აღარ აკმაყოფილებთ მისი ხელისუფლების დაპირებები. თანაც, ქვეყანაში მიმდინარე პროცესების მიუხედავად, ცხადია, ერდოღანის ისლამისტურ პოლიტიკას თურქების დაახლოებით ნახევარი უჭერს მხარს. განსაკუთრებით ძლიერია მისი პოზიციები ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონებში, სადაც ხალხი ჯერაც ძლიერ რელიგიურია. თანაც, აშკარაა, რომ სპონტანურად დაწყებულმა მიტინგებმა მაინც ლოგიკური გაგრძელება ჰპოვა და პოლიტიკურ ბრძოლაში გადაიზარდა. 2014 წლის მარტში თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება, ხოლო აგვისტოში — საპრეზიდენტო. ეს თურქეთში პირველი შემთხვევა იქნება, როცა პრეზიდენტს ხალხი აირჩევს და არა პარლამენტი. შესაბამისად, ქვეყნის პირველი პირი პრეზიდენტი იქნება. თურქი, ევროპელი და რუსი ანალიტიკოსების აზრით, შიდა პოლიტიკური არეულობის თავი და თავი სწორედ არჩევნებია.

ერდოღანს საკუთარ „სამართლიანობისა და განვითარების პარტიაშიც“ კი ყველაზე რადიკალ ისლამისტად იცნობენ. როგორც თავად აღნიშნავს, წარმოშობით აჭარიდანაა. სასულიერო განათლება მიიღო და უაღრესად რელიგიურია, რის გამოც ერთხელ სამსახურიდანაც გააძევეს: ათათურქის თურქეთში რელიგია პოლიტიკას არ უნდა მართავდეს. მან, ვინც ეს ორი ცნება ერთმანეთში აურია, სახელმწიფო და სამხედრო კარიერაზე არ უნდა იოცნებოს. ათათურქის ამ პოლიტიკას თურქეთში მრავალი მტერი ჰყავს. ისინი ქვეყნის ევროპეიზაციას ეწინააღმდეგებიან და ქვეყნის სათავეში რამდენჯერმე მოვიდნენ კიდეც, მაგრამ მცირე ხნით. პარადოქსია, მაგრამ თურქეთში არმია დემოკრატიის დამცველ ძალად ითვლება. მათ რამდენიმე ისლამისტური მთავრობა დაამხეს და ქვეყანას დასავლეთის კურსი შეუნარჩუნეს. სიტუაცია 2002 წელს შეიცვალა, როცა ევროკავშირისგან დაწუნებულმა და განაწყენებულმა თურქებმა ერდოღანის სამართლიანობისა და განვითარების პარტიას მისცეს ხმა. ერდოღანი სასწრაფოდ გაუსწორდა რეფორმატორულად მოაზროვნე სამხედროებს და დაახლოებით 50 ყველაზე გამორჩეული გენერალი ციხეში ჩასვა. მან არმია დაიმორჩილა. დღეს პრემიერი მომიტინგეებს ჯარითაც ემუქრება, რითაც ხაზს უსვამს, რომ უწინდელი დრო არ არის. თუმცა, სამხედროებს თურქეთში მაინც დიდი გავლენა აქვთ და ისინი მომავალ წელს დაგეგმილ ორივე არჩევნებში კვლავ ევროპული ორიენტაციის პოლიტიკური ძალის გამარჯვებას ეცდებიან. ანალოგიურად, ერდოღანს კონკურენტები საკუთარ პარტიაშიც ჰყავს.

ბელგიის კრიზისებისა და საერთაშორისო კონფლიქტების ცენტრის ექსპერტი ბენსან ეიფლინგი აცხადებს, რომ თურქეთში დემოკრატია სერიოზულ გამოცდას გადის. დაქსაქსული ოპოზიციის წყალობით, რომელსაც არა ჰყავს ქარიზმატული ლიდერი, ერდოღანს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებისა და 2023 წლამდე ხელისუფლებაში დარჩენის შანსი აქვს. გერმანული ჟურნალის Zuerst მთავარი რედაქტორი მანუელა ოქსენრაიტერის აზრით, საპრეზიდენტო არჩევნებში ერდოღანის კონკურენტი თანაპარტიელი და ამჟამინდელი პრეზიდენტი გიული იქნება, რომელმაც იგი რამდენჯერმე საჯაროდ გააკრიტიკა. ბოლო დღეებში მან ასევე „საეჭვო“ განცხადებები გააკეთა, როცა მომიტინგეების გულშემატკივრად მოგვევლინა. კარნეგის ცენტრის ექსპერტი თურქეთისა და ახლო აღმოსავლეთის საკითხებში ბაირამ ბალჯი აცხადებს, რომ ჯერ ნაადრევია ვარაუდი „სამართლიანობისა და განვითრების პარტიაში“ მოხდება თუ არა განხეთქილება. „თუკი მას (ერდოღანს) სურს, იყოს პოპულარული და ქარიზმატული, უნდა მმართველობის სტილი შეცვალოს. თუმცა, არ ვიცი, შეუძლია თუ არა მას კომპრომისი და დათმობა“, — ამბობს ბალჯი. მას ეთანხმება ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის ექსპერტი მაიკლ კოპლოუ და დასძენს, რომ ერდოღანს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად საკუთარი პარტიისა და მინიმუმ, ერთი ოპოზიციური ძალის მხარდაჭერა სჭირდება. ეს კი, ქვეყანაში შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე, წარმოუდგენელია.

### ერდოღანი — ოსმალეთის იმპერიაზე მეოცნებე ლიდერი

გასაგებია, რომ თურქეთში დაწყებული საპროტესტო გამოსვლები შეიძლება ყველას აწყობდეს, პრემიერის გარდა და ეს პროცესი იქნებ, თურქებმა სწორედ მის წინააღმდეგ ააგორეს. დემონსტრანტები ჯიუტად მოითხოვენ მის გადადგომას და პრეზიდენტის ან სხვა პოლიტიკური ფიგურები არც კი ახსენდებათ. თუმცა, მედიაში ჩნდება ეჭვები, რომ სახალხო მღელვარებას ნავთი გარედანაც დაასხეს. ეს ვარაუდი, უწინარესად, თავად ერდოღანს ეკუთვნის, რომელმაც განაცხადა, ჩემს წინააღმდეგ პროცესები ისრაელიდან იმართება, რათა თურქეთი დასუსტდესო. შემდეგ კი ყურადღება ევროპისკენ გადაიტანა. ბოლო პერიოდში თურქეთი ეკონომიკურად მნიშვნელოვნად მომძლავრდა და მან აქტიურად დაიწყო საკუთარი პოზიციების დაცვა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში. ერდოღანმა ჯერ კიდევ ეგვიპტეში დაწყებული „არაბული გაზაფხულის“ დადგომისთანავე განაცხადა, რომ რეგიონში მიმდინარე პროცესებზე მსოფლიო აზრს ანკარასაც უნდა ეკითხებოდეს და არაერთხელ გაიმეორა: **„2013 წელს თურქეთი მსოფლიო არენაზე ეფექტური და გავლენიანი სახელმწიფო იქნება, მეზობლებთან მაქსიმალურად გაიუმჯობესებს ურთიერთობებს და მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ეკონომიკის პატრონი გახდება“.** ბოლო პერიოდში თურქულ მედიაში ხშირად ჩნდება ცნობები, რომ თურქეთმა თავისი გავლენის სფეროები ოსმალეთის იმპერიის საზღვრებამდე უნდა გააფართოოსო: ანუ ეგვიპტიდან - კავკასიამდე, რაც ეწინააღმდეგება არაბული სამყაროს ინტერესებს. ერდოღანს თავისი ხედვა აქვს სირიის პრობლემის გადაწყვეტის გზებსა და ამ საკითხში თურქეთის როლზეც. რუსულ „რია ნოვოსტი“-ს მოჰყავს ცნობილი თურქი პოლიტოლოგის, ჰეიდარ ჯემალის სიტყვები, რომ ერდოღანს ვაშინგტონმა „სირიული ხაფანგი დაუგო“: პრემიერი მეტისმეტად დასუსტდა და აშშ მას აიძულებს, ჩაება სირიაში დაგეგმილ სამხედრო ოპერაციებში, სამაგიეროდ კი — თეთრი სახლი პრეზიდენტის სავარძლის მოპოვებაში დაეხმარება. ამგვარად, ერდოღანმა და მისმა თურქეთმა რეგიონში არაკეთილმოსურნეები შეიძინა, დაკარგა ამერიკის ნდობა და გამუდმებულ კრიტიკას ისმენს ევროკავშირისა და მისი წევრი სახელმწიფოების მთავრობებისგანაც. მის მიერ წამოწყებულ რეგიონულ პოლიტიკას, თუნდაც ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროში, მოსკოვშიც მტრულად უყურებენ. პოლიტოლოგ სოსო ცინცაძის თქმით, **„მიუხედავად იმისა, რომ ერდოღანი და მისი პარტია „რბილი ისლამის“ მიმდევრები არიან, ამერიკასა და ევროპაში თურქეთის ისლამიზაცია მაინც აშინებთ, რადგან რადიკალური ისლამი ცივილიზებული ისლამიდან იკვებება. ჯერ ნაადრევია თქმა, ერდოღანი გადაიტანს თუ არა კრიზისს, მაგრამ ცხადია, რომ ეს პროცესები მის კარიერაზე მნიშვნელოვნად აისახება. თურქეთში ძლიერი ოპოზიციის არარსებობის პირობებში, თუკი ერდოღანი დამარცხდება, პრეზიდენტის პოსტს კვლავ გიული დაიკავებს. ისიც ისლამისტია, მაგრამ ალბათ, დასავლეთის უფრო მორჩილი. თანაც, თუკი ამნისტია მართლაც გამოცხადდება და დაპატიმრებული გენერლები გათავისუფლდებიან, ამერიკა თურქეთში დემოკრატიის შენარჩუნების დამატებით გარანტებს მიიღებს. საქართველოს კი, შეუძლია, ისარგებლოს მომენტით და შეაჩეროს აჭარაში თურქული გავლენის ზრდა. ჩვენთვის თურქეთში მიმდინარე პროცესები ამ კუთხითაა მნიშვნელოვანი“.**

# პროკურორის მკვლელ ექიმს ციხიდან ათავისუფლებენ!



ნინო ლურსმანაშვილი, 593-51-52-04

**გლდანი-ნაძალადევის რაიონის ყოფილი პროკურორის, პაატა ტყეშელაშვილის კლინიკა „ციტო+“-ში სიკვდილის ფაქტმა, 2010 წელს სამართალდამცავები „თაღლითი ფსიქიატრების“ კვალზე გაიყვანა. დღეს კი ირკვევა, რომ ექიმი ავთანდილ გულიაშვილი, რომლის უკანონო საექიმო საქმიანობას დედაქალაქის ერთ-ერთი წარმატებული და პროფესიონალი პროკურორის სიცოცხლე შეეწირა, ერთი წლის შემდეგ, ციხიდან გამოვა. „პროკურორის საქმის“ დეტალები დღემდე ბურუსითაა მოცული. ტყეშელაშვილის მშობლები — თავის დროზე, ასევე წარმატებული პროკურორი ელგუჯა ტყეშელაშვილი და ჟურნალისტი თამარ მაისურაძე, „ვერსიას“ უმხელენ, რომ გამოძიება არაობიექტურად წარიმართა და ბევრ გარემოებასა თუ ეპიზოდს სასამართლომ და პროკურატურამ გვერდი შეგნებულად აუარა.**

**უკვე სამი წელია, ტყეშელაშვილის ოჯახის წევრები საქმის ობიექტურად გამოძიებას ამაოდ ითხოვენ. შესაბამის უწყებებში არაერთი საჩივარი თუ განცხადება გაგზავნეს, ბრძოლა არ შეუწყვეტიათ არც 1 ოქტომბრის არჩევნების მერე. ივანიშვილის მთავრობის შესაბამისი უწყებებიდან მათ უკვე რამდენიმე პასუხი მიიღეს. პათოსი უცვლელია — ამ საქმის გამოძიება დასრულებულია, არ არსებობს მისი ხელახლა გამოძიების საფუძველი მაშინ, როდესაც 2010 წლის 3 აგვისტოს, ავთანდილ გულიაშვილის ბრალდების საქმიდან ცალკე წარმოებაში გამოიყო საქმე, როგორც პროკურატურაში განმარტავენ, დანაშაულის გასახსნელად, თუმცა, ფაქტობრივად, არაფერი გაკეთებულა. სასამართლო-პროკურატურის მიერ უგულებელყოფილი ფაქტებისა და საქმის მასალებიდან რატომღაც „აორთქლებული“ დეტალების მოპოვებით, პაატა ტყეშელაშვილის მშობლები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ გამოძიება არასწორი გზით წავიდა. ისინი თეა წულუკიანსა და არჩილ კბილაშვილს მიმართავენ, „პროკურორის საქმე“ კონტროლზე აიყვანონ და გამოყოფილ საქმეზე სრულყოფილი და ობიექტური გამოძიება ჩატარდეს.**

## „პაატა ტყეშელაშვილის მშობლები მივმართავთ თეა წულუკიანსა და არჩილ კბილაშვილს, ობიექტურად გამოიძიონ საქმე!“

### „ციტო+“-ში ტყეშელაშვილი გიორგი ჭეიშვილმა მიიყვანა“

პაატა ტყეშელაშვილი თბილისში, უზნაძის ქუჩა №78-ში მდებარე სანიტარიისა და ჰიგიენის შენობაში განთავსებულ კლინიკა „ციტო+“-ში 2010 წლის 7 ივნისს გარდაიცვალა. ექიმებმა თავი იმართლეს, დეპრესიის მედიკამენტოზური ძილით მკურნალობისას, პაციენტს ინფარქტი განუვითარდა, რადგან მას ინფარქტი ადრეც ჰქონდა გადატანილი და მედიკამენტის ოდნავ გადამეტებულმა დოზამ მისი პროვიცირება მოახდინაო. სინამდვილეში, პროკურორს არც ინფარქტი ჰქონდა გადატანილი და, მშობლების მტკიცებით, არც დეპრესია აწუხებდა — უბრალოდ, უძილობას, უგუნებობას უჩიოდა, გადაღლილი იყო და დასვენება სჭირდებოდა.

გამოძიების პროცესში დახატეს სურათი, თითქოს პროკურორ ტყეშელაშვილს დეპრესიული აშლილობა ჰქონდა. ითქვა, თითქოს ამის მიზეზი ოჯახში შექმნილი პრობლემა იყო, თითქოს პროკურორი, ბოლო დროს გულჩათხრობილი გახდა, ახლობლებთან ნაკლებად კონტაქტობდა და დეპრესიას ვერაფრით ამარცხებდა, სხვა გზა არ ჰქონდა და, მისივე დაჟინებული თხოვნით, „ციტო+“-ში დაწოლა გადაწყვიტაო. პარადოქსია, რომ გამოძიება არც კი დაინტერესდა წინაპირობით — რატომ, როგორ, რა გარემოებების შემდეგ და ვისი რჩევით მივიდა პაატა ტყეშელაშვილი „ციტო+“-ში.

გამოძიებული არ არის, რამდენიმე არსებითი ეპიზოდი, რომელთა გამოკვლევაც, ვითარებაში გასარკვევად, აუცილებელი იყო.

კოლეგების განმარტებით, ტყეშელაშვილის უგუნებობის მიზეზი სისტემაში მისი გადატვირთული და დაძაბული სამუშაო იყო — სინდისი ჰქონდა და ყველა უსამართლობა გულთან მიჰქონდაო. ვინ და რატომ ისარგებლა პროკურორ პაატა ტყეშელაშვილის კეთილსინდისიერებით? ამ კითხვაზე პასუხის ძებნისას, ტყეშელაშვილის მშობლებს ექიმი გიორგი ჭეიშვილი ახსენდებათ, სამხარაულის სახელობის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის ამბულატორიული განყოფილების უფროსი, ამავე ბიუროს ექიმ-ექსპერტი, რომელიც, ტყეშელაშვილის სიკვდილის შემდეგ, ღუდუშაურის საავადმყოფოს ფსიქონევროლოგიური განყოფილების გამგედ გადაიყვანეს. მშობლების თქმით, სწორედ გიორგი ჭეიშვილი „შეუჩნდა“ პაატა ტყეშელაშვილს და „ციტო+“-შიც მან მიიყვანა ისე, რომ მას ზუსტი ინფორმაცია არც კი ჰქონდა ამ კლინიკის შესახებ. სიტყვა „შეუჩნდა“ გადამეტებული არ მოგეჩვენებათ, როცა ჭეიშვილი-ტყეშელაშვილის ურთიერთობის რამდენიმე მნიშვნელოვან ეპიზოდს მოგიყვანთ, რომელიც გამოძიებამ რატომღაც ყურადაც არ იღო.

ქრონოლოგიურად, „ციტო+“-ში დაწოლამდე მოვლენები ამგვარად განვითარდა:

გიორგი ჭეიშვილის მტკიცებით, პაატა ტყეშელაშვილი მას მეგობარმა ექიმმა სურმანიძემ, 2008 წლის გაზაფხულზე გააცნო. პროკურორმა საკუთარი ჩივილების შესახებ უამბო და ჭეიშვილმაც საკუთარ თავზე აიღო მისი მკურნალობა. არადა, ტყეშელაშვილის მკურნალ ექიმად ვაჟა კენჭაძე ფიქსირდება. თუმცა, ჩანს, ამ ორ ექიმსაც საკმაოდ მეგობრული დამოკიდებულება აქვს და ტყეშელაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობაზეც ერთად „ზრუნავენ“. პირველად, ჭეიშვილი თამარ მაისურაძემ 2008 წლის ზაფხულში ნახა. იმ პერიოდში მან ტყეშელაშვილს პრეპარატი „ლაროფენი“ გამოუწერა, რომელმაც მასზე უარყოფითად იმოქმედა. სასამართლო პროცესზე ჭეიშვილმა ეს ფაქტი საერთოდ უარყო. ჭეიშვილი ტყეშელაშვილთან რამდენჯერმე მივიდა სახლში. ერთ-ერთი ასეთი ვიზიტის დროს, ის ტყეშელაშვილის მეგობრებმა გამოაგდეს. მიზეზი ის გახლდათ, რომ ექიმი პაციენტს რაღაც გაურკვეველ აბებს სთავაზობდა, თანაც ალკოჰოლურ სასმელთან ერთად. ამ შეურაცხყოფას ხელი არ შეუშლია ჭეიშვილისთვის, ტყეშელაშვილთან ურთიერთობა გაეგრძელებინა. მეტიც, მან დაარწმუნა ტყეშელაშვილი, სამკურნალოდ კიევში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წასულიყო და ელექტროშოკური თერაპია ჩაეტარებინა. კიევში წასვლა არ ურჩია ინსტიტუტის დირექტორმა დავით ზურაბაშვილმა, რადგან, მისი თქმით, ტყეშელაშვილს ფსიქიატრიულ კლინიკაში არაფერი ესაქმებოდა, უბრალოდ, გადაღლილი იყო და დასვენება სჭირდებოდა, თუმცა ჭეიშვილმა და კენჭაძემ დაარწმუნეს ტყეშელაშვილი და ისიც კიევში გაფრინდა. მას არც იქაურმა პროცედურებმა არგო — მისი დაწყებისთანავე ცუდად შეიქნა და უკან დაბრუნდა. კიევიდან დაბრუნებულს ჭეიშვილმა და კენჭაძემ ტყეშელაშვილს ურჩიეს, ვაჟა-ფშაველას გამზირზე, კლინიკა „მენტალ ვიტაში“ მისულიყო. **„ექიმმა ნინო ოკრიბელაშვილმა 2008 წელს, თოდუას კლინიკაში გადაღებული მრავალშრიანი კომპიუტერული ტომოგრაფია მიმატანინა, დახედა და სამ ექიმთან ერთად გამომიცხადა, თქვენ შვილს საშინელი ავადმყოფობა სჭირსო. დაავადების დასახელება ვერ დავაცდენინე“,** — იხსენებს თამარ მაისურაძე და დასძენს, რომ ამით, მასაც და მის შვილსაც, მძიმე ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენეს. „მენტალ ვიტაში“ ტყეშელაშვილმა, 4-დღიან უშედეგო მკურნალობაში 700 დოლარი გადაიხადა. შეშინებული დედა დიაგნოზის გადასამოწმებლად, მოგვიანებით, თოდუას კლინიკაშიც მივიდა, სადაც განუმარტეს, რომ მის შვილს მხოლოდ შიდაქალის წნევა აწუხებდა და საგანგაშო არაფერი იყო. თამარ მაისურაძის თქმით, ექიმების ერთმა კოლეგამ სხვა კლინიკიდან, ოჯახის წევრებს უთხრა, „მენტალ ვიტა“ ფულის საკეთებელი „ცეხია“, იქ შარლატანები სხედანო. რა მიზანი ამოძრავებდათ კენჭაძე-ჭეიშვილ-ოკრიბელაშვილს? ეს გამოძიებამ უნდა დაადგინოს. მანვე უნდა იპოვოს პასუხი კითხვაზე — პროკურორი „მენტალ ვიტაში“ მხოლოდ ფულის გამოძალვის მიზნით მიიყვანეს თუ ეს ერთი დიდი გეგმის ნაწილი იყო, რომელიც, საბოლოოდ, მის მოშორებას ისახავდა მიზნად?

**„ციტო+“-ში პაატას დაწოლის ინიციატორი ჭეიშვილი იყო. ჭეიშვილსა და მის მეგობარს, „ციტო+“-ის დირექტორს, ავთანდილ გულიაშვილს შორის შედგა მოლაპარაკება 2010 წლის 31 მაისს, რომ მასთან კლინიკაში კონსილიუმის შემდეგ გლდანი-ნაძალადევის პროკურორს მიიყვანდა. ამის შესახებ გულიაშვილი თავის ჩვენებაში წერს. სხვათა შორის, 30 მაისის, პროკურატურის დღეს, ქალაქის პროკურორმა გადასცა ტყეშელაშვილს მთავარი პროკურორის მადლობა და განზრახვა, პირადად შეხვედროდა მას. მეორე დღეს, 31 მაისს, ისევ ჩნდება ჭეიშვილი, პაატას დისკრიმინაციისთვის“,** — აცხადებს ელგუჯა ტყეშელაშვილი და იხსენებს, რომ 2 ივნისს, ჭეიშვილი მათ გვიან ღამით ესტუმრა. არწმუნებდა პაატას, რომ ვინმე გულიაშვილი, თავისი უნიკალური აპარატურითა და უახლესი მეთოდით კურნავს ნევროზს. ჭეიშვილმა იგი მეორე დღეს, თავის ბინაში დაიბარა „კონსილიუმზე“. 3 ივნისს, მეგობრის, პროფესორ მარინა გეგელაშვილის დახმარებით, ჭეიშვილმა შეძლო დაერწმუნებინა პროკურორი, დაწოლილიყო კლინიკაში. უთხრეს, რომ კურსი 1500 ლარი დაუჯდებოდა, 3 დღე დაიძინებდა და გაიღვიძებდა განკურნებული. მძლოლმა გამოძიებისას ჩვენება მისცა: **„სამსაათიანი კონსილიუმის შემდეგ ჭეიშვილმა უთხრა პაატას, ორგანიზმი გაქვს დაბლოკილი და დაგეწმინდებაო“.** ერთ-ერთი მეგობარი კი იხსენებს, რომ დაწოლამდე პროკურორმა მესიჯი გაუგზავნა: **„ვწევები კლინიკაში, როგორც მითხრეს, 3 დღის შემდეგ ახალდაბადებულივით ვიქნები“.**

### რა მოხდა „ციტო+“-ში?

ტყეშელაშვილი „ციტო+“-ში 2010 წლის 4 ივნისს დაწვა. კლინიკაში შესვლისას ჭეიშვილმა გულიაშვილს უთხრა, ეს არის პაატა ტყეშელაშვილი, რომელზეც ადრე გეუბნებოდიო. პროცედურის დაწყებამდე, გულიაშვილმა თამარ მაისურაძეს უამბო, რომ ადრე, წყალქვეშა ნავზე მუშაობდა, სადაც იყო უნიკალური აპარატი, რომლითაც ნევროზიან მეზღვაურებს კურნავდნენ. იტრაბახა, ეს აპარატი მოვიპარე და პროცედურებს ამით ვატარებო. ასე ახდენდა ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას გულიაშვილი ყველა პაციენტზე. მაშინ მაისურაძემ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ამ კლინიკაში, ძირითადად, ნარკომანებს „კურნავდნენ“; არც იმის შესახებ სმენოდა, რომ მანამდე გულიაშვილს კლინიკა ჩიტაიას ქუჩაზე ჰქონდა, ახალგაზრდა ავადმყოფის გარდაცვალების შემდეგ კი დახურა. მალე, როგორც ამბობენ, გიორგი ჭეიშვილის ბიძაშვილის, მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი გიორგობიანის დახმარებით, გახსნეს „ციტო+“ უზნაძის ქუჩაზე, რომლის დირექტორად დაინიშნა დიდი ხნის ვადაგასული სერტიფიკატის მქონე ანესტეზიოლოგი ავთანდილ გულიაშვილი. ისინი ატყუებდნენ ნარკომანიითა და ალკოჰოლიზმით დაავადებულებს, თითქოს კლინიკაში დანერგილი იყო მკურნალობის ახალი მეთოდი. ერთწლიანი მუშაობის განმავლობაში, კლინიკაში პროკურორამდე 2 პაციენტი დაიღუპა, თუმცა ამ ამბავს აჟიოტაჟი არ მოჰყოლია — ჩანს, გულიაშვილსა და მის თეთრხალათიან გარემოცვას ხელისუფლებაში ვიღაც „კრიშავდა“. ამ ფონზე, ისიც არაა გასაკვირი, გულიაშვილი თავის კლინიკიანად, „მომთაბარე ცხოვრებას“ რომ ეწეოდა და სხვა უბანში ახალი ობიექტის გახსნის უფლებასაც მოიპოვებდა. ვინ იდგა გულიაშვილის, ჭეიშვილისა და მათი მეგობრების უკან? ამ კითხვაზე პასუხიც გამოძიების გასაცემია. ვიღაცამ გულიაშვილს იმისთვისაც აუნთო „მწვანე შუქი“, მე-5 საავადმყოფოდან, რომელშიც ასევე მუშაობდა, ნარკოტიკული ნივთიერებები მოეპარა და „ციტო+“-ში გაესაღებინა. სხვათა შორის, ამ ქმედებაში ის ღიად ამხილა ხსენებული საავადმყოფოს უფროსმა ექთანმა ლეილა ფანცულაიამ, მაგრამ რატომღაც, გამოძიებისთვის არც ეს ფაქტი გახდა საინტერესო. ფანცულაია, მიუხედავად დაზარალებულის შუამდგომლობისა, პროკურატურამ და სასამართლომ არ დაკითხა.

„ციტო+“-ს რომ ახლომცხოვრებლები „ნარკოტიკების ღამის ბარს“ უწოდებდნენ, თამარ მაისურაძემ უკვე შვილის გარდაცვალების შემდეგ შეიტყო. მანამდე კი, თავად გულიაშვილისგან გაიგო, რომ ეს კლინიკა გასაიდუმლოებული იყო, იქ მაღალი თანამდებობის პირები ხშირად დადიოდნენ და გარეშე პირთა ყოფნა სასტიკად იკრძალებოდა. ეს გულიაშვილმა მაშინ უთხრა, როცა დედამ დაძინებულ შვილთან დარჩენა მოისურვა და ამ მოტივით უარი უთხრეს, რისი უფლებაც არ ჰქონდათ.

6 ივნისს, დედა და ძმა პაციენტის სანახავად მივიდნენ და შეამჩნიეს, რომ იგი ცუდად იყო — ძალიან მძიმედ სუნთქავდა, თითქოს ჰაერი არ ყოფნიდა. მიზეზი იკითხეს. გულიაშვილმა მოატყუა, ძალიან ცხელა და ეს მოქმედებსო. კლინიკაში იმ დღეს მორიგე იყო ექთანი აქიმაშვილი — მისი ნაცნობი ექთანი, გულიაშვილმა სამსახურში 1 ივნისს მიიღო. სხვათა შორის, 6-ში ტყეშელაშვილი მისმა მოადგილემაც მოინახულა და მანაც შენიშნა, რომ პაციენტს სუნთქვა უჭირდა.

7 ივნისს, დილის 11 საათისთვის მისულმა შემცვლელმა ექთანმა სოფო დალაქიშვილმა შენიშნა, რომ პაციენტს ძალიან ცუდი ფერი ჰქონდა, რაც გულიაშვილს აუწყა, მაგრამ მან არაფერი მოიმოქმედა. დედას კი, რომელმაც დაახლოებით 13 საათზე დარეკა, გადასახდელ თანხაზე დაუწყო საუბარი მიუხედავად იმისა, რომ იცოდა — მკურნალობის საფასურს პროკურორს სამსახური უხდიდა. მოგვიანებით, როცა შვილის გარდაცვალების ამბავი შეიტყო, ქალბატონ თამარს საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდა — 13 საათისთვის ტყეშელაშვილი უკვე გარდაცვლილი იყო. შეშინებული გულიაშვილი კი იმას ჩიოდა, ვინ გადაიხდიდა პროკურორის „სიკვდილში“ 1500 ლარს.

*გაგრძელება მე-9 გვერდზე*

*მე-8 გვერდიდან*

გულიაშვილი ამტკიცებდა, რომ ტყეშელაშვილის სიკვდილი 15 საათზე დადგა. სააპელაციო სიტყვაში კი პროკურორმა ბაღდასაროვმა განაცხადა, პროკურორი რეანიმაციის დაწყებამდე გარდაიცვალაო. ექიმ გუბელაძისა და ექთან ფანჯიკიძის ჩვენებებით, რეანიმაცია დაიწყეს, დაახლოებით, 13 საათზე, არადა 12 საათზე, „ციტო+“-ში ჯანდაცვის სამინისტროდან შემოწმებაზე კომისია მივიდა. როცა ტყეშელაშვილის პალატაში შეიხედეს, პაციენტი კედლისკენ იყო გადაბრუნებული და საბანი ჰქონდა მიფარებული (35 გრადუს სიცხეში!). ერთ-ერთი მათგანი ამბობს, რომ გულიაშვილი ცდილობდა, არ დაენახათ პაციენტის სახე, რომელიც არანაირ აპარატზე არ იყო მიერთებული. მასთან არც ექთანი იყო ანუ 12 საათისთვის ტყეშელაშვილი გარდაცვლილი იყო? — ამ კითხვაზე პასუხი ჭირისუფლებმა ახლახან მიიღეს. მას შემდეგ, რაც ტყეშელაშვილის ოჯახმა საჩივრით ჯანდაცვის სამინისტროს მიმართა და იქიდან 10 თვის შემდეგ, საპასუხო წერილი მოუვიდა, რომელსაც დოკუმენტაცია ერთვოდა. კრიტიკული მედიცინის ცენტრის ანალიზში ვკითხულობთ: **„ნარკოზული ძილის შეწყვეტის შემდეგ, 2010 წლის 7 ივნისს, 11 საათზე, პაციენტს განუვითარდა გულის გაჩერების კლინიკა. ჩატარებული რეანიმაციული ღონისძიებები აღმოჩნდა უეფექტო და შეწყვეტილ იქნა ნახევარი საათის შემდეგ. სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზისას დადგენილ იქნა მიოკარდიუმის ინფარქტის არსებობა“.** ეს მოკლე ჩანაწერი, ტყეშელაშვილის მშობლებისთვის, რომლებსაც აქამდე უმტკიცებდნენ, რომ მათი შვილი 13 საათზე გარდაიცვალა, ნამდვილი მოულოდნელობა იყო. სიკვდილი რომ სინამდვილეში ამ დროს დადგა, არც საქმის მასალებშია. ეს ფაქტი არც სასამართლოს მსჯელობის საგანი გამხდარა. საქმეში აღარაა ჩვენებები, რასაც აღნიშნული ანალიზი ეყრდნობა.

## დაშვებული შეცდომები და გულიაშვილის ბრალდება

შეცდომები და ლაფსუსები ტყეშელაშვილის საქმეში უხვადაა: არ არსებობს ავადმყოფობის ოფიციალური ისტორია, დიაგნოზით. მხოლოდ პაციენტის წინასაოპერაციო კითხვარში ფიქსირდება, რომ მას დეპრესიული მდგომარეობა აქვს. გიორგი ჭეიშვილი თავდაპირველად ამტკიცებდა, რომ ტყეშელაშვილს ჰქონდა დეპრესიული აშლილობა, რის გამოც, იძულებული გახდა, „ციტო+“-ში მიეყვანა. პაატა ტყეშელაშვილი წარმატებული პროკურორი იყო ცხოვრების ბოლო წუთამდე. ფსიქოლოგები კი ამტკიცებენ, რომ ნონსენსია, დეპრესიაში მყოფ ადამიანს, კარიერაში მსგავსი წინსვლა ჰქონდეს. ამ ფაქტმა მოსამართლე ეკა არეშიძეც გააკვირვა და პროცესზე ჭეიშვილს ჰკითხა: **„თუ დეპრესიული ავადმყოფი იყო, როგორ მუშაობდა წარმატებულად, მე მას არ ვიცნობდი, მაგრამ ერთ-ერთი მოწინავე პროკურორის სახელი ჰქონდა“.** არეშიძის კითხვამ ჭეიშვილი დააბნია და მაშინვე შეაცვლევინა ჩვენება — **„არა, დეპრესიული აშლილობა არ ჰქონდა, დეპრესიული ავადმყოფი კი იყო, მაგრამ დეპრესია ჰქონდა სუსტსა და საშუალოს შორის, ვერ შეამჩნევდი, თუ თვითონ არ იტყოდა ამის თაობაზე ახლო მეგობართა წრეში“.**

საქმეში არ არსებობს ავადმყოფის წერილობითი თანხმობა ხანგრძლივი მედიკამენტოზური ძილით მკურნალობის შესახებ, რაც სავალდებულოა.

ჯერ კიდევ 6 ივნისს, როდესაც კლინიკაში მისულ დედასა და ძმას ტყეშელაშვილის სუნთქვა არ მოეწონათ, იკითხეს, ნარკოზს ხომ არ უკეთებთო. გულიაშვილმა დაამშვიდა, ისეთ წამლებს ვუსხამთ, ორსულებშიც კი ვხმარობთ და ნაყოფზე არ მოქმედებსო. სააგენტოს ანალიზში წერია, რომ ტყეშელაშვილს გაუკეთდა მედიკამენტები „თეორიულად დასაშვები, მაგრამ ოდნავ გადამეტებული დოზით“. აღსანიშნავია, რომ მათ არ წარუდგენიათ 2010 წლის 6 ივნისის ჩანაწერი, იმ მედიკამენტების სია, რომელიც პაატა ტყეშელაშვილს 6 ივნისს გაუკეთეს და რომელიც რატომღაც არც გამოძიებულა და არც გამოქვეყნებულა. მხოლოდ ერთ დღეს გაუკეთდა პაციენტს სხვა პრეპარატებთან ერთად 18 ამპულა „გომკი“, 6 ფლაკონი „თეოპენტალი“ და 4 ამპულა „დიაზეპამი“, რაც, სპეციალისტების მტკიცებით, ყოვლად დაუშვებელია. მეტიც, კვალიფიციური ნევროპათოლოგები, თერაპევტები და ანესტეზიოლოგები განმარტავენ, რომ ეს სასიკვდილო დოზაა. ერთ-ერთმა ისიც გაგვიმხილა, რომ „გომკი“ საერთოდ ხმარებიდანაა ამოღებული. ალბათ, ამიტომაც ტყეშელაშვილს, ძირითადად, ვადაგასული პრეპარატები გაუკეთდა, რაც გამოძიებით დადგენილია. წამლების სასიკვდილო დოზებთან ერთად, პაციენტს გადაუსხეს, ორნახევარი დღის განმავლობაში, დაუშვებელი, დაახლოებით, 34 ლიტრი სითხე, თანაც ყოველნაირი კვების გარეშე, რაც ასევე დაუშვებელია. გასაკვირია, რომ 6 ივნისს გაკეთებული სასიკვდილო დოზა და ამის შესახებ ჩანაწერი არც ჯანდაცვის სამინისტროს, არც პროკურატურასა და არც სასამართლოს არ გამოუკვლევია. პირიქით, ეს ჩანაწერი დამალეს. შესაბამისად, არც ისაა გამოძიებული, ეს დოზა უშუალოდ ვინ გაუკეთა ტყეშელაშვილს. მითითებულია, რომ 6-ში მორიგეობდნენ ექთნები ფანჯაკიძე, აქიმაშვილი და ექიმი ზაზა გუბელაძე. ეს ის გუბელაძეა, რომლის სახელიც, 2008 წლის თებერვალში, ვორონცოვზე ჩახოცილი ექიმების სკანდალში ფიგურირებს. „ვერსია“ უკვე წერდა, რომ მოკლული ექიმის, ზურა გვანცელაძის დედა — ჟანა გვანცელაძე არგუმენტირებულად უჩივის გუბელაძეს შვილისა და მისი მეგობრის, ზაზა გუბელაძის მეუღლის, შურისძიებით მკვლელობაში. სხვათა შორის, ამ საქმეზე ზედამხედველობას სწორედ პროკურორი პაატა ტყეშელაშვილი ახორციელებდა. მას ძალიან ბევრი ინფორმაცია ჰქონდა და რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მისი მოშორება გუბელაძესაც აწყობდა? ამ ფონზე, საეჭვოა, რატომ არაა გარკვეული გუბელაძის მონაწილეობის საკითხი ტყეშელაშვილის მკვლელობაში?!

„ციტო+“-ში, შემთხვევის ადგილზე აღმოაჩინეს 2 ცარიელი


6.06.10.

ამპულა ნარკოტიკების კვალით, სადაც მოთავსებული იყო ვადაგასული ნარკოტიკი. ვინ მივიდა 6 ივნისს კლინიკაში და ვინ გაიკეთა იგი, გარკვეული არ არის. ნარკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ანალიზში ვკითხულობთ, რომ ნარკოლოგიური კლინიკის არსებობა მუდმივად მომუშავე ექიმ-ნარკოლოგების გარეშე, ნონსენსია. „ნოვაციური მეთოდის“ შესახებ მხოლოდ გულიაშვილმა იცოდა. არც ერთი ექთანი მას სამსახურში გაფორმებული არ ჰყავდა. მის გარდა, კლინიკაში ექიმი იყო მხოლოდ გუბელაძე, რომელიც, მოგვიანებით ამტკიცებდა, გარეშე პირი ვარ და ხელზე მაძლევს მიზერულ თანხასო (?!).

ავთანდილ გულიაშვილს სერტიფიკატი ანესტეზიოლოგიაში ჰქონდა მხოლოდ 2005 წელის აგვისტომდე, ნარკოლოგიაში კი — საერთოდ არ ჰქონია. საქმის მასალებითა და გულიაშვილის ჩვენებით დადგენილია, რომ ასეთ პროცედურებს ატარებდა პირველად. გამოვლინდა ფსიქიატრიული პროფილის უკანონო საექიმო საქმიანობა. შპს „ციტო+“-ში ნარკომანებისა და ლოთების მკურნალობა ტარდებოდა „ულტრასწრაფი დეტოქსიკაციის“ მეთოდით, რომელიც ნარკოლოგიაში გამოიყენება მხოლოდ ოპიოიდებზე დამოკიდებული პაციენტების მკურნალობის მიზნით, სათანადო გამოკვლევებისა და კომისიური გადაწყვეტილების შემდეგ. ტყეშელაშვილი კი არც ოპიოიდებზე იყო დამოკიდებული და ოპერაციამდე მისთვის არც არავის უთხოვია რაიმე გამოკვლევის ჩატარება. ხანგრძლივი მედიკამენტოზური ძილის დროს, სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი არ ხორციელდებოდა, კლინიკაში არ იყო რეანიმაციის რაიმე ტექნიკური საშუალება. სამედიცინო აპარატურა კი ექსპლუატაციისთვის უვარგისი გახლდათ და, საჭიროების შემთხვევაში, ხელოვნური სუნთქვის აპარატზეც კი ვერ შეაერთებდნენ.

გარდაცვალების შემდეგ, სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩატარდა კომისიურად, ის ერთპიროვნულად ჩაატარა ექსპერტმა გრიგოლაშვილმა, ჭეიშვილის მეგობარმა, რომლის მიერ შედგენილ „აბსურდულ“ აქტზე, ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ.

გამოძიების „დასრულების“ შემდეგ პასუხისმგებლობა დაეკისრა მხოლოდ ერთ ადამიანს, ავთანდილ გულიაშვილს, რომელიც, დაახლოებით, 1 წლის შემდეგ გათავისუფლდება. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 5 ოქტომბრის განაჩენით, გულიაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ 246-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 260-ე მუხლის I ნაწილით, 261-ე მუხლის I ნაწილით და საბოლოოდ, სასჯელის სახით განესაზღვრა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 25 იანვარის განჩინებით კი, ამნისტიის შესახებ საქართველოს 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის საფუძველზე, გულიაშვილი გათავისუფლდა 260-ე მუხლის I ნაწილით და 261-ე მუხლის I ნაწილით დანიშნული სასჯელისგან. სსკ 246-ე მუხლის II ნაწილით დანიშნული სასჯელი შეუმცირდა ერთი მეოთხედით და საბოლოოდ, განესაზღვრა 4,6 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო საექიმო საქმიანობის უფლების ჩამორთმევის ვადა განესაზღვრა 2 წლითა და 3 თვით მაშინ, როცა განაჩენით, გულიაშვილი ცნობილია ნარკოტიკული საქმიანობის ხელშემწყობად.

2012 წლის მარტში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ხელისუფლება 2 წლის განმავლობაში ამზადებდა კანონს, ზოგი ნარკოტიკული ნივთიერების დეკრიმინალიზაციის შესახებ. ელგუჯა ტყეშელაშვილის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დადგენას, კონკრეტულად, ვის და როდის დაებადა ეს იდეა, მკვლელობამდე თუ მის შემდეგ. ბატონ ელგუჯას ლოგიკური ეჭვიც გაუჩნდა: რადგან აშკარაა, რომ ჭეიშვილი-გულიაშვილის გუნდს ზურგს ვიღაც უმაგრებს, პროკურორის გარდაცვალების შემდეგ, გულიაშვილი, პროტესტის გასანეიტრალებლად ხომ არ „გაწირეს“ — საზოგადოებას აჩვენეს, რომ გაასამართლეს, ისეთი მუხლები მიუსადაგეს, რომლებსაც მოგვიანებით დეკრიმინალიზაცია შეეხებოდა და ამნისტიის შედეგად, ციხიდან მალე გამოუშვებდნენ. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ პროკურატურის ინფორმაციით, გულიაშვილზე შერაცხული დანაშაულის დეკრიმინალიზაცია არ მომხდარა. საინტერესო და საეჭვოა ის ფაქტიც, რომ, გარკვეული დროის შემდეგ, ტყეშელაშვილის ოჯახის წევრებმა დამოუკიდებლად სცადეს კონკრეტულ პირებს გასაუბრებოდნენ. მაგალითად, სოფო დალაქიშვილს, ექთანს, რომელმაც 7 ივნისს, 11 საათისთვის შეატყო, რომ პაციენტს ცუდი ფერი ჰქონდა და განგაში ატეხა. მან ჯერ შეხვედრაზე განაცხადა თანხმობა, მოგვიანებით კი, დარეკვა აეკრძალა. ასე მოიქცნენ სხვებიც.

*დასასრული მე-10 გვერდზე*



## ხულოს 1300-მდე მკვიდრი პატრიარქის ნათლული გახდება

ხულოში, წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ტაძარში საყოველთაო ნათლობა მიმდინარეობს. როგორც „ინტერპრესნიუსის“ რეგიონული კორესპონდენტი ხულოდან იუწყება, 17 ივნისს, 1300-მდე ადგილობრივი მონათლა. ხულოში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორე ჩაბრძანდა, რომელმაც დიდ ნათლობა აკურთხა.

როგორც საყოველთაო ნათლობის პროცესის ხელმძღვანელმა, დეკანოზმა შალვამ აღნიშნა, საყოველთაო ნათლობის მონაწილეები გახარებულები არიან, რომ მათი ნათლია პატრიარქი იქნება.

**„1300-მდე ადამიანი ინათლება. ისინი გახარებულნი არიან, ნათლისღების საიდუმლოებას რომ ეზიარებიან და მათი ნათლია ხდება კათოლიკოს-პატრიარქი. ყველას ვულოცავ ამ დღეს. აჭარა ის კუთხეა, საიდანაც ქრისტიანობა წამოვიდა და არ შეიძლება, ამ კუთხემ თავისი კვალი არ დატოვოს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში“,** — აღნიშნა დეკანოზმა.

პატრიარქის ნათლულებს სიგელები გადაეცემათ. კათოლიკოს-პატრიარქი, 20 ივნისს, ხიჭაურში არსებულ წმინდა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტს ესტუმრება. 19 ივნისს კი ბათუმში დიდი ნათლობა გაიმართა.

***„ინტერპრესნიუსი“***

**Коммерсантъ**

## რუსეთის პროკურატურა მიკაელ კადიევის ექსტრადირებას მოითხოვს

რუსეთის გენერალური პროკურატურა საქართველოს ხელისუფლებას მიკაელ კადიევის ექსტრადირების მოთხოვნას გაუგზავნის. ამის შესახებ რუსული მედია იტყობინება.

**„თუმცა, სავარაუდოდ, სამშობლოში კადიევი მას შემდეგ მოხვდება, რაც თბილისში მოიხდის სასჯელს. ამ ეტაპზე მას ბრალი ედება იარაღისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების უკანონო შენახვისთვის, იგი ტერაქტის მოწყობისთვის დააკავეს“,** — წერს რუსული „კომერსანტი“.

მიკაელ კადიევს რუსეთში დაღესტანში, ხასავიურტის რაიონის თავმჯდომარის მკვლელობისთვის წაუყენეს ბრალი. მიკაელ კადიევი და რიზვან ომაროვი ტერაქტის მცდელობისთვის, თბილისში, 13 ივნისს დააკავეს. შსს-ს განცხადებით, მათი საცხოვრებლიდან დიდი ოდენობით ძლიერმოქმედი ასაფეთქებელი ნივთიერება და ელექტროდეტონატორები, აგრეთვე ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და პირადობის დამადასტურებელი ყალბი დოკუმენტაცია ამოიღეს. გამოძიების ცნობით, ინტერპოლის მიერ ძებნილი კადიევი საქართველოს 2011 წლიდან აფარებდა თავს.

13 ივნისს ტერაქტის მცდელობისთვის დაკავებული მიკაელ კადიევი, რომელსაც ბრალი მხოლოდ იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვისთვის წაუყენეს, აცხადებს, რომ ბინაში იარაღი ჩაუდეს. სასამართლო პროცესზე, სადაც კადიევსა და მასთან ერთად დაკავებულ რიზვან ომაროვს, სასამართლომ წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, კადიევმა განაცხადა, რომ მის ბინაში ნიღბიანი სპეცრაზმელები შემოცვივდნენ, მისი ძმა დერეფანში გაათრიეს, თვითონ კი იატაკზე დააგდეს და არაფრად ჩააგდეს მისი მოთხოვნა, ჩხრეკის დროს მოწმეები მოეწვიათ, მერე კი იარაღი „აღმოაჩინეს“: **„ვითხოვდი, ჩხრეკის დროს მოწმეების დასწრებას. ადვოკატის თანდასწრებით დაკითხვაზე ვთქვი, რომ ეს იარაღი მე არ მეკუთვნის. ყველა მეუბნება, შენს თავზე აიღეო. ასი წელიც რომ მომისაჯონ, ამას არ ვაღიარებ. არ ვიცი, ვინ და რატომ აკეთებს ამას. ეს შეიძლება სახელმწიფო პოლიტიკაა“,** — აცხადებს კადიევი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რომ შვეიცარიის საელჩოს, კადიევის ექსტარადიციის მოთხოვნით, ჯერჯერობით, ოფიციალური მოთხოვნა არ გადმოუგზავნია.

**„ეს სამართლებრივი საკითხია და თუკი ასეთ მოთხოვნას ოფიციალურად მივიღებთ, მას საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და გენერალურ პროკურატურას გადავუგზავნით. შემდგომი მოქმედებების შესახებ ოფიციალურ განცხადებასაც სწორედ ეს უწყება გააკეთებს“,** — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზანკალიანმა.

***„ვერსიანიუსი“***

# ისტორიის პედაგოგი დავით ფერაძე განათლების სამინისტროს შესასვლელში მჯდომარე აქციას აგრძელებს

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**ისტორიის პედაგოგი, თბილისის პედაგოგთა საკოორდინაციო ცენტრის ხელმძღვანელი დათო ფერაძე განათლების სამინისტროს კონკრეტულ დარღვევებში ადანაშაულებს და მინისტრის მოადგილის, ალუდა გოგლიჩიძის გადადგომას, პედაგოგთა ხელფასების მატებას, რესურსცენტრების ხელმძღვანელთა შესარჩევი კონკურსის შედეგების გაუქმებასა და დირექტორების შესარჩევი კონკურსის დებულების შეცვლას მოითხოვს. იგი უკვე მეორე დღეა, განათლების სამინისტროს შესასვლელში მჯდომარე აქციას მართავს. პედაგოგი აცხადებს, რომ ამ ზომამდე განათლების სამინისტროს უსამართლო პოლიტიკამ მიიყვანა.** „ვერანაირად რომ ვერ მივაწვდინე ხმა სამინისტროს, შიმშილობის აქციის დაწყება მინდოდა, მაგრამ რელიგიურად ვცხოვრობ და ამის უფლება საპატრიარქოდან უნდა მივიღო, ამიტომ გადავწყვიტე, მჯდომარე აქცია მოვაწყო. ისევ გრძელდება სახელფასო დანამატების გაცემასთან დაკავშირებული პრობლემები; ზოგიერთ სერტიფიცირებულ პედაგოგს (მე-7-12-ე) სრული დატვირთვა არ აქვს. ზოგიერთმა სკოლამ მე-12 კლასში გამოცდები მარტში უკვე ჩაატარა და პროგრამა დასრულდა. ასეთი პედაგოგები დანამატს ველარ იღებენ, რადგანაც მე-12 კლასი გამოაკლდა და არასრული დატვირთვა გამოსდით. განხორციელდა ძალიან მიზერული და სასაცილო ერთჯერადი მატება პედაგოგთა ხელფასებისა, რაც მომავალში ძალიან სერიოზულ სოციალურ კრიზისს შექმნის. ამის ავან-ჩავანი 42-ე საჯარო სკოლის ყოფილი დირექტორი, განათლების მინისტრის მოადგილე ალუდა გოგლიჩიძეა, რომელიც აწარმოებს შაშკინიზმის მოდერნიზაციას და ძველი მეთოდით აგრძელებს დირექტორებზე ზეწოლას“.

**პედაგოგი მინისტრის მოადგილეს მიკერძოებაშიც ადანაშაულებს. ამბობს, რესურსცენტრების ხელმძღვანელებად ალუდა გოგლიჩიძემ, ძირითადად, თავის ნაცნობები დანიშნა:** „ყველაზე საშინელი, რაც მას უკავშირდება არის ის, რომ რესურსცენტრების უფროსების შესარჩევი კონკურსი საშინელი დარღვევებით ჩაატარა. პირველ ეტაპი ტესტირება იყო, მეორე გასაუბრება. ტესტირების კონკურსის შემდეგ, ხელახლა გადახედეს შედეგებს და ალუდა გოგლიჩიძის სასურველი კანდიდატები, რომელთაც ვერ გადალახეს ზღვრული ქულა 60, ხელახლა გადასინჯეს მათი შედეგები და მათ ზღვრული ქულები მიანიჭეს. მისი პირადი სურვილით ასეთი კონკურსანტები რამდენიმე რაიონში შეირჩა. მივმართე სამინისტროს და ორჯერ მოვითხოვე გასაუბრების სხდომის




ოქმების ასლები. ყოველგვარი გონივრული ვადა გავიდა და ორივეჯერ იგნორირება გაუკეთეს ჩემს მოთხოვნას. ადმინისტრაციული საჩივრით მივმართე პრემიერ-მინისტრს და მთავრობას. სრულიად საკმარისია ეს დარღვევა, რომ ალუდა გოგლიჩიძე თანამდებობიდან გადადგეს.“

**პედაგოგი დირექტორების შესარჩევი კონკურსის დებულებასაც აპროტესტებს და ამბობს, რომ ეს დებულება უსამართლოა:** „რესურსცენტრის ხელმძღვანელების შესარჩევი კონკურსი დებულების გარეშე ჩაატარეს, ეს ერთ-ერთი დარღვევა იყო. ახლა, როდესაც ამ ნაწილზე პროტესტის სიგნალი მივიდა, განათლების სამინისტრომ ჭკუა იხმარა და გამოსცა ბრძანება, დირექტორთა შესარჩევი კონკურსის შესახებ. 25 ივნისს დირექტორებს უფლებამოსილება ეწურებათ, 26 ივნისს ახალი დირექტორები უნდა ჰყავდეთ სკოლებს, ამიტომ გაურკვეველია ვადები და ესეც დარღვევაა. ახალი დებულებით, კონკურსანტ დირექტორებს შედეგების გასაჩივრება ეკრძალებათ. თუ დირექტორმა გასაუბრებაც წარმატებით გადალახა, განათლების სამინისტროს აქვს უფლება, დირექტორობის კანდიდატი, არც ერთ სკოლაში არ წარადგინოს, ხოლო ვისაც წარადგენენ, 2-3 დღეში იმ სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა შეიტანოს. თუ არ ვიცი, რომელ სკოლაში მიგყავარ დირექტორად, მისი სტრატეგიული გეგმა როგორ უნდა მოვიფიქრო?! ეს არის უსამართლობა. თუ ამ ყველაფერს მინისტრი რეაგირებას არ გაუკეთებს და არ გამოეხმაურება პრემიერ-მინისტრს მოვთხოვ მარგველაშვილის საკითხის გადასინჯვას.“ **პედაგოგი განათლების სამინისტროს შესასვლელში მჯდომარე აქციას ისევ აგრძელებს და აცხადებს, რომ პროტესტს მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე გააგრძელებს, თუმცა სამინისტროდან მას არავინ გამოხმაურებია.**

## „ჩეჩნების ექსტრადირებას საქართველო ვერ შეძლებს“

ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენელმა საქართველოში უმარ ოდიკოვმა საგანგებო ბრიფინგი გამართა, სადაც განაცხადა, რომ **„ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული პირები, წლების წინ, უშიშროებამ შემოიყვანა საქართველოში — უმაროვი არის მაგომედოვი, რომელიც ქართველმა სამართალდამცავებმა ბათუმში, ოთხი თვის წინაც დააკავეს და გაქცევა მოახერხა. ინფორმაცია გადავამოწმე და დოკუ უმაროვის გარემოცვაში მითხრეს, რომ ეს ადამიანები არ შედიან უმაროვის დაჯგუფებაში და, სავარაუდოდ, კავშირში არიან ლაფანყურის სპეცოპერაციასთან. რაც შეეხება მათ დაკავებას, ტერორისტული აქტის მოწყობა რომ ჰქონოდათ განზრახული, საქართველოში ამ რაოდენობის იარაღს არ შეინახავდნენ.“**

ოდიკოვის უკმაყოფილობა გამოიწვია იმანაც, რომ როდესაც რაიმე დანაშული დაღესტნელის ან სხვა ეროვნების მიერ არის ჩადენილი, მაინც ჩეჩნებს აბრალებენ. **„მაგომედ მაგომედოვი რუსია, არალეგალურად გადავიდა სირიაში და მას მიიჩნევენ უგზოუკვლოდ დაკარგულად. აქ რამოდენიმე წელი იმყოფებოდა, არალეგალურად მონაწილეობდა ლაფანყურის ოპერაციაში. ბინძურ პოლიტიკას მრავალი ჩეჩენი და ქართველი შეეწირა, მათ შორის აფხაზეთშიც. ჩვენ მშვენივრად ვიცით, ვინ აფარებდა მათ ხელს, ვინ ქირაობდა მათთვის ბინას, როგორ გადაადგილდებოდნენ და რა პასპორტებით სარგებლობდნენ. კონკრეტულ მფარველს ვერ დავასახელებ, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს წინა ხელისუფლება იყო“.** „ვერსიის“ კითხვაზე რუსეთ-საქართველოს სპეცსამსახურების თანამშრომლობა ითვალისწინებს თუ არა ჩეჩნებისა და საერთოდ ჩრდილოკავკასიელების ექსტრადიციას, გვიპასუხა, რომ ჩეჩნების ექსტრადირებას საქართველო ვერ შეძლებს, რადგან მათ ევროპის კონვენცია იცავს: **„ჩატაევის ექსტრადიციის საკითხზე იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს ვესაუბრე, მაგრამ ეს ძველია ამბავია. დაღესტნელების საკითხი ახალია და ვერ გეტყვით, უნდა მოახდინოს საქართველომ მათი ექსტრადიცია, თუ არა. მათ არ აქვთ ევროპის კონვენციის მხარდაჭერა, არ გააჩნიათ ლტოლვილის სტატუსი, საერთოდ ფედერალურ ძებნაში არ იმყოფება. ბოლო დროს პუტინი აცხადებს, რომ თანამშრომლობა სურს ახალ მთავრობასთან, მაგრამ ამას უფრო სხვა აზრით ამბობს. ვერც ერთი ჩეჩენის ექსტრადირებას საქართველო ვერ შეძლებს, რადგან ისინი ევროპის კონვენციის დაცვით სარგებლობენ. მსგავსი პრობლემა პირადადაც გამაჩნია — საკუთარ ქვეყანას ვიცავდი და თუ საქართველოსთვის უკეთესი იქნება, მოახდინოს ჩემი ექსტრადიცია, წინააღმდეგი არ ვარ!“**

*ანა ქევხიშვილი*



# პროკურორის მკვლელ ექიმს ციხიდან ათავისუფლებენ!



*მე-9 გვერდიდან*

### უპასუხოდ დარჩენილი კითხვები?

რა მიზანი ამოძრავებდათ კენჭაძესა და ჭეიშვილს, როცა ტყეშელაშვილს მუდმივად ამა თუ იმ კლინიკაში დაწოლის აუცილებლობაში არწმუნებდნენ? რატომ არ გამოიკვლია პროკურატურამ და სასამართლომ ტყეშელაშვილის კიევში ვიზიტი და „მენტალ ვიტაში“ ჩატარებული „მკურნალობის“ კურსი, სადაც ასევე ჭეიშვილი-კენჭაძის გვარები ფიგურირებს? არ იცოდა ჭეიშვილმა, რომ გულიაშვილს არ ჰქონდა შესაბამისი ლიცენზია? რატომ არ აუხსნეს პაციენტსა და მის მშობლებს, კონკრეტულად, რა მეთოდით აპირებდნენ „ციტო+“-ში მის მკურნალობას? რა განზრახვით მიიყვანეს იგი „ციტო+“-ში განსაკურნებლად, ფულის გამოსაძალად, იმისთვის, რომ ნარკოტიკულ ნივთიერებაზე დამოკიდებული გამხდარიყო და შემდეგ მუდმივი კლიენტი ჰყოლოდათ თუ მოსაკლავად? რატომ არ დაინტერესდა პროკურატურა და სასამართლო, გაერკვია, როდის, რა ვითარებაში მიიღო ტყეშელაშვილმა სხეულზე დაზიანებები და ჩაუტყდა გულმკერდის ძვალი? რატომ არავინ დაინტერესდა 6 ივნისს გაკეთებული მედიკამენტების ჩამონათვალითა და დოზირებით? ან ის რატომ არავინ გაარკვია, კონკრეტულად, ვინ გაუკეთა მას 6 ივნისს სასიკვდილო დოზა? ვინ მოხსნა აპარატურა 7 ივნისს და გადააბრუნა პროკურორი კედლისკენ? რატომ დაიმალა ტყეშელაშვილის გარდაცვალების დრო? რა კავშირი აქვს ამ ფაქტთან გუბელაძეს? რატომ ჩატარდა გამოძიება არაობიექტურად და რატომ არ იმსჯელა პროკურატურამ განზრახ მკვლელობის ვერსიაზე? — ეს იმ კითხვების არასრული ჩამონათვალია, რომელზე პასუხებიც ტყეშელაშვილის ჭირისუფლებმა დღემდე ვერ მიიღეს. და სანამ მათგან ერთი მაინცაა დარჩენილი, წარმატებული პროკურორის მშობლებს აქვთ მორალური უფლება, ეჭვები და ვარაუდი გამოთქვან, წარმოიდგინონ, რომ ყველაფერი სინამდვილეში ასე მოხდა: მავანმა პროკურორის მოშორება გადაწყვიტა. მისი მიმნდობი ხასიათიდან გამომდინარე, მიუჩინეს ჭეიშვილი, რომელმაც მასზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინა — დაარწმუნა, რომ მკურნალობა სჭირდებოდა. დააწვინეს „ციტო+“-ში. მედიკამენტებით დააძინეს, გაუკეთეს სასიკვდილო დოზა. კვების გარეშე, გადაუსხეს დაშვებულზე მეტი სითხე და ვადაგასული წამლები, დაუხეთქეს სისხლძარღვები; მიაყენეს ფიზიკური დაზიანებები, ჩაუმტვრიეს გულმკერდის ძვალი, წამებით მოკლეს. გარდაცვალების შემდეგ გადაახვიეს საბანში და გადააბრუნეს კედლისკენ, სამინისტროს წარმომადგენლებს რომ არ გაეგოთ მისი სიკვდილის შესახებ.

ეს სიმართლეა თუ არა, პროკურატურამ უნდა გამოიძიოს. ტყეშელაშვილის მშობლებიც ამას მოითხოვენ: **„ჩვენ, გამწარებული, შვილმკვდარი მშობლები, მივმართავთ თეა წულუკიანსა და არჩილ კბილაშვილს, გამოყოფილ საქმეზე ჩაატარონ გამოძიება, გამოიკვლიონ ყველა დეტალი, გვიპასუხონ ყველა კითხვაზე და სამართლიანად, კანონის შესაბამისად, დასაჯონ ყველა დამნაშავე. საქმეში არსებული მასალები ნათლად მეტყველებს, რომ ადგილი ჰქონდა განზრახ მკვლელობას, რაც დაფარა ჯანდაცვის სამინისტრომ, ექსპერტიზის ბიურომ, პროკურატურამ და სასამართლომ. მოვითხოვთ, გამოიძიონ ყველა გარემოება და დეტალი!“**

სასამართლოში გაირკვა არსებითი საკითხი – მედიკამენტოზური ძილის მკურნალობას უფრო ხანგრძლივი დროით და მაღალი კვალიფიკაციით ატარებენ ღუდუშაურის ცენტრში, ეს არ შეიძლება არ სცოდნოდა გეგელაშვილსა და ჭეიშვილს. რატომ არ ურჩიეს პაატას იქ დაწოლა და კლინიკადწოდებულ „კრიმინალურ ბუნაგში“ მიიყვანეს. „ციტო+“ იყო ჭეიშვილის ბოლო ექსპერიმენტი, რომელმაც ტყეშელაშვილის სიცოცხლე შეიწირა. პროკურორმა ბაღდასაროვმა სააპელაციო სიტყვაში განაცხადა: **„ერთადერთი მიზეზი, რის გამოც ტყეშელაშვილს დაუწყეს პროცედურების ჩატარება, მატერიალური დაინტერესებაა“.** მშობლების თქმით, ჭეიშვილთან ერთად, ეს თანაბრად ეხება გულიაშვილსა და სხვა ექიმებსაც.

### „ჩემ შვილს ცილი დასწამეს“

შვილის გარდაცვალების შემდეგ, ტყეშელაშვილებს კიდევ ერთი უბედურება დაატყდათ თავს — ნარკოლოგმა გალოგრემ, რომელიც, მათი ინფორმაციით, გულიაშვილის მეგობარი და თანამზრახველია, შეგნებულად გაავრცელა ხმა, თითქოს პროკურორი ნარკომანი იყო. **„ჩემი გარდაცვლილი შვილის სახელი შებღალეს! ცილი დასწამეს! იმ დღეს ჩემი პაატა ხელმეორედ გამოასალმეს სიცოცხლეს. ვინც მას იცნობდა, ამას არ დაიჯერებს“,** — აცხადებს თამარ მაისურაძე. მათთვის კი, ვინც პროკურორს არ იცნობდა, ექსპერტიზის დასკვნას ასაჯაროებს — გარდაცვლილის სისხლის, თმისა და ფრჩხილების ანალიზი აჩვენებს, რომ პაატა ტყეშელაშვილი ნარკოტიკულ ნივთიერებებს არ მოიხმარდა!

**„მკვლელობიდან დასაფლავებამდე შექმნეს ყალბი მასალები. შეადგინეს ექსპერტიზის აქტი, სადაც წერია, თითქოს პაატა წლების განმავლობაში იყო დაავადებული დეპრესიით. რამდენჯერმე გადატანილი ჰქონდა ინფარქტი და ჰქონდა თავის ტვინის დამბლა. ეს სიყალბეა“,** — აცხადებს ელგუჯა ტყეშელაშვილი და დამაჯერებლობისთვის არგუმენტებიც მოჰყავს: „ციტოში“ დაწოლამდე, ტყეშელაშვილმა მე-9 საავადმყოფოში გადაიღო ელექტროენცეფალოგრაფია. ცვლილებები არ აღმოაჩნდა. ცვლილებები არ იყო არც თოდუას კლინიკაში გადაღებულ ტომოგრაფიაში. 2 ივნისს გადაღებული კარდიოგრამა კი, ინფარქტის გადატანას გამორიცხავს ისევე, როგორც ანზორ მელია, რომელიც, თამარ მაისურაძის თქმით, ტყეშელაშვილის მეგობარი იყო: **„საღ-სალამათი შვილი მომიკლეს და სიკვდილის შემდეგაც არ მოასვენეს, თავისი უკანონობის გასასამართლებლად, ათასგვარი სიბინძურე დასწამეს. ამ ყველაფრის ორგანიზატორი თავისუფალია, გულიაშვილი კი 1 წელში გამოვა და იტყვის, სამართალი აღდგაო. ჩემ შვილს აღარაფერი ეშველება, მაგრამ სანამ პირში სული მიდგას, ვიბრძოლებ, გაირკვეს სიმართლე. ამას ჩემი შვილის შეურაცხყოფილი იმიჯის აღდგენის გამო ვაკეთებ. ასევე იმისთვის, რომ მომავალში, თაღლითმა ექიმებმა, სხვა ადამიანების სიცოცხლე არ შეიწირონ და მათი მშობლები, თავიანთი უკანონო საქმიანობით, ჩემსავით, შვილმკვდარ დედებად არ აქციონ“!**

# „თუ მიხეილ სააკაშვილი პოსტიდან ვადამდე გადადგა, პრემიერი გიორგი მარგველაშვილს 7 კი არა, 27 მილიარდით ვერ გაიყვანს!“

## რა შემთხვევაში იყრის საპრეზიდენტო კანდიდატად კენჭს ბიძინა ივანიშვილი?

ნინო კომახიძე
599-95-33-16

**საპრეზიდენტო არჩევნების გამოცხადებამდე 45 დღე რჩება — მიხეილ სააკაშვილმა 1-ელ აგვისტომდე არჩევნების თარიღი უნდა დაასახელოს! თუმცა სააკაშვილი რის სააკაშვილია, თუ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინაც ცოტა არ გვანერვიულა. ან „ოცნებაში“ რატომ არავინ ფიქრობს იმაზე, რა იქნება მას მერე, თუკი სააკაშვილმა 1-ელ აგვისტოს საპრეზიდენტო არჩევნების თარიღი სულაც არ გამოაცხადა და პოსტიდან ვადამდე გადადგა?!**



ამის შესახებ მედიასთან გამოცდილმა იურისტმა და ექსპერტმა **ლევან ალაფიშვილმა** ისაუბრა და მოვლენათა განვითარების საკმაოდ ლოგიკური სქემა დახატა: **„ახალ კონსტიტუციაში, რაც ძალაში შემოდგომაზე უნდა შევიდეს და რომლის მიხედვით, პრემიერის უფლებამოსილებები იზრდება, ისიც მითითებულია, რომ ეს ცვლილებები ძალაში 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული პრეზიდენტის ფიცის დადების დღიდან შედის. თუ სააკაშვილი თანამდებობიდან ვადაზე ადრე გადადგა, ეს ნორმა მხოლოდ ქაღალდზე დარჩება და არ ამოქმედდება. ხოლო თუ სააკაშვილი გადადგება, მაშინ ორი რამაა მოსალოდნელი: დაგვრჩება კონსტიტუციის დღევანდელი მოდელი და ჩვენც იგივე, ანუ დღევანდელი უფლებამოსილების მქონე პრეზიდენტი უნდა ავირჩიოთ. ამ შემთხვევაში, მმართველი კოალიციის მიერ ქვეყნის პირველ პირად გიორგი მარგველაშვილის კანდიდატურის დატოვება უკვე ძნელი წარმოსადგენია. „ოცნებაში“ უფრო წონად ფიგურაზე მოუწევთ მსჯელობა, თუ სურთ, მმართველი კოალიცია არ დაიშალოს. იმ საკონსტიტუციო ცვლილებებით, რაც პარლამენტმა მიიღო, ორმაგი მოქალაქე პრეზიდენტის პოსტის დაკავებას შეძლებს. ანუ შესაძლოა, პრეზიდენტად კენჭი მოქმედმა პრემიერმა იყაროს — ეს ერთადერთი სწორი გზა იქნება კოალიციის ერთიანობის შესანარჩუნებლად. სხვა შემთხვევაში, როგორც მინიმუმ, „ოცნებაში“ მეორე, უფრო ძლიერი კანდიდატის, ირაკლი ალასანიას გამოჩენას უნდა ველოდოთ“.** საინტერესო და უდავოდ ლოგიკური სცენარის განვითარების კიდევ რამდენიმე ვარიანტზე ლევან ალაფიშვილი „ვერსიასთან“ კიდევ უფრო ვრცლად საუბრობს:

— ეს მოვლენათა განვითარების ერთ-ერთი რეალური ვერსიაა. თუ სააკაშვილი არ გადადგება, არა მგონია, უახლოესი 10 წლის განმავლობაში პოლიტიკაში მობრუნების შანსი ჰქონდეს. მისი გადადგომა თუ მხოლოდ სააკაშვილზე იქნება დამოკიდებული, ის ასეც მოიქცევა! გადადგება თუ არა, უკვე ამაზე ნაციონალური მოძრაობის წევრთა და ასევე, საგარეო მხარდაჭერის ფაქტორიც იმოქმედებს. უცხოელთათვის გასაგებ ენაზე მოსაუბრე და ჯერ კიდევ გამოსწორებადი რეიტინგის მქონე ფიგურა სწორედ ხომ სწორედ მიხეილ სააკაშვილია!

**— ანუ სცენარი ასეთია — „ნაციონალებმა“ იციან, რომ მათი ვერც ერთი კანდიდატი ვერ გაიმარჯვებს და ხელისუფლებაში დაბრუნების შანსის დასატოვებლად, სააკაშვილი ვადამდე წავა?**

— ასეა, ეს ოპტიმალური ვარიანტია პირადად სააკაშვილისთვისაც. თუმცა აქ კიდევ ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი — ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები! ივანიშვილსაც და კოალიციის ძალიან ბევრ ლიდერსაც ნათქვამი აქვს, რომ ამ პირობებში 5 წელი ვერ გაძლებენ. ამას გარდა, თუ საშემოდგომო არჩევნებამდე მივედით და „ოცნების“ კანდიდატი მარგველაშვილი გახდება, მაშინ სამთავრობო კრიზისის ძალიან მარტივად შექმნით, ყველა შემთხვევაში, პარლმენტს დაითხოვენ. თუმცა ამ კრიზისებსაც რომ თავი დავანებოთ, ჩავთვალოთ, რომ პარლამენტი ყველა შემთხვევაში მაინც დათხოვნილია — საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ მთავრობა იხსნის უფლებამოსილებას პრეზიდენტის წინაშე და ხდება ახალი კაბინეტის წარმოდგენა. ძალიან მარტივად, ივანიშვილი წარმოადგენს ისეთ ე.წ. არაგამსვლელ მთავრობას, რომელსაც პარლამენტი მხარს არ დაუჭერს, ივანიშვილი კი პარლამენტს დაითხოვს. ესეც ჩვენი პოლიტიკური კრიზისი! როგორც ჩანს, სააკაშვილის გადადგომა „ოცნებაში“ აქამდე გააზრებული საერთოდ არ ჰქონდათ. ამიტომაც ახლა ასეთ ცაიტნოტურ მდგომარეობაში მოუწევთ აზროვნება.

**— ახლა ეს ვერსია ვის უფრო აძლევს ხელს — სააკაშვილს, რომელიც სამომავლოდ შანსს დაიტოვებს, თუ ივანიშვილს, რომელიც ხელოვნური კრიზისით საკუთარ გარემოცვას გაწმენდს?**

— თუკი საპრეზიდენტო არჩევნები შემოდგომაზე გაიმართება, ივანიშვილი ამ პოლიტიკურ ბალასტს მაინც ჩამოიფერთხავს — პრეზიდენტი მისი კაცი იქნება, პრემიერად, ჯერჯერობით, თვითონ დარჩება და მთავრობის ახალ შემადგენლობასაც თავად წარადგენს, რომელსაც პარლამენტს უპრობლემოდ დაამტკიცებინებს. მერე ივანიშვილი თამაშიდან გავა და მარგველაშვილ-ღარიბაშვილის დატოვებით, მივიღებთ ივანიშვილის გარშემო გაერთიანებულ სამ შტოს — მთავრობას, პრეზიდენტსა და პარლამენტს. საბოლოო ჯამში, ზუსტად ასე იშიფრება ივანიშვილის მიერ დაანონსებული ფრაზა — მე პოლიტიკიდან წავალ! ოფიციალურად, ის გაერიდება ამ პასუხისმგებლობას, რეალურად კი ყველაფრის მმართველი და გადამწყვეტი თავად იქნება! ხოლო თუ ივანიშვილი კენჭს თავად იყრის საპრეზიდენტო კანდიდატად, ეს სააკაშვილის მიერ პოსტის ვადამდე დატოვების შემთხვევაში მოხდება.

**— გამოვიდა, რომ კოალიციის დაშლა-არდაშლა სააკაშვილის ხელშია?**

— არამხოლოდ ეს, არამედ ქვეყნის უახლოესი მომავალიც, მინიმუმ, 5 წელი! სწორედ მიხეილ სააკაშვილს უჭირავს ოქროს გასაღები, პირადად მისთვისაც და ქვეყნის მომავლისთვისაც! სხვათა შორის, აქ უკვე გზა ეხსნება ირაკლი ალასანიას! ლოგიკურად, სურს თუ არა ვინმეს, თუნდაც პერსონალურად ბიძინა ივანიშვილზე დიდი საერთაშორისო მხარდაჭერა სწორედ ალასანიას აქვს, აღარაფერს ვამბობ მარგველაშვილზე. ამიტომ თუ ისე მოხდა, რომ ალასანია ბოლომდე კოალიციის შიგნით დარჩა და სააკაშვილი გადადგა, „ოცნების“ კანდიდატიც ის შეიძლება იყოს. ისე, იქნებ, სააკაშვილი ამ ყველაფერს ხვდება და ამაზე მიდის კიდეც მათ შორის საუბარი, მით უმეტეს, პრეზიდენტი და ალასანია ერთმანეთს იცნობენ.

**— ეს უკვე სააკაშვილი-ალასანიას გარიგება გამოდის ივანიშვილის წინააღმდეგ?!**

— ფაქტია, ივანიშვილმა საიდანღაც იცოდა, რომ ალასანია საკუთარ პარტიაში საკუთარ პრეზიდენტობაზე საუბრობდა. შესაბამისად, რატომ არ შეიძლება, ალასანიას მიშასთან საუბრის შესახებაც სცოდნოდა ივანიშვილს და „დასწრებაზე“ ემუშავა?! მარგველაშვილს რეიტინგი რომ არ აქვს და 45 დღეში მას ალასანიაზე უკეთესი სასტარტო პირობები რომ არ ექნება, ეს ივანიშვილმაც იცის, მანდ ისიც იცის, რომ გუნდში ერთობაც არ აქვს — ასე რომ, ამ რესურსებით, მარგველაშვილს 7 კი არა, 27 მილიარდითაც ვერ გაიყვანს! ჯოხი პრეზიდენტი ვერ გახდება!

## ავტომანქანის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები ახლებურად დარეგულირდება

ავტომანქანის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები ახლებურად დარეგულირდება. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივით, ავტოსატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებით ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შედის. კანონპროექტის ინიცირება ბიუროს გუშინდელ სხდომაზე მოხდა.

მოქმედი კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ მესაკუთრე არ იბრუნებს ავტომანქანას, ან ავტომანქანის მესაკუთრის ვინაობა დაუდგენელია, პროკურორი შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს, ავტომანქანის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ.

წარმოდგენილი კანონპროექტით კი, პროკურორს დაეკისრება ვალდებულება, ორივე შემთხვევაში (როცა მესაკუთრე არ იბრუნებს, ან უცნობია მისი ვინაობა) მიმართოს სასამართლოს შუამდგომლობით ავტომანქანის სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის შესახებ, ხოლო სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით, შეაფასებს საქმის გარემოებებს, პროკურორისა და დაინტერესებული მხარეების მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს და მათ საფუძველზე, იღებს გადაწყვეტილებას სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში მიქცევის, ან იმ პირისთვის გადაცემის შესახებ, რომელმაც შეიძინა ეს ავტოსატრანსპორტო საშუალება და შეძენის მომენტისთვის არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ინფორმირებული სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს მე-80 მუხლში არსებული ვადების ახლებურ რეგლამენტაციას, რითაც ზუსტდება და იხვეწება ამ მუხლებით გათვალისწინებული პროცედურა.

ამავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 80-ე მუხლში დაკონკრეტდება სასამართლოს მიერ შუამდგომლობის განხილვისა და მიღებული განჩინების გასაჩივრების წესი და სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში გასაჩივრების უფლება მიეცემა პროკურორთან ერთად დაინტერესებულ პირს სასამართლოს განჩინების გამოტანიდან 48 საათში.

გარდა ამისა, კოდექსს ემატება 332-ე მეორე პრიმა მუხლი, რომლის მიხედვით, 2013 წლის პირველ ივლისამდე დაწყებული გამოძიების შემთხვევაში, თუ მესაკუთრე (მფლობელი) დადგენილ ვადაში არ დაიბრუნებს სატრანსპორტო საშუალებას, ასევე თუ სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი არ არის ცნობილი, გამოძიების სტადიაზე გამომძიებლის დადგენილებით, ხოლო სასამართლოში – სასამართლოს განჩინებით აღნიშნული სატრანსპორტო საშუალება დაუბრუნდება იმ პირს, რომელმაც შეიძინა იგი და შეძენის მომენტისთვის არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო ინფორმირებული სატრანსპორტო საშუალებასთან დაკავშირებით ჩადენილი დანაშაულის შესახებ.

ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიას განმარტებით, საუბარია ისეთ შემთხვევებზე, როდესაც სისხლის სამართლის საქმეებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების ამოღება ხდებოდა და მათი უკან დაბრუნება პრაქტიკულად შეუძლებელი იყო, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში პირდაპირაა გაწერილი პროცედურები, რომელიც გარკვეულ პრობლემებსა და ხარვეზს ქმნის.

ბესელიას ინფორმაციით, ამასთან დაკავშირებით 300-ზე მეტი შემთხვევაა ოფიციალურად აღრიცხული და წარმოებაში მიმდინარე, თუმცა მათთვის კიდევ უფრო მეტი შემთხვევაა ცნობილი.

*„ინტერპრესნიუსი“*

ვერსიანიუსი

## 10 დღის წინ გათავისუფლებული ტარიელ ფოცხვერია იგივე „ტარასა“ კანონიერი ქურდობის ბრალდებით მეორედ დააკავეს



18 ივნისს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა წარსულში სხვადასხვა მძიმე დანაშაულისთვის ნასამართლევი, 1959 წელს დაბადებული ტარიელ ფოცხვერია იგივე „ტარასა“ კანონიერი ქურდობის ბრალდებით დააკავეს. როგორც შსს-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, სამართალდამცველებმა „ტარასა“ ბრალდებულის სახით თბილისის ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებაში აიყვანეს, სადაც ის მკურნალობის კურსს ბადრაგების ზედამხედველობის ქვეშ ახლაც განაგრძობს:

**„ტარიელ ფოცხვერია ქურდული სამყაროს სასარგებლოდ ქურდულ გარჩევებს აწყობდა, ე. წ. ქურდულ გადაწყვეტილებებს იღებდა და ქურდული სამყაროს სხვა წევრებს და მათი გავლენის ქვეშ მყოფ პირებს მითითებებს აძლევდა. დადგენილია, რომ ბრალდებული ამ სახით მონაწილეობდა ქურდული სამყაროს მართვასა და ორგანიზებაში. გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულს კავშირი ჰქონდა ქურდული სამყაროს მაღალ იერარქიულ საფეხურზე მყოფ საზღვარგარეთ მცხოვრებ სხვა პირებთანაც. გამოძიება კანონიერი ქურდობის ფაქტზე მიმდინარეობს“,** — ნათქვამია სამინისტროს განცხადებაში.

ტარიელ ფოცხვერიას მეორედ დაკავების ფაქტს, ნაციონალური მოძრაობის ცენტრალურ ოფისში საპარლამენტო უმცირესობის წევრი ნუგზარ წიკლაური საგანგებო ბრიფინგით გამოეხმაურა და ხელისუფლებასთან გარიგების ჩაშლის ალბათობაზეც ისაუბრა. მისი განცხადებით, ხელისუფლებამ ე.წ. კანონიერ ქურდ ტარიელ ფოცხვერიას, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში სასჯელს ციხის ბუნტის ორგანიზების ბრალდებით იხდიდა, თავისუფლების სანაცვლოდ გარკვეული პირობები შესთავაზა, თუმცა შეთანხმების შეუსრულებლობისთვის მალევე დააკავა: **„თავის დროზე, ტარიელ ფოცხვერია ციხის ბუნტის ორგანიზებისთვის დააკავეს, თუმცა ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გამოცხადებული ამნისტიის შედეგად „ტარასა“ ციხიდან ვადამდე ადრე გათავისუფლდა. ეს ფაქტი ჩემთვის მაშინათვე მიუღებელი იყო, თუმცა ამნისტიის ძირითად პირობად სასჯელაღსრულების სამინისტრომ ფოცხვერიას ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა დაასახელა. მეტიც, ითქვა, რომ ტარიელ ფოცხვერიას სიცოცხლის ბოლო თვეების ახლობლებთან გატარების შესაძლებლობა უნდა მისცემოდა. ახლა კი ვიგებთ, რომ ციხიდან 10 დღის წინ გათავისუფლებული „ტარასა“ ე.წ. ქურდული გარჩევებისთვის მეორედ დააკავეს. შესაბამისად, ლოგიკურად ჩნდება ეჭვი, რომ ის ციხიდან რაღაც პირობით გამოუშვეს, თუმცა ამ პირობის შეუსრულებლობის გამო, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შური იძია და დაიჭირა“. კონკრეტულად, რა სახის გარიგება უნდა შემდგარიყო ხელისუფლებასა და ე.წ. კანონიერ ქურდს შორის, ნუგზარ წიკლაურს ჟურნალისტებთან შეხვედრისას არ დაუკონკრეტებია და კითხვაზე პასუხი მარტივად გასცა — „აბა, ეგ მე რა ვიცი“.**

*რუსუდან შელია*



# „არსებობს წითელი ხაზები, რომლის გადალახვაც ქართულ მხარეს არ უნდა!“

## როგორ აფასებენ ექსპერტები პუტინის განცხადებას სპეცსამსახურების თანამშრომლობის შესახებ

ანა ქევხიშვილი
557-10-44-22

**რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ტელეკომპანია Russia Today-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ თუ რუსეთისა და საქართველოს სამართალდამცავი ორგანოები ერთობლივ მუშაობას შეძლებენ, ეს იქნება უვიზო რეჟიმისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი. ვლადიმერ პუტინის ამ განცხადებას საზოგადოებასა და პოლიტიკურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა მოჰყვა... საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ აღნიშნა, რომ საქართველო ხედავს თანამშრომლობის პოტენციალს სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების კუთხით, თუმცა წითელი ხაზების არსებობას — ე. წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარების ფაქტს საქართველო არასდროს შეეგუება. რუსეთის პრეზიდენტის განცხადება ექსპერტებმაც არაერთგვაროვნად შეაფასეს. სერგი კაპანაძის აზრით, „ეს ძალიან ნიშანდობლივი განცხადებაა და ძალიან კარგად მეტყველებს იმაზე, თუ რა ინტერესები აქვს დღეს რუსეთს. დარწმუნებული ვარ, რუსეთის სპეცსამსახურების ქმედებები მიმართულია ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ“... ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა 90-იანი წლებიც გაიხსენა, როდესაც საქართველოში ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელებად რუსეთისთვის სასურველი ადამიანები ინიშნებოდნენ... პოლიტოლოგი ჰამლეტ ჭიპაშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას საქართველო-რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლობის შესაძლებლობას დადებითად აფასებს, თუმცა ამ უკანასკნელის ინტერესს არ გამორიცხავს. ექსპერტი მიიჩნევს, რომ დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის გარეშე, ასეთი თანამშრომლობა გამორიცხულია...**

— საქართველოსთან მიმართებაში პუტინის მხრიდან ასეთი დადებითი განცხადება კარგა ხანია არ მსმენია. ადრეც აკეთებდა პოზიტიურ განცხადებებს, მაგრამ ქართული მხარე ამას ყოველთვის ნეგატიურად პასუხობდა. ამჯერად ხელისუფლება შეიცვალა. ამ საკითხზე განცხადება უნდა გააკეთოს მან, ვინც დღეს, ფაქტობრივად, ხელმძღვანელობს ქვეყანას. სამწუხაროდ, ივანიშვილის მხრიდან, რაიმე სახის რეაგირება არ ჩანს. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე კი დაბეჯითებით აცხადებს, რომ რუსეთთან არავითარი ოფიციალური სამთავრობო მოლაპარაკება არ გაიმართება, ვიდრე რუსეთი არ გაიყვანს ჯარებს აფხაზეთიდან და „სამხრეთ ოსეთიდან.“ ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველო არ აპირებს რუსეთთან დალაპარაკებას.

— **კი, მაგრამ, როდესაც საქართველოს ტერიტორიები ოკუპირებულია, დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა ხომ არ ნიშნავს „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას?**

— რუსეთი თავის გადაწყვეტილებას ასე მარტივად ვერ შეცვლის. ეს რომ გააკეთოს, საკუთარი მოსახლეობა აუჯანყდება. ასეთი პრიმიტიული განცხადებების გაკეთება ნიშნავს იმას, რომ საერთოდ, საქართველო მზად არ არის მოლაპარაკებისთვის. თუნდაც დავიჯეროთ, რომ რუსეთი აპირებს ჯარის გაყვანას და „დიპლომატიური წარმომადგენლობების“ დახურვას აფხაზეთსა და „სამხრეთ ოსეთში“, ისმის კითხვა, არის საქართველო მზად, დაიწყოს მოლაპარაკება? ასი პროცენტით დარწმუნებული ვარ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება, ისეთი საგარეო საქმეთა მინისტრის ხელმძღვანელობით, როგორიცაა მაია ფანჯიკიძე, საერთოდ არ არის მზად ამ მოლაპარაკებებისთვის. მას რაც შეუძლია და პირნათლად ასრულებს, სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობაა. აბსოლუტურად ისეთივე პოზიცია უკავია, რაც წლების განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტსა და ნაციონალურ ხელისუფლებას ეკავა — უაზროდ რომ დახეტიალობნდენ საზღვარგარეთ და ფლანგავდნენ სახელმწიფო სახსრებს. ასეთ მოლაპარაკებებს მომზადება სჭირდება, ამისათვის კი საჭიროა გამოცდილება, რაც ტელევიზიით ლაქლაქით არ მოდის.

ერთი, მითხარით, ოცი წლის განმავლობაში, საქართველოს ხელისუფლებამ რომელ ქვეყანასთან წარმართა სახელმწიფო მოლაპარაკებები სერიოზულ დონეზე? გვინახავს, მოლაპარაკების მაგიდასთან მიღებული სასიკეთო ხელშეკრულებები? ასეთი რამ არათუ რუსეთთან, არც ერთ ქვეყანასთან არ მომხდარა. ვიდრე ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლობაზე მიდგება საქმე, უპირველესად, უნდა აღდგეს დიპლომატიური ურთიერთობა. მაია ფანჯიკიძის სიტყვები კი იმიტომ გავიხსენე, რომ ეს აზრი ბიძინა ივანიშვილისგან მოდის, მან კი გაიმეორა. დღეს არსებობს გარკვეული წითელი ხაზები, რომლის გადალახვაც ქართულ მხარეს არ უნდა — ე.ი. თუ რუსეთი არ გამოიყვანს თავის ჯარს და დიპლომატიას ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ქართული მხარე არ აპირებს მასთან ოფიციალურად დალაპარაკებას და მაშინ რაზეა საუბარი, შესაძლებელია, ვილაპარაკოთ ძალოვანი სტრუქტურების თანამშრომლობაზე? ეს გამორიცხულია.

— **პუტინის ამ შეთავაზებას სამომავლოდ რაიმე პერსპექტივა აქვს?**

— სტამბოლის გადაწყვეტილებას შეგახსენებთ, რომლის მიხედვითაც, რუსეთს უნდა გაეყვანა ჯარი. ხელშეკრულებაში იყო ასეთი ჩანაწერი — საქართველო და რუსეთი ანტიტერორისტულ ორგანიზაციას შექმნიდნენ და ითანამშრომლებდნენ ამ დარგში. სამწუხაროდ, ქართულმა მხარემ თქვა, რომ ამას აუცილებლად გააკეთებდა, მაგრამ არ შეასრულა. სააკაშვილისთვის მაშინ მთავარი და აუცილებელი იყო რუსეთის სამხედრო ბაზების დახურვა, ამიტომ რაც არ უნდა ჩაწერილიყო დოკუმენტში, თანახმა იყო. შესაძლოა, ეს შეთანხმება რეალურად შედგეს, გამორიცხული არაა.

— **გამოითქვა მოსაზრებები, რომ სპეცსამსახურების ხაზით თანამშრომლობის შემთხვევაში, რუსეთი საქართველოს უკეთ გააკონტროლებს. ამ კუთხით 90-იანი წლებთან ანალოგს ხედავთ?**

— 90-იან წლებში საბჭოთა კავშირი, ფაქტობრივად აღარ იყო, მაგრამ რუსეთის გავლენა მაინც არსებობდა. ეს იყო ჩვენი დამოუკიდებლობის წლების დასაწყისი. იმ პერიოდში რა ნაბიჯები უნდა გადაედგა საქართველოს? სხვა ქვეყნებთან კავშირი არ გვქონდა, ამიტომ სულაც არ არის გასაკვირი, რომ ქართულ მხარეს აწყობდა ადამიანის დანიშვნა, რომელსაც გავლილი ჰქონდა სკოლა ამ დარგში. რუსეთის ჩარევა ამ საქმეში, ცხადია, აქტიური იყო, მაგრამ ეს ემთხვეოდა ქართული მხარის სურვილს, რომელსაც სხვა კადრი არ ჰყავდა. მას შემდეგ ოცი წელი გავიდა. საქართველოს შიდაცხოვრებაში ღრმად მოიკიდა ფეხი ამერიკულმა ინტერესებმა. დღეს ამერიკელები მოჭარბებულად არიან სხვადასხვა სამინისტროებში, განსაკუთრებით, ძალოვან უწყებებში. არ არის გასაკვირი, რუსეთს ჰქონდეს სურვილი, მისადმი ლოიალურად განწყობილი პირი იყოს საქართველოში, ამა თუ იმ სტრუქტურის ხელმძღვანელად. მსოფლიო პრაქტიკაში არის მსგავსი შემთხვევები — დიდი ქვეყნები ყოველთვის ცდილობენ, პატარა სახელმწიფოებში და (არა მარტო) ჰყავდეთ მომხრეები...

— **რუსი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ სოჭის ოლიმპიადის დროს ხელისუფლების სიმშვიდე, შესაძლოა, ჩრდილოკავკასიიდან გადასულმა რადიკალმა ისლამისტებმა დაარღვიონ. რაიმე ინციდენტის შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სწორედ საქართველო დაადანაშაულონ?**

— რუსეთს მიაჩნია, რომ საქართველოდან მუდმივად ხდება ტერორისტების გადასვლა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამაზე თავად ამერიკელებიც წერენ. შარშან გამოვიდა წიგნი, რომელიც ეხება ტერორისტების საქმიანობას კავკასიაში. ერთი-ერთი ამერიკელი ავტორი ჯაპ რასი აცხადებს, რომ 2009-2011 წლებში ტარდებოდა შეხვედრები საქართველოში და, კერძოდ, თბილისში ექსტრემისტებთან — სალაჰიტებთან და რადიკალური ისლამის წარმომადგენლებთან. ხაზგასმულია, რომ მასში მონაწილეობდნენ ალ-ქაიდას წარმომადგენლები. სხათა შორის ეს მკვლევარი აშშ-ს ხელისუფლების მრჩეველია საშინაო საკითხებში. ამდენად, სულაც არ იქნება გასაკვირი, რომ ოლიმპიური თამაშების დროს ან მის დაწყებამდე რუსეთმა ხელი დაადოს საქართველოს. საკითხავია, რამდენად აკონტროლებს ივანიშვილი ვითარებას? არ ვარ ასი პროცენტით დარწმუნებული, რომ აკონტროლებს.

**„ვერსია“ ამ საკითხზე პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარეს გია ვოლსკისაც ესაუბრა, რომელმაც განაცხადა:** „სიტყვა „თანამშრომლობა“ ძალიან განსხვავდება იმ რეალობისგან, რაც გვაქვს. თანამშრომლობა აგებულია მთელ რიგ ურთიერთობებზე, რომლებიც პოლიტიკურ მეგობრობასაც გულისხმობს, მაგრამ არსებობს საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესების საგანია... რასაც პუტინი თანამშრომლობას უწოდებს, იგივეს მე ვერ დავარქმევ. პრევენციისთვის, გარკვეული ინფორმაციის გაცვლა შესაძლებელია. მოგეხსენებათ, ინდოეთსა და პაკისტანს შორის დაძაბული ურთიერთობაა, მაგრამ ინფორმაციის გაცვლა და რაღაც დონეზე თანამშრომლობა მიმდინარეობს. რაც შეეხება რუსეთის სპეცსამსახურების მიერ საქართველოს გაკონტროლებას, ასეთი რამ გამორიცხულია. 90-იან წლებში, ნებით თუ უნებლიედ, ვიყავით სისტემაში, რომელიც საბჭოთა პერიოდიდან მოდიოდა. აქედან გამოსვლაა საჭირო იმიტომ კი არა, რომ რუსეთს დაუპირისპირო პოზიცია, არამედ იმიტომ, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოააშენო. რასაც რუსეთი გვკარნახობს, მათ შორის საკადრო საკითხებზე, ასე სისტემის აშენება შეუძლებელი და წამგებიანია“.

# რატომ არ დაუჭირა მხარი გაერო-ს რეზოლუციაზე სომხეთმა საქართველოს?

ანა ქევხიშვილი
557-10-44-22

**ნიუ იორკში, გაერო-ს რიგით 67-ე რეზოლუციაზე, აფხაზეთისა და ცხინვალის საქართველოს ნაწილად აღიარებას მხარი 63-მა სახელმწიფომ დაუჭირა. წინააღმდეგი 14 ქვეყანა აღმოჩნდა — ბელორუსი, ვენესუელა, ვიეტნამი, ზიმბაბვე, კუბა, ლაოსი, მიანმა, ნაურუ, ნიკარაგუა, რუსეთი, სერბეთი, სირია, სომხეთი, სუდანი, ჩრდილოეთ კორეა და შრი-ლანკა. ქართული საზოგადოების მხრიდან რეაქცია სწორედ ბელორუსისა და სომხეთის გადაწყვეტილებამ გამოიწვია...**

რეზოლუცია ხაზს უსვამს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში ჰუმანიტარული საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელების აუცილებლობას, ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა საკუთრების უფლების დაცვის მნიშვნელობას. იგი გმობს საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ძალისმიერი გზით განხორციელებულ დემოგრაფიულ ცვლილებებს და ჟენევის მოლაპარაკებების მონაწილეებს მოუწოდებს, დევნილი მოსახლეობის საკუთარ სახლებში დაბრუნების უზრუნველსაყოფად ძალისხმევა გაააქტიურონ. ამასთანავე, რეზოლუცია გაერო-ს გენერალურ მდივანს ავალდებულებს, დევნილი მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ გენერალურ ასამბლეას ყოველწლიურად მოახსენოს. გენერალურმა ასამბლეამ მსგავსი რეზოლუცია პირველად 2008 წელს მხოლოდ აფხაზეთთან მიმართებაში მიიღო და მხოლოდ 14 მხარდამჭერი ჰყავდა, ხუთი წლის განმავლობაში მათი რიცხვი 60-მდე გაიზარდა. საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ სომხეთისა და ბელორუსის გადაწყვეტილებას საწყენი უწოდა, თუმცა იქვე დასძინა, რომ არ გაკვირვებია. საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზურაბ აბაშიძე კი გადაწყვეტილების მიზეზს რუსეთის გავლენაში ხედავს და აცხადებს: **„ალბათ, შეიძლება ითქვას, რომ ამ ქვეყნებზე პოლიტიკური გავლენა უფრო მეტია. მხარეებმა დიპლომატიურად უნდა ახსნან – რატომ არ დაუჭირეს მხარი რეზოლუციას“.**



„ქართული დასის“ ლიდერი **ჯონდი ბაღათურია** „ვერსიასთან“ საუბარში აცხადებს, რომ ბოლო პერიოდში სომხეთ-საქართველოს ურთიერთობები ცოტა გართულებულია: **„სომხეთის ნაბიჯი ძალიან სერიოზული სიგნალია, რომ სამეზობლო პოლიტიკას გადახედვა სჭირდება. სომხეთს აქვს თავისი, გასაგები ინტერესები რეგიონში, რომელიც მათთვის დღეისთვის გადაკეტილია. ვგულისხმობ, თურქეთის სახელმწიფოსთან გართულებულ ურთიერთობებსა და მდგომარეობას, ზოგადად, რეგიონში. ისინი ლობირებენ თავის ინტერესებს, ამიტომ საქართველომ რეგიონში ცოტა უფრო რაციონალური პოლიტიკა უნდა აწარმოოს. საქართველო კავკასიაში მთავარი მოთამაშეა — ჩვენი ქვეყნის სწორ თუ არასწორ სვლებზეა დამოკიდებული სომხეთისა და აზერბაიჯანის მდგომარეობა. საქართველოს მცდარი ნაბიჯები გადამწყვეტია, რადგან შემდგომში მეზობლების პროტესტი მოჰყვება ხოლმე. სწორედ ეს გართულებული ურთიერთობები გამოჩნდა რეზოლუციის მიღების დროს. სომხეთი მეზობელი სახელმწიფოა. ჩვენთან ცხოვრობენ ეთნიკურად სომეხი მოქალაქეები, მათი დიდი ნაწილი ჩვენი ქვეყნის პატრიოტია, ამიტომ ამ ურთიერთობების გამწვავება არასწორი იქნება. ჩვენ უნდა შევაფასოთ, რამ გამოიწვია სომხების ასეთი პოზიცია და რამდენად შეგვიძლია, დარღვეული ბალანსი გავაწონასწოროთ. საქართველოს ბალანსის აღდგენა შეუძლია.**

*დასასრული მე-13 გვერდზე*

# იაშვილის კლინიკის სანიტრები გაიფიცნენ!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

**იაშვილის ბავშვთა საავადმყოფოს 70-მდე სანიტარმა საპროტესტო აქცია მოაწყო. ისინი კლინიკაში ახალი, თურქული კომპანია „ბილიგ ჯორჯიას“ შესვლასა და სამუშაო პირობების გაუარესებას აპროტესტებენ. როგორც აქციის მონაწილეები აცხადებენ, თურქული კომპანია, რომელიც კლინიკის ადმინისტრაციამ დაიქირავა, საავადმყოფოში 15 ივნისს შევიდა. თანამშრომელთა ინფორმაციით, ნაწილს სამსახურიდან გაუშვებენ, ვისაც დატოვებენ, მათ ექვსი 12-საათიანი სამუშაო დღე, ხელფასი კი 280 ლარი ექნებათ. აქამდე სანიტრები 3 დღეში ერთხელ, 24-საათიანი გრაფიკით მუშაობდნენ და ეს ერჩივნათ, ვინაიდან ნაწილი სამუშაოდ კლინიკაში სოფლებიდან დადის.**



რა მოთხოვნებს უყენებს სანიტრებს თურქული კომპანია?

**თამარ ტატიშვილი, სანიტარი**: „გვაქვს პრობლემა სამსახურთან დაკავშირებით, იაშვილის კლინიკაში, დასუფთავების დარგში, თურქული კომპანია შემოჰყავთ. მათ კი თავიანთი სამუშაო პირობები შემოგვთავაზეს. სანამ ეს კომპანია კლინიკიდან არ წავა, ვაცხადებთ პროტესტს, არ შევალთ კლინიკაში, განვაგრძობთ გაფიცვებსა და გამოსვლებს. მოვითხოვთ, ეს თურქული კომპანია გავიდეს კლინიკიდან, მოგვცენ ნორმალური ხელფასი და ნორმალური პირობები. აქამდე ხელფასი გვქონდა 230 ლარი, „ბილიგ ჯორჯიასთან“ მოლაპარაკებაზე გვითხრეს, 280 ლარი გექნებათო, მაგრამ სამუშაო გრაფიკი შეიცვალა. თუ აქამდე ყოველ მე-4 დღეს 24-საათიანი გრაფიკით ვმუშაობდით, ახლა ამბობენ, რომ 12-საათიანი გრაფიკი გვექნება და ყოველდღე უნდა ვიმუშაოთ, არადა ხალხი სოფლებიდან დადის და თუ ოჯახსაც მოსწყდნენ და მთელი ხელფასი გზის ფულად ხარჯეს, რა აზრი ექნება მუშაობას?! ეს არის გაუსაძლისი პირობები და ამ გრაფიკით მუშაობას ვერავინ შეძლებს. იმასაც გვეუბნებიან, სამუშაო საათებში რამდენიმე წუთით დასვენება და ჭამა გამორიცხულია. წყლის დალევასაც კი აკრძალავენ, ალბათ. ხელფასიც არ არის ნორმალური. შემცირებებიც შეიძლება დაიწყოს“.

**ლელა შერმადინი, სანიტარი**: „იაშვილის კლინიკის უფროსი ექთანი შეგვპირდა, დაველაპარაკები უფროსებს და თქვენს მოთხოვნებს მოვახსენებო, მაგრამ ერთი კვირა გავიდა და არაფერი შეცვლილა. პასუხი ვერ მივიღეთ. გვითხრეს, თუ არ მოგწონთ ჩვენი პირობები, გვაქვს უფლება, სამსახურიდან გაგათავისუფლოთ, ამაზე პასუხს არავინ მოგვთხოვსო. გამოდის, სამსახურიდან უნდა დაგვითხოვონ. სამუშაო პირობები მკაცრდება. თურქული კომპანიის წარმომადგენლებმა გვითხრეს, რომ ორი-სამი წუთით დაჯდომისა და ყავის დალევის უფლებაც კი არ გაქვთ, 24 საათი ძალიან მძიმე რეჟიმში უნდა იმუშაოთო. ამ პირობებში მუშაობას კი ჩვენ ვერ შევძლებთ. გვემუქრებიან — თქვენ წახვალთ და სხვებს მივიღებთო. შესაძლოა, ჰყავთ კიდეც შემცვლელები შერჩეული. იმ თურქული კომპანიის წარმომადგენლებმა განგვიცხადეს, თურქეთში რომელ საავადმყოფოებშიც მათი კომპანიაა შესული, ჩვენი ვალუტით იქ სანიტრის ხელფასი 800 ლარია. თავიდან გვპირდებოდნენ, რომ ხელფასი 350 ლარი უნდა გაეხადათ, აღმოჩნდა, რომ 230 ლარს დაგვიტოვებენ.

**გამოდის, ჩვენს ქვეყანაში მონის მდგომარეობაში ვართ ქართველები. თუ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, საჩივარს ჯანდაცვის სამინისტროში შევიტანთ. კლინიკის დირექტორმა განგვიცხადა, თუ პრობლემები გქონდათ, არ ვიცოდიო. არადა, უკვე ერთი კვირაა, მთელი კლინიკა საქმის კურსშია და არანაირ მოლაპარაკებაზე არ წამოვიდნენ. თუ ვერ შევთანხმდით პირობებზე, შეიძლება ბევრი წავიდეს სამსახურიდან. ისიც გვითხრეს, მთელ სართულზე დღე-ღამის განმავლობაში, მხოლოდ ერთი სანიტარი დარჩებაო, არადა ამხელა კლინიკაში თითო სართული თითო სანიტარმა დაასუფთაოს, წარმოუდგენელია“.**

**იაშვილის სახელობის კლინიკის დირექტორი შოთა ჯოგლიძე, სანიტრების აქციას ხელმძღვანელობასა და სანიტრებს შორის კომუნიკაციის ნაკლებობას აბრალებს:**

„შექმნილი მდგომარეობა კომუნიკაციის ნაკლებობისა და გაუგებრობის ბრალია. ეს პროცესი ჭორზეა დაფუძნებული. სანიტრებს კომპანიის წარმომადგენლებთან შეხვედრა ჰქონდათ, მათ არც შრომითი პირობები ეცვლებათ, არც სამუშაო გრაფიკი, არც ანაზღაურება და არც შტატები მცირდება — ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ! ვინაიდან ეს კომპანია ჩემი დაქირავებულია და ჩემს დაკვეთას ასრულებს“.

**შოთა ჯოგლიძე კლინიკაში, ჯერჯერობით, თურქული კომპანიის შემოსვლასაც უარყოფს და არც იმას ამხელს, კონკრეტულად, როდის შემოვა. ამბობს, რომ თანამშრომლებს 24-საათიან სამუშაო გრაფიკსაც არ შეუცვლის:**

„თუ სანიტრებს აწყობთ 24-საათიანი გრაფიკი, ასე იმუშაონ. არც ხელფასების და თანამშრომლების რაოდენობის ცვლილება იგეგმება. ისინი საათობრივ ანაზღაურებაზე არიან და მათი ხელფასი დამოკიდებულია იმაზე, რამდენს იმუშავებენ. კვების უფლებასაც არავინ ზღუდავს“.

# რატომ არ დაუჭირა მხარი გაერო-ს რეზოლუციაზე სომხეთმა საქართველოს?

*მე-12 გვერდიდან*

**აქ უპირველესია, ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის განახლება. ეს ხელშეკრულება დაარღვიეს არა მარტო სომხეთის, არამედ ქართული ეკონომიკის საწინააღმდეგოდაც. პირდაპირ ნუ მიაბამთ სომხეთის ამ ნაბიჯს, მაგრამ საქართველომ ცოტა მეტი უნდა იფიქროს, სანამ დააზიანებს ჯერ საკუთარ და შემდგომ მეზობლის ინტერესებს“.**

პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთა დროებითი კომისიის თავმჯდომარე **გია ვოლსკი** „ვერსიასთან“ საუბარში აღნიშნავს, რომ აღნიშნულ რეზოლუციაზე სომხეთის მხრიდან მხარის არდაჭერის მიუხედავად, საქართველოს მეზობელ სახელმწიფოსთან ურთიერთობები არ დაზიანდება. იგი აქვე აღნიშნავს, რომ სენსიტიური თემების შემთხვევაში, საქართველოს გარკვეული სიფრთხილე მართებს, რათა მომავალში ურთიერთობები არ გაურთულდეს: **„არსებობს ისეთი რეზოლუციებიც, სადაც ერთმანეთის მოკავშირე ქვეყნები, როგორიცაა აშშ და ისრაელი, სხვადასხვანაირად აფიქსირებენ პოზიციას. ამ სისტემაში მუშაობის გარკვეული გამოცდილება მაქვს და გეტყვით, რომ სომხეთს, ყოველდღიური პოლიტიკური ცხოვრების კუთხით, ვალდებულებები აქვს როგორც რუსეთთან, ასევე აზერბაიჯანული ურთიერთობების სისტემიდან გამომდინარე. საერთოდ, უფრო ფრთხილად უნდა ვიყოთ საგარეო ურთიერთობებში, როდესაც ასეთი სენსიტიური თემებია, უნდა გამოხვიდე ეროვნული ინტერესებიდან და არა რაღაც პოლიტიკური გეგმებიდან. თუნდაც, ჩერქეზების გენოციდის აღიარებით, წინა ხელისუფლებას უნდოდა, პოლიტიკური დივიდენდის მიღება — პოლიტიკურად გული შესტკიოდა ჩერქეზების გენოციდზე-თქო, ვერ გეტყვით, არაგულწრფელობა კი აზიანებს ჩვენს ურთიერთობებს არამარტო გარე სამყაროსთან, არამედ თავად ჩერქეზებთან, რომლებიც დღეს მრავლად ცხოვრობენ კრასნოდარის მხარეში“.**

რატომ არ დაუჭირა მხარი გაეროს რიგით 67-ე რეზოლუციას, სომხეთის რესპუბლიკის დიპლომატიურ უწყებას ამ დრომდე კომენტარი არ გაუკეთებია.

# „საკუთარი ჯანმრთელობა ანადოლუს სამედიცინო ცენტრში დავიბრუნე“

**„გამიმართლა, რომ მკურნალობისთვის ანადოლუს სამედიცინო ცენტრი შევარჩიე“... „ჯანმრთელობა ანადოლუს სამედიცინო ცენტრში დავიბრუნე“... „ანადოლუს სამედიცინო ცენტრი, აქ მომუშავე პროფესიონალი ექიმებისა და მეგობრული გუნდის გამო ავირჩიე“... „აქ ყველა პირობაა შექმნილი, პაციენტის მყუდროებისა და მაღალკვალიფიციური დიაგნოსტიკისთვის“... „აქ თავს იგრძნობთ, როგორც საკუთარ სახლში. ყველა თავს გევლება, ზრუნავენ და ცდილობენ გამოგაჯანმრთელონ“, — ვკითხულობთ ანადოლუს სამედიცინო ცენტრის პაციენტების შთაბეჭდილებების წიგნში და მათი ეს განწყობა არცთუ უსაფუძვლოა.**



## უფასო კონსულტაცია ცენტრის სპეციალისტებისგან

ანადოლუს სამედიცინო ცენტრი, ყველაზე მასშტაბური და კეთილმოწყობილი საავადმყოფოა თურქეთში. სწორედ ამ ცენტრის რეპუტაცია და სამედიცინო მიღწევები იზიდავს პაციენტებს მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან. ანადოლუს სამედიცინო ცენტრი მოქმედებს პრინციპით — „საავადმყოფო საავადმყოფოში“, რაც პაციენტს მეტი კომფორტის საშუალებას აძლევს. ცენტრი აღჭურვილია მსოფლიო სტანდარტების მქონე მაღალტექნოლოგიური აპარატურით, რაც აუცილებელია სიმსივნის მკურნალობისთვის.

მსოფლიოში წამყვანმა თურქულმა სამედიცინო დაწესებულებამ, „ანადოლუს სამედიცინო ცენტრმა“, თემაზე — „სამედიცინო სფეროს უკანასკნელი წლების მიღწევები“, ქართველი ექიმებისთვის სპეციალური კონფერენცია გამართა.

კონფერენციის მსვლელობისას მოეწყო დისკუსიაც, რომელშიც ქართველი ექიმები, პაციენტები და მედიცინის ექსპერტებიც მონაწილეობდნენ. დასასრულს, საქართველოში მცხოვრებ პაციენტებს, ანადოლუს სამედიცინო ექიმებთან გასაუბრებისა და მათგან ალტერნატიული პროფესიული აზრის მოსმენის შესაძლებლობა მიეცათ. გარდა ამისა, „ანადოლუს სამედიცინო ცენტრის“ სპეციალისტებმა, საქართველოში მცხოვრებ პაციენტებს უფასო კონსულტაციაც გაუწიეს. მიაჩნიათ, რომ ადრეულ ეტაპზე დიაგნოზის დასმა და ინოვაციური მეთოდიკით მკურნალობა, პაციენტის გადარჩენის შანსებს კიდევ უფრო ზრდის.

კონფერენციაზე მიწვეული იყო ნიკოლოზ წამალაშვილი, რომელმაც „ანადოლუს სამედიცინო ცენტრის“ ექიმების დახმარებით, სიმსივნე დაამარცხა. პაციენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გაცნობოდნენ და გასაუბრებოდნენ „ცოხალ ქეისს“.

ღონისძიებას უძღვებოდნენ: მედიცინის დოქტორი, პათოლოგიური ანატომიის პროფესორი ჰუსეინ ბალოღლუ, მედიცინის დოქტორი, რადიაციული ონკოლოგიის პროფესორი ქეიჰან ენჯინი და ბირთვული მედიცინის დოქტორი ქეზბან ბერბეროღლუ.



1. სამფეხა საყრდენი, რომელზეც მხატვარი ათავსებს ტილოს მუშაობის დროს
2. ქვეყნის წარსული
3. ზღვის სიღრმეების საკვლევი აპარატი
4. წვრილად დაჭრ. ჩაშუშული ბოსტნეულის კერძი
5. გვერდის წახნაგის სიმაღლე წესიერ პირამიდაში
6. მუსიკალ. გამის V ნოტი
7. ანსამბლ „ივერიის“ ერთ-ერთი წევრი
8. იგივეა, რაც მევახშე
9. მტკნარი წყლის დელფინი
10. სკანდინავ. თქმულება
11. ლონდონის ციხე
12. ტილოს ფარდული მზისგან დასაცავად
13. ალასკის შტატის უდიდესი ქალაქი
14. სპორტ. შეჯიბრება სისწრაფეში ავტომობილებით
15. რომაული მითოლოგიის უზენაესი ღმერთი
16. ჭაობის მცენარე
17. გარიჟრაჟის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში
18. თექვსმეტმარცვლოვანი ოთხტაეპიანი ლექსი
19. საპატრიარქოს ტელევიზია
20. ინსტრუმ. თანხლება ჯაზში
21. საუბრის ძირითადი შინაარსი, საგანი
22. ჰოლივუდის მსახიობი ... ნოლტი
23. პირამიდების ქალაქი ეგვიპტეში
24. პროგრამირების ენა
25. ძვლების და რბილი ქსოვილების პათოლოგ. ზრდა
26. ლათინოამერიკული ცეკვა
27. ჭადრაკის მფარველი ქალღმერთი
28. ბეჭედში ჩასმული ჩუქურთმიანი ქვა
29. ვაჟა-ფშაველას მოთხრობა
30. ბერძ. მითოლოგიის პერსონაჟი, ფრიქსესა და ჰელეს ვერაგი დედინაცვალი
31. იგივეა, რაც გაზი
32. ფიზიკური სხეულის შემადგენელი ნივთიერება
33. კოლხეთის ანტიკური სახელწოდება
34. ასკორბინის მჟავა ანუ ვიტამინი...
35. ფრანგი კინოვარსკვლავი იზაბელ ...
36. ლაბორატორიული ჭურჭელი
37. იტალიური სპორტული ავტომობილი
38. ქირურგიული ჩარევა დაავადების სამკურნალოდ
39. ბაირონის ქალიშვილის სახელი
40. ფარნავაზის მტერი
41. მოჭადრაკე ... კრამნიკი
42. ბერძ. ანბანის პირველი ასო
43. ირმის დატოტვილი რქა
44. ებრაელთა სადღესასწაულო პური
45. გათუთქული ტყემლის მოდუღებული წვენი
46. იტალიელი ფეხბურთელი, „მილანის“ მეკარე
47. ვინმეზე გაწეული შრომა
48. ბრეხტის „კავკასიური ცარცის ...“
49. მავთულის გამოსაყვანი ხელსაწყო
50. ჰორიზონტალური ფიცარი ფანჯრის ქვეშ
51. ცნობილი იტალიელი საფეხბურთო მწვრთნელი
52. ოპერა „დონ ჟუანის“ ავტორი
53. ალბერტ აინშტაინის ეროვნება
54. კაენის ძმა
55. საგამოცდო პერიოდი უმაღლეს სასწავლებელში
56. ოპერა „კარმენის“ ავტორი
57. გადახსნილსაყელოიანი პერანგი
58. ანძა ძვ.ქართულში
59. კრილოვის ზღაპრის პერსონაჟი
60. ხრიკი, ფანდი
61. ხალხური გონებამახვილური მოკლე გამონათქვამი
62. ძვ. ბრაზილიელი ფეხბურთელი
63. ვაზების მწკრივი
64. მულტფ. „... დამაცადე“
65. რუსეთის ტელეპრემია
66. (საუბ.) არყის სასმელი პატარა ჭიქა
67. საფრანგეთის პოლინეზიის დედაქალაქი
68. ბერძ. მითოლოგიის უზენაესი ღმერთი
69. „თორმეტი სკამის“ ერთ-ერთი ავტორი
70. მთა თბილისში
71. ფეხბურთის მეფე
72. აზერბაიჯანის პრეზიდენტი
73. უპატრონოდ მიტოვებული მკვდარი ადამიანის სხეული
74. მხატვ. ნაწარმოების ნაწყვეტი, რომელსაც დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს
75. „ფისტაშკას“ ქართული სახელწოდება
76. წვრილი ქვიშა
77. ვაჟას პოემა „გოგოთურ და ...“
78. თუფაქის მუსიკალ. ჟანრი
79. ყირგიზეთის უძველესი ქალაქი
80. ბილიარდის სათამაშო ჯოხი
81. ჩვენებითი ნაწილაკი
82. დიდი გერმანელი კომპოზიტორი



# წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 6 | 5 | 7 | 4 | 3 | 2 | 1 | 9 |
| 3 | 2 | 4 | 1 | 9 | 8 | 6 | 7 | 5 |
| 1 | 9 | 7 | 2 | 5 | 6 | 8 | 4 | 3 |
| 5 | 1 | 9 | 4 | 7 | 2 | 3 | 8 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 9 | 3 | 1 | 7 | 5 | 2 |
| 7 | 3 | 2 | 8 | 6 | 5 | 1 | 9 | 4 |
| 6 | 7 | 8 | 5 | 2 | 4 | 9 | 3 | 1 |
| 9 | 4 | 3 | 6 | 1 | 7 | 5 | 2 | 8 |
| 2 | 5 | 1 | 3 | 8 | 9 | 4 | 6 | 7 |

სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 6 | 4 | 2 | 1 | 9 | 8 | 7 | 5 |
| 7 | 5 | 2 | 8 | 6 | 4 | 9 | 3 | 1 |
| 1 | 9 | 8 | 7 | 3 | 5 | 2 | 6 | 4 |
| 2 | 4 | 7 | 9 | 5 | 8 | 3 | 1 | 6 |
| 5 | 3 | 1 | 6 | 4 | 2 | 7 | 9 | 8 |
| 9 | 8 | 6 | 3 | 7 | 1 | 5 | 4 | 2 |
| 6 | 2 | 5 | 4 | 9 | 3 | 1 | 8 | 7 |
| 4 | 1 | 9 | 5 | 8 | 7 | 6 | 2 | 3 |
| 8 | 7 | 3 | 1 | 2 | 6 | 4 | 5 | 9 |

ადვილი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 6 | 4 | 9 | 1 | 7 | 2 | 3 | 8 |
| 3 | 2 | 8 | 6 | 4 | 5 | 1 | 9 | 7 |
| 1 | 9 | 7 | 3 | 2 | 8 | 6 | 5 | 4 |
| 9 | 5 | 1 | 2 | 8 | 6 | 4 | 7 | 3 |
| 7 | 4 | 6 | 1 | 3 | 9 | 8 | 2 | 5 |
| 2 | 8 | 3 | 7 | 5 | 4 | 9 | 6 | 1 |
| 8 | 3 | 2 | 5 | 9 | 1 | 7 | 4 | 6 |
| 6 | 1 | 9 | 4 | 7 | 3 | 5 | 8 | 2 |
| 4 | 7 | 5 | 8 | 6 | 2 | 3 | 1 | 9 |

სტანდარტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 1 | 6 | 8 | 2 | 5 | 4 | 9 | 3 |
| 4 | 5 | 3 | 1 | 9 | 7 | 8 | 6 | 2 |
| 2 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 7 | 5 | 1 |
| 3 | 8 | 1 | 2 | 7 | 6 | 5 | 4 | 9 |
| 9 | 2 | 7 | 5 | 3 | 4 | 1 | 8 | 6 |
| 6 | 4 | 5 | 9 | 8 | 1 | 3 | 2 | 7 |
| 8 | 3 | 4 | 7 | 6 | 2 | 9 | 1 | 5 |
| 5 | 7 | 2 | 4 | 1 | 9 | 6 | 3 | 8 |
| 1 | 6 | 9 | 3 | 5 | 8 | 2 | 7 | 4 |

რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | 2 | 3 | 6 | 1 | 8 | 5 | 9 | 4 |
| 8 | 1 | 4 | 5 | 3 | 9 | 6 | 7 | 2 |
| 9 | 6 | 5 | 2 | 7 | 4 | 1 | 3 | 8 |
| 5 | 7 | 8 | 1 | 6 | 3 | 2 | 4 | 9 |
| 6 | 4 | 2 | 9 | 5 | 7 | 8 | 1 | 3 |
| 3 | 9 | 1 | 4 | 8 | 2 | 7 | 6 | 5 |
| 4 | 5 | 9 | 7 | 2 | 6 | 3 | 8 | 1 |
| 2 | 3 | 6 | 8 | 9 | 1 | 4 | 5 | 7 |
| 1 | 8 | 7 | 3 | 4 | 5 | 9 | 2 | 6 |

ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 7 | 4 | 9 | 1 | 5 | 3 | 6 | 2 |
| 9 | 3 | 5 | 4 | 2 | 6 | 1 | 8 | 7 |
| 6 | 2 | 1 | 3 | 7 | 8 | 9 | 5 | 4 |
| 4 | 9 | 8 | 2 | 6 | 3 | 7 | 1 | 5 |
| 5 | 1 | 7 | 8 | 4 | 9 | 2 | 3 | 6 |
| 3 | 6 | 2 | 1 | 5 | 7 | 4 | 9 | 8 |
| 7 | 5 | 3 | 6 | 9 | 4 | 8 | 2 | 1 |
| 2 | 4 | 9 | 5 | 8 | 1 | 6 | 7 | 3 |
| 1 | 8 | 6 | 7 | 3 | 2 | 5 | 4 | 9 |

რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 1 | 7 | 6 | 5 | 3 | 4 | 2 | 9 |
| 9 | 5 | 3 | 4 | 2 | 1 | 8 | 6 | 7 |
| 6 | 4 | 2 | 9 | 8 | 7 | 1 | 5 | 3 |
| 5 | 8 | 9 | 1 | 7 | 4 | 6 | 3 | 2 |
| 3 | 2 | 1 | 8 | 9 | 6 | 7 | 4 | 5 |
| 7 | 6 | 4 | 5 | 3 | 2 | 9 | 1 | 8 |
| 4 | 7 | 8 | 3 | 1 | 5 | 2 | 9 | 6 |
| 2 | 3 | 6 | 7 | 4 | 9 | 5 | 8 | 1 |
| 1 | 9 | 5 | 2 | 6 | 8 | 3 | 7 | 4 |

ექსპერტი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5 | 9 | 1 | 8 | 4 | 3 | 2 | 7 | 6 |
| 2 | 4 | 3 | 7 | 6 | 1 | 9 | 5 | 8 |
| 8 | 7 | 6 | 5 | 9 | 2 | 1 | 4 | 3 |
| 7 | 1 | 5 | 9 | 8 | 6 | 4 | 3 | 2 |
| 9 | 3 | 4 | 2 | 1 | 5 | 8 | 6 | 7 |
| 6 | 2 | 8 | 3 | 7 | 4 | 5 | 9 | 1 |
| 4 | 8 | 7 | 1 | 3 | 9 | 6 | 2 | 5 |
| 3 | 6 | 2 | 4 | 5 | 8 | 7 | 1 | 9 |
| 1 | 5 | 9 | 6 | 2 | 7 | 3 | 8 | 4 |

მე-16 გვერდი: 1. დრომადერი; 2. სექტემბერი; 3. დრიბლინგი; 4. ონტარიო; 5. არქივი; 6. ეკიუ; 7. ქონდაქარი; 8. ესკულაპი; 9. ბელი; 10. როზა; 11. სინტაქსი; 12. ელიუარი; 13. არკრაიტი; 14. ყველი; 15. ნიკოლოზი; 16. ირი; 17. სქიზმა; 18. ეზოპე; 19. ყვარელი; 20. ატა; 21. ზაქარა; 22. ეოსი; 23. აული; 24. კოინე; 25. „ყვირილი“; 26. პიზა; 27. უგო; 28. ფსტა; 29. აკიმი; 30. ასპიტი; 31. ბლუ; 32. რელე; 33. სპარტა; 34. სპილო; 35. სალსა; 36. იტილი; 37. ბადრი; 38. ოპეკი; 39. სიათა; 40. სურა; 41. ენკე; 42. აპნისი; 43. კლიო; 44. ბილბაო; 45. პა; 46. მისტერია; 47. ლამა; 48. აუტი; 49. პიერ; 50. მაია; 51. ორიოლი; 52. ალი; 53. დრე; 54. ოე; 55. ნიუ; 56. ბოი; 57. სე; 58. ელ-გრეკო; 59. ალაგე; 60. კუსტო; 61. სოია; 62. სტამბა; 63. ელიბო; 64. ილიე.

მე-17 გვერდი: 1.ფიუზელაჟი; 2. არესი; 3. გეა; 4. პასტორი; 5. მირიანი; 6. ფერეიდანი; 7. უფიცი; 8. ენდემი; 9. ამია; 10. ხვალ; 11. მარმელადი; 12. „სერა“; 13. იკოსაედრი; 14. იეტი; 15. ფრეინდლიხი; 16. „დარიკო“; 17. ოაზისი; 18. ავანსი; 19. ენოტი; 20. იდიომი; 21. ლესია; 22. იუტა; 23. ეკო; 24. ნერონი; 25. აკუტაგავა; 26. ტაიმი; 27. მუნ; 28. ოდა; 29. სი; 30. ატა; 31. ისო; 32. ნიკი; 33. „ზარა“; 34. დურდო; 35. მურეი; 36. ემილია; 37. ფიკუსი; 38. ბერიკაობა; 39. მურადა; 40. რეი; 41. აქსიომა; 42. ალებარდა; 43. კიტო; 44. ელია; 45. ლაბა; 46. მაგატე; 47. მაჟალო; 48. აის; 49. ორბი; 50. ჰაველი; 51. მარენგო; 52. ჟოზეფინა; 53. ბალ; 54. ჰამაკი; 55. ცა; 56. ვერა; 57. ინვარი; 58. უდინე; 59. რაზდანი; 60. დრაკულა; 61. ირიდა; 62. აჯა; 63. რიყე; 64. დერბი; 65. ნაფაზი; 66. ქალა; 67. მაქს; 68. ყულაბა; 69. ისევ; 70. კინგი; 71. ილეთი; 72. ბუდა; 73. ანა; 74. ნური; 75. როლი; 76. ფაუ; 77. ალიბი; 78. ისა; 79. ერ; 80. დალაი; 81. ალა; 82. ენეა; 83. ტაი; 84. კაკაო; 85. „ლაილაი“; 86. კვარტა; 87. ამანათი; 88. ომარ; 89. იფი.



# ჰოროსკოპი
## 19 ივნისი

***ვერძი*** — ყველაფრის საკუთარი ხელით კეთების სურვილი, შესაძლოა, დღეს წაგადგეთ. ახლობლები და მეგობრები თქვენს მხარდაჭერას საჭიროებენ. დაეხმარეთ მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, რადგან დამოუკიდებლად ამ ნაბიჯის გადადგმა უჭირთ.

***კურო*** — თუ დილიდანვე წახვალთ სასეირნოდ ან შორეულ მოგზაურობაში, ეს მხოლოდ თქვენთვის იქნება სასიკეთო, ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ ღირს, ამიტომ შეეცადეთ, ყველაფერი გააკეთოთ, რაც თქვენზეა დამოკიდებული, რათა ფორტუნამ ზურგი არ გაქციოთ.

***ტყუპები*** — დღეს ყველა შანსი გაქვთ, შეურიგდეთ ადამიანს, რომელსაც ცოტა ხნის წინ ეჩხუბეთ. გარდა ამისა, შესანიშნავ ურთიერთობას ააწყობთ საყვარელი ადამიანის ახლობლებთან, თუკი ხასიათის დადებით მხარეს წარმოაჩენთ.

***კირჩხიბი*** — დღეს, პირველ რიგში, ფულის ამბავი შეგაწუხებთ. ნუ იძუნწებთ, რადგან სწორედ ახლა შეგიძლიათ შეიძინოთ ნივთი, რომელზეც ოცნებობთ.

***ლომი*** — ლომებისთვის დიდი სიურპრიზი იქნება შეხვედრა შორეულ ნათესავთან ან ძველ მეგობართან — მთელ დღეს სასიამოვნო საუბარსა და მოგონებებში გაატარებთ. შესაძლოა, რაიმე მნიშვნელოვანი ინფორმაციაც შეიტყოთ.

***ქალწული*** — დღეს ყურადღება გაფანტული გაქვთ და გიჭირთ მთავარ მიზანზე კონცენტრირება. თანაც, ახლობლები ხელს გიშლიან რჩევებით და დახმარების ნაცვლად, დროს გაკარგვინებენ. თქვენი ამოცანაა, ლავირება მოახდინოთ საკუთარ სურვილებსა და გარშემომყოფთა დარიგებებს შორის.

***სასწორი*** — ვარსკვლავები გაძლევენ შანსს, მიხედოთ ახლობლებს, მეტი ყურადღება გამოიჩინოთ მათ მიმართ, რასაც, დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ვერ ახერხებთ. კარგი იქნება, თუ მეგობრებსაც მოინახულებთ.

***ღრიანკალი*** — საკუთარი თავის წარმოჩენის სურვილი დღეს აქტიური მოქმედებებისკენ გიბიძგებთ. შეძლებთ სასიამოვნოდ გააოცოთ მეგობრები საკუთარი შესაძლებლობებითა და სულის სიძლიერით. მთავარია, ამისთვის შესაფერისი ღონისძიება შეარჩიოთ.

***მშვილდოსანი*** — დღეს თქვენი ყოველი სიტყვა არასერიოზულად იქნება აღქმული, რაც ძალიან გაგაღიზიანებთ, მაგრამ არ ღირს პოლემიკაში შესვლა გარშემომყოფებთან. აჯობებს, უკეთეს დროს დაელოდოთ და შემდეგ გამოავლინოთ საკუთარი შესაძლებლობები.

***თხის რქა*** — დღეს თქვენთვის რაღაც ახალს აითვისებთ. ეს საქმე კარგად გამოგივათ, თუკი საკუთარი ძალებისა და ნიჭის რწმენა არ დაგიკარგავთ. შესაფერისი დროა ახალი საქმის წამოსაწყებად, თუმცა ნუ აჩქარდებით და ყველაფერი კარგად გააანალიზეთ..

***მერწყული*** — ახალი ამბავი, რომელსაც დღეს შეიტყობთ, საპასუხისმგებლო გადაწყვეტილების მისაღებად კარგი სტიმული იქნება, მით უმეტეს, რომ არ ელოდით, ასე სწრაფად თუ განვითარდებოდა მოვლენები.

***თევზები*** — რთული დღე გელით საყვარელ ადამიანთან ურთიერთობაში. გეჩვენებათ, რომ სხვადასხვა ენაზე საუბრობთ, თუმცა არ ღირს ნერვიულობა და ფიქრი იმაზე, რომ თქვენს შორის ყველაფერი დასრულდა.



# ყოველი მესამე ბრიტანელი „პარანოიკია"

დიდი ბრიტანეთის ყოველ მესამე მცხოვრებს პარანოია სჭირს, — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ფსიქოლოგები, რომელთაც ვირტუალური ფსიქოლოგიური ტესტების შედეგები გააანალიზეს. ლონდონის სამეფო კოლეჯის ფსიქიატრიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა 200 მოხალისეს ლონდონის მეტროს ვაგონში, 4-წუთიანი ვირტუალური მგზავრობა შესთავაზეს. ექსპერიმენტის მონაწილეებს სპეციალური ჩაფხუტები დაურიგეს, რომლითაც მათ მეტროს ხმაურს ასმენინებდნენ. აღმოჩნდა, რომ მონაწილეთა თითქმის 40%-ს აკვიატებული აზრები გაუჩნდა, განსაკუთრებით მათ, ვინც ტესტამდე განაცხადა, რომ პესიმისტია და შიშის შეგრძნება აწუხებს. ერთ-ერთი ასეთი „პარანოიკი" ამტკიცებდა, რომ მასთან ერთად, მეტროს ვაგონში „საეჭვო" ადამიანი მგზავრობდა, რომელსაც ჩანთაში ბომბი ჰქონდა; სპეციალისტების თქმით, ადრე მიიჩნევდნენ, რომ პარანოიდული აზრები მხოლოდ ფსიქიკური დაავადებების მქონე ადამიანებს აწუხებდათ, მაგრამ ახლა დადასტურდა, რომ ასე არ არის.



# კლიენტებს i-Phone-დამოკიდებულებისგან განკურნავენ

აპენინებზე, ქალაქ ფორტე-დეი-მარმიში მდებარე ოტელი Byron კლიენტებს უჩვეულო მომსახურებას სთავაზობს. მობილურ ტელეფონებზე დამოკიდებულების არსებობა სწავლულებმა უკვე აღიარეს და ამ თემაზე წამყვანმა ამერიკულმა უნივერსიტეტებმა არაერთი კვლევაც ჩაატარეს. გამოკითხულ ადამიანთა 75%-ს i-Phone-ით იძინებს, 85% მას გამუდმებით ხელში ატრიალებს და ამოწმებს, 94% კი აღიარებს, რომ გარკვეული დამოკიდებულება გაუჩნდა სმარტფონის მიმართ. ამ ყველაფერმა იტალიური სასტუმროს მეპატრონეებს გაუჩინა იდეა, კლიენტებისთვის სერვისის ახალი სახეობა შეეთავაზებინა. Byron-ის ნებისმიერ სტუმარს შეუძლია, უფასოდ ისარგებლოს ფსიქოლოგის მომსახურებით, რომელიც მას i-Phone-ზე დამოკიდებულების მოხსნაში დაეხმარება. ტოსკანას ვიპ-კურორტზე არსებული სასტუმრო დიდი პოპულარობით სარგებლობს ცნობილ ადამიანებში — ნაომი კემპბელი, დენიელ კრეიგი, ეროს რამაზოტი, დონატელა ვერსაჩე და სხვები... ეს სტუმართა არასრული ჩამონათვალია...



# ჰოროსკოპი
## 20 ივნისი

***ვერძი*** — თქვენი დღევანდელი გეგმები, შესაძლოა, ჩაიშალოს უცხო ადამიანის ჩარევით, მაგრამ მოვლენების ასეთი მკვეთრი ცვლილება თქვენთვის სასარგებლო აღმოჩნდება.

***კურო*** — დღეს მოვლენები საკმაოდ გეგმაზომიერად ვითარდება, თქვენი აქტიური ჩარევა არ არის საჭირო. მართალია, ფიქრობთ, რომ უთქვენოდ არაფერი გამოვა, მაგრამ მიენდეთ ბედს.

***ტყუპები*** — დღის ბოლოს სიურპრიზი გელით, მზად იყავით იმისთვის, რომ ამ საღამოს შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს, თუმცა მოვლენებს ნუ დააჩქარებთ და გადაწყვეტილებასაც ემოციურ ფონზე ნუ მიიღებთ.

***კირჩხიბი*** — მეგობრებმა რომც დაგაძალონ, დღეს სჯობს, მონაწილეობა არ მიიღოთ მასობრივ ღონისძიებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გაუგებრობაში აღმოჩნდეთ.

***ლომი*** — თუ გადაწყვეტთ, რომ დღე სახლში, მშვიდ და მყუდრო გარემოში გაატაროთ, ცუდი ნამდვილად არ იქნება იმიტომ, რომ დასვენება აუცილებლად გჭირდებათ, თან სამსახურში არსებულ დაძაბულ ვითარებასაც აარიდებთ თავს.

***ქალწული*** — ახლობლების ან მეგობრების წრეში ყოფნა და ბუნებაში გასვლა დაგეხმარებათ, დამქანცველი სამუშაო დღეების შემდეგ, ახალი ენერგიით დაიმუხტოთ. ეს ოპტიმიზმსაც შეგმატებთ.

***სასწორი*** — დღეს თავს ნუ აარიდებთ ხმაურიან გამპანიას. მეგობრებთან ერთად დროს არა მხოლოდ მხიარულად გაატარებთ, არამედ ახალ მეგობარსაც შეიძენთ.

***ღრიანკალი*** — დღეს საკმაოდ საეჭვო ღონისძიებაში მონაწილეობას შემოგთავაზებენ, რაც შესაძლოა, დიდი თანხის დაკარგვით დასრულდეს, თუმცა არც მოგებაა გამორიცხული. თუ ჭკვიანურად მიუდგებით ვითარებას, საკმაო თანხას იშოვით, მაგრამ გახსოვდეთ, რომ მხოლოდ საკუთარ თავს უნდა ენდოთ.

***მშვილდოსანი*** — მშვილდოსნებისთვის დღის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ ერთდროულად ორი, ურთიერთსაწინააღმდეგო მიზანი გაქვთ დასახული. არც არჩევანის გაკეთებაა ადვილი, ამიტომ რჩევისთვის სანდო ადამიანს მიმართეთ.

***თხის რქა*** — დღეს თქვენი მოთმინების, გამძლეობისა და ვითარების სწორად გაანალიზების უნარის წყალობით, შეძლებთ, რთული მდგომარეობიდან გამოსვლასა და უსიამოვნო შედეგების თავიდან აცილებას.

***მერწყული*** — მერწყულები, სჯობს, არც ერთ სფეროში არ აჩქარდნენ და ნაკლები ყურადღება მიაქციონ ახლობლებს, მეგობრებს... რომლებიც გადაწყვეტილების სწრაფად მიღებას აიძულებენ.

***თევზები*** — დღეს ადვილად დაძლევთ ყველა პრობლემას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უნდა გარისკოთ და საკუთარი რეპუტაცია სასწორზე შეაგდოთ. გონივრული რისკი კი თქვენთვის მნიშვნელოვან საქმეში წარმატებას მოგიტანთ.



1. წონის ერთეული, 100 კგ
2. სიყვარულის ღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
3. წარწერა კინოფილმის კადრზე
4. საქართველოს პატრიარქის სახელი
5. ვატიკანის კარდინალთა საბჭო
6. საქართველოს შს ექს-მინისტრი
7. დიდი ზომის მორბენალი ფრინველი
8. თავადზე დაბლა მდგომი წოდება
9. ლიტერატურული პერსონაჟის აღწერა
10. ინდოელთა წმინდა მდინარე
11. გერმანელი რომანტიკოსი პოეტი
12. ვაქცინის შეყვანა ორგანიზმში
13. უხეში წყალგაუვალი ქსოვილი
14. ბრიტანული ჯგუფი „... ჯიზი“
15. კურკოვანი ხილი
16. ნაკურთხი წყალი
17. აფრიკული შხამიანი ბუზი
18. კატის გასაგდები შეძახილი
19. პატარა ფოსო ადამიანის მუცელზე
20. „კომედიის მამა“
21. ჯანმრთელობის ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგ.
22. ობობას სინონიმი
23. ექსპრომტად თქმული სახუმარო ლექსი
24. ჩინეთის ფულის ერთეული
25. სუფრის ხელმძღვანელი
26. ლეგენდარული ინგლისელი ფეხბურთელი
27. მწერალი ... არაგვისპირელი
28. აზიის უგრძესი მდინარე
29. არაბული ფლეიტა
30. (ძვ.) დაბალი კლასის წარმომადგენელი
31. მიწაში მცხოვრები ცხოველი
32. ფეხსაც. მკერავი
33. ჰოლივუდის ლეგენდა
34. შოლოხოვის „წყნარი“ მდინარე
35. ბიბლიური ისააკის ძე
36. ველური ცხვარი
37. ალ. ბასილაიას ანსამბლი
38. სოფელი მცხეთის რაიონში
39. ბოლშევიკთა გაზეთი
40. მაჰმადიანთა სულიერი წინამძღოლი
41. ტაივანის დედაქალაქი და ეკონომიკური ცენტრი
42. იგივეა, რაც ტრაბახა
43. რუსი ფიზიკოსი
44. ჩრდ. ქარის ღვთაება
45. ბერძნული ანბანის ასო
46. ფართობის ერთეული
47. შეძახილი კონცერტზე ნომრის გამეორების მოთხოვნით
48. საჭმლის მოსახარში ჭურჭელი
49. დასტურის ნაწილაკი
50. ზრდადაუსრულებელი ქათამი
51. ძმები გრიმების ზღაპრის პერსონაჟი გოგონა
52. ჰიდროტექნიკური ნაგებობა
53. ლეონარდო ... კაპრიო
54. ცხენის ფეხზე ნალის დამჭედებელი
55. თვალის გუგა
56. შვიდის მომდევნო რიცხვი
57. ჭადრაკის დედოფალი
58. იაპონური ტრადიციული თეატრის ერთ-ერთი ჟანრი
59. ზევსის ერთ-ერთი სატრფო
60. კონგოს დემოკრატ. რესპუბლიკის მეორე სახელი
61. ბოჭკო-ვანი მცენარე
62. მიწისქვეშეთი ბერძნულ მითოლოგ.
63. მტკნარი წყლის დელფინი

# შენდება ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

**ზარის ღირებულება 1 ლარი**

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

**უფალმა შეგიწყალოთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!**

# კლიენტებს „მფრინავი თეფში“ ემსახურება



ნისლიან ალბიონზე, ლონდონის ერთ-ერთ რესტორანში, ოფიციანტის ნაცვლად, კლიენტებთან შეკვეთა ე.წ. მფრინავ ლანგარს მიაქვს, ეს უჩვეულო მომსახურება კი იაპონურმა სუში-რესტორანმა Yo! Sushi შესთავაზა. სიახლე ოთხი პროპელერითაა აღჭურვილი, დისტანციურად იმართება და საათში 25 კილომეტრის სიჩქარით შეუძლია გადაადგილება.

**Appraisal.llc**

**შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,**

**უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას**

**ალექსანდრე ფურცელაძე**
**მისამართი: ნუცუბიძის №16ა**
**ტელ.: (5)99 22 98 33**
**ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com**

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია,
დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები.
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება.
სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.